სამეცნიერო ჟურნალი
LA REVUE SCIENTIFIQUE
THE SCIENTIFIC JOURNAL

სამართალი
და
ეკონომიკა

LE DROIT ET L'ECONOMIE
LAW AND ECONOMICS

ISSN 1987-8303

ჟურნალი რეფერირდება ტექინფორმის „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
განთავსებულია ინტერნეტში www.tech.caucasus.net, www.tech.org.ge

№4
საქართველო-GEORGIE-GEORGIA
თბილისი-TBILISSI-TBILISI
2013

UDC(უაკ) 34-33](051.2)
s-216

სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი
L'INSTITUT DU DEVELOPPMENT DE DROIT
INSTITUTE OF LEGAL DEVELOPMENT

მთავარი რედაქტორი — ქართლოს ფრიდონაშვილი
REDACTEUR EN CHEF — KARTLOS PRIDONACHVILI
EDITOR IN CHIEF — KARTLOS PRIDONASHVILI

რედაქტორები — ნოდარ გრძელიშვილი
ვალერი მოდებაძე

REDACTEURS — NODAR GRDZELICHVILI
VALERI MODEBADZE

EDITORS — NODAR GRDZELISHVILI
VALERI MODEBADZE

მისამართი: 0101, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №16
დრესს : Georgia, Vaja Pshavela ave. №16, თბილისი,0101
Phone : (+995) 790 476075; მობ: (+995) 595 508599
E-mail: law.economics@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართლოს ფრიდონაშვილი - აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება გვ.4

ვალერი მოდებაძე - სიმართლე დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. გვ.14

ქართლოს ფრიდონაშვილი-საარჩევნო სამართლის სამართლიანობის პრობლემები საქართველოში. გვ.28

ია ხარაზი, თამარ გარდაფხაძე - საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები გვ.35

ქართლოს ფრიდონაშვილი - ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით. გვ.47

ვალერი მოდებაძე- როგორ უნდა გავხადოთ არაღიარების პოლიტიკა უფრო ეფექტური. გვ.63

ნოდარ გრძელიშვილი – შრომითი რესურსების დაგეგმვა ტურიზმის სფეროში. გვ.68

ნოდარ გრძელიშვილი -ინვესტიციები - ტურიზმის აღორძინების საფუძველი საქართველოში. გვ.75

ვალერი მოდებაძე - მეჩაიეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. გვ.81

ნოდარ გრძელიშვილი - რელიგიური ტურიზმი - ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი ფაქტორი გვ.89

აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება

ქართლოს ფრიდონაშვილი - სამართლის აკადემიური დოქტორი

თანამედროვე დასავლეთის იურიდიული ლიტერატურა ფედერალიზმის შესახებ 500-ზე მეტ თეორიასა და სკოლას აღიარებს (ზოგიერთი შეხედულებებით 650). თუმცა, ზოგადი ცნების ჩამოყალიბება მაინც შესაძლებელია. ფედერალიზმი წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან: „foedus“ და ნიშნავს „კავშირს“, „გაერთიანებას“.[1]

ფედერაციული სახელმწიფოს უმსხვილესი ტერიტორიული ერთეულები ფედერაციის სუბიექტები წარმოადგენენ კვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და შესაბამისად, ისინი არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომიითაც სარგებლობენ. ყველა შემთხვევაში, ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური ავტონომია კონსტიტუციით მკაცრად არის რეგლამენტირებული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სეცესიის - სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლება. ფედერაციის სუბიექტების კავაზისახელმწიფოებრივი ბუნება არსებითად ვლინდება შემდეგი ნიშნებით: ფედერაციის სუბიექტს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა, ზოგჯერ აგრეთვე საკუთარი სასამართლო სისტემა,[2] საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა. ფედერაციული სახელმწიფო ბიკამერალური-ორპალატიანი პარლამენტით გამოირჩევა.

ტრადიციულად, ფედერაციული სახელმწიფო ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე იქმნება. ტერიტორიული პრინციპით არის შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი (არაბთა გაერთიანებული საემიროები, არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, მექსიკა) და მათ შორის ისეთი სტაბილური ქვეყნები, როგორიცაა აშშ, გერმანია, ავსტრალია, ავსტრია.

ეროვნული ნიშანი უდევს საფუძვლად ბელგიის, ეთიოპიის, რუსეთის ფედერალიზმს. ამავე ნიშნით იყო შექმნილი ყოფილი ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა. ეროვნული ნიშნით შექმნილი ფედერაციები არც მდგრადობით გამოირჩევიან და არც დიდი სტაბილურობით ხასიათდებიან.[3]

უნიტარიზმის შესახებ კლასიკური თეორიებიდან გამომდინარე, უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლითაც არ გააჩნიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის რაიმე ნიშნები. ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გარკვეულწილად ექვემდებარებიან მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს, მათი სამართლებრივი სტატუსი საერთო სამართლებრივ სისტემაში მოქმედი ნორმებით განისაზღვრება და ისინი მთლიანობაში მთელი ქვეყნის მმართველობის ერთიან ორგანოთა სისტემას ქმნიან. უნიტარიზმი (ლათ. unus - ერთი) ერის პოლიტიკური ერთიანობის შესახებ არსებულ კლასიკურ წარმოდგენას ასახიერებს და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალიზაციის პრინციპს აღნიშნავს.

უნიტარულ სახელმწიფოში სამართლის ერთიანი სისტემა მოქმედებს. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები საქმიანობისას ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ, უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა, რომელიც მთელი სახელმწიფოებისათვის ერთიანი მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობს.

---

[1] გიორგი ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პირინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000 წ. გვ. 14

[2] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამარტალი, თბილის, 2008 წ. გვ. 226

[3] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 153

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი სასამართლო ორგანოები ქვეყნის ცენ-ტრალიზებული სასამართლო სისტემის ქვედა რგოლია.[4]

კონსტიტუციონალიზმში სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთ ფორმად რე-გიონალიზმიც განიხილება. რეგიონალიზმის, როგორც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერი-ტორიული მოწყობის იდეა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ვითარდება, რაც იმთავით-ვე უნიტარულ სახელმწიფოებში მკაცრი დეცენტრალიზაციის აღიარებას მოასწავებდა. ლტოლვა რეგიონალიზაციისკენ ძლიერდება, რეგიონების შექმნის ფორმირება ხდება სახელმწიფოთა მთავ-რობების მიერ განსხვავებული მიზნებითა და გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად. ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული რეგიონალიზაცია განხორციელდა ესპანეთში, იტალიისა და საფრან-გეთში. აღნიშნული ქვეყნების რეგიონალიზაციის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ჩაეწერა იგი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის სისტემაში. უნიტარუ-ლი საფრანგეთისათვის, მართვის სიმეტრიული სისტემის პირობებში რეგიონი გახდა ქვეყნის ად-მინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ხოლო ესპანეთისა და იტალიისათვის რეგიონი გახ-და ქვეყნის ტერიტრიულ-პოლიტიკური მოწყობის ერთეული. ყოველივე ეს მოხდა ასიმეტრიულ-ობის პირობებში, როდესაც ყველა რეგიონი ავტონომიურია, მაგრამ შეიქმნა ავტონომიური ტერი-ტორიების გარკვეული იერარქია, რამდენადაც რიგი რეგიონებისა კომპეტენციის განსხვავებული კომპლექსით აღიჭურვა. კონსტიტუციონალიზმში რეგიონალური სახელმწიფო ტრადიციულად, უნიტარულ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა, ფედერაციის არსებითი ნიშნებიც აქვს შეთვისებუ-ლი. სწორედ ამიტომ მას სხვადასხვა პოზიციიდან განიხილავენ როგორც რაღაც შუალედურ და ჰიბრიდულ ფორმას უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის.

ფედერალური ტერიტორიული ორგანიზაციის მსგავსად, რეგიონალიზმი ითვალისწინებს რეგიონების აღჭურვას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით, თუმცა სასამარ-თლო ორგანოთა განკერძოებული სისტემა რეგიონებში არ ფუნქციონირებს.[5]

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ ფედერალიზმის, უნიტარიზმისა და რეგიონალიზმის ზოგა-დი ცნებები და მათთვის დამახასიათებელი ნიშნები, უკვე შეგვიძლია მათი რეალიზაციის თავისე-ბურებები გავაანალიზოთ ფედერაციული აშშ-სა და უნიტარული საფრანგეთის სახელმწიფო სის-ტემებში.

ამერიკის შეერთებული შტატები, მის შემადგენლობაში შემავალი 50 შტატით, ფედერალურ პრინციპზეა აგებული. შეერთებულ შტატებში ფედერალიზმი მოიაზრება, როგორც ძლიერი სა-ხელმწიფო ხელისუფლების გარკვეული შეზღუდვის საშუალება და უზრუნველყოფს ადმინის-ტრაციულ - ტერიტორიული ერთეულების - შტატების საკმაოდ ძლიერი ხელისუფლების შენარ-ჩუნებას. ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ფედერალური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაჯერებულია ცენტრალიზაციის ელემენტებით.

ერთი მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო - ტერიტორიულ მოწყობას გააჩნია ფედერაციისათვის და-მახასიათებელი ყველა ნიშანი: ქვეყანა იყოფა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად - შტატებად, რომლებიც ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ. ფედერალური ორგანოების ხელისუფლებას აშშ-ს კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო შტატების კონსტიტუციების საფუძველზე იქმნება მათი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა. შტატების ლეგისლატურები იღებენ კანონებს. ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავისი სამართლისა და სასამართლო სისტემები. მოქმედებს ორმაგი - საკავში-რო და საშტატო მოქალაქეობა.

მეორე მხრივ კლასიკური ფედერალიზმის დამახასიათებელ ამ ნიშნებთან ერთად, გვხვდება ბევრი ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშანი: შტატებს ეკრძალებათ

---

[4] ოთარ მელაძე, გიროგი თევდორაშვილი, რეგიონალიზმი სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანზაიციის ფორმა, თბილისი, 2003 წ. გვ. 15; 16; 17

[5] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 160; 161

დადონ ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან, მოჭრან ფულის ნიშანი, გამოუშვან საკრედიტო ბილეთები და სხვა. ცალკეულ შტატებს არ გააჩნიათ სახელმწიფო სუვერენიტეტი, არ აქვთ ფედერაციიდან გასვლის უფლება.

აშშ-ს კონსტიტუციაში უფლებამოსილებათა განაწილება ზოგადად არის წარმოდგენილი. იგი გულისხმობს „საქვეყნო“ საქმეების მინდობას ეროვნული ხელისუფლებისათვის, ხოლო „ადგილობრივი“ საკითხებისა - შტატებისათვის. შტატები დიდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე. ამ მხრივ აღსანიშნავი კონგრესის ერთ-ერთი პალატის - სენატის ფორმირების წესი, რომელიც კომპლექტდება შტატებში არჩეული წარმომადგენლებისაგან - სენატორებისაგან, რომლებიც შტატების ინტერესებს იცავენ ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. [6]

ფედერალური ქვეყნების სასამართლო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია დეცენტრალიზაცია. აშშ-ს სასამართლო სისტემაში უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო. ფედერალური მართლმსაჯულების მეორე უმაღლეს დონეს ქმნიან სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც 1891 წელს შეიქმნა საქმეთა განაწილების გაადვილებისა და უზენაესი სასამართლოს დატვირთვის შემცირების მიზნით. სააპელაციო სასამართლოები იხილავენ საჩივრებს რაიონის სასამართლოების ყველა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული ინსტანციის ქვემოთ 94 საოლქო სასამართლო დგას აქვე შედის ერთი სასამართლო კოლუმბიის ოლქში და ერთიც პუერტოირიკოში. სასამართლოების უფრო დაბალ დონეს რაიონის სასამართლოები წარმოადგენენ. აშშ-ში დროდადრო წარმოიქმნება სპეციალური დანიშნულების სასამართლოთა შექმნის საჭიროება. ისინი ცნობილი არიან „საკანონმდებლო“ სასამართლოთა სახელწოდებით, რადგან კონგრესის გადაწყვეტილებით იქმნებიან. მათ მოსამართლეებს პრეზიდენტის ნიშნავს სენატის თანხმობით. ამჟამად არსებობს სამი სპეციალური სასამართლო: სასარჩელო, საბაჟო და ბაჟის და საპატენტო სასამართლოები.

აშშ-ს უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და რვა ასოცირებული წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს პრეზიდენტი, სენატთან შეთანხმებით. უზენაესი სასამართლოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კონგრესი. კონგრესი ასევე ინარჩუნებს უფლებას, შექმნას და გააუქმოს ფედერალური სასამართლოები და განსაზღვრის მოსამართლეთა რაოდენობა ფედერალურ სასამართლო სისტემაში, მაგრამ მას უზენაესი სასამართლოს გაუქმების უფლება არა აქვს. ცალკეული შტატის სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ყველა შტატი ამ საკითხში უნიკალურია, საერთო კი ისა აქვთ, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო. შტატებში მათი ფორმირების საშუალებები სხვაგვარია: ირჩევა მოსახლეობის ან ლეგისლატურის მიერ, ინიშნებიან გუბერნატორების მიერ ერთპიროვნულად, ან სენატის, ან სპეციალური კომისიის მიერ, მუნიციპალური ხელისუფლების, მერების, ზემდგომი სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ.[7]

ამგვარად, როგორც ირკვევა აშშ-ს სასამართლო სისტემის ორგანოები ერთმანეთისგან არა მხოლოდ სტრუქტურულად არიან გამიჯნული, არამედ ისინი ყალიბდებიან და ინვესტიტურას იძენენ სხვადასხვა გზით და სხვადახვა წყაროს მიერ, რაც რეალურად უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას აშშ-ში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე უნიტარიზმს და ფედერალიზმს ერთმანეთთან ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია, რაშიც უნიტარული საფრანგეთის ადგილობრივი მართვის სისტემის მიმოხილვის შემდეგ დავრწმუნდებით. საფრანგეთში ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია 1982 წლის რეფორმასთან. საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული „კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების

---

[6] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I თბილისი 1999 წ. გვ. 21-22.

[7] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ. გვ. 42; 43

უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ“ კანონით გაფართოვდა კომუნების ავტონომია, გაუქმდა პრეფექტორული მეურვეობა და დაწესდა რეგიონალური საბჭოების არჩევითობა. აღნიშნულმა კანონმა გააუქმა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გადასცა გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. ცენტრის წარმომადგენლად ადგილებზე მოგვევლინა რესპუბლიკის კომისარი, რომელსაც დაეკისრა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა, კონტროლი ფინანსურ საკითხებში დაეკისრა სპეციალურად შექმნილ საანგარიშო-რეგიონულ პალატას. ადგილობრივ დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლი შენარჩუნდა, მაგრამ იგი ხორციელდება მხოლოდ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებზე და არა წინასწარი კონტროლის ფორმით, როგორც ეს ადრე იყო.[8]

1982 წელს მიღებულმა კანონმა - „კომუნების, დეპარტამენტების და რეგიონის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ“ რეგიონს მიანიჭა ტერიტორიული კოლექტივის სტატუსი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის უფლებით. რეგიონი ყველაზე მსხვილი ერთეულია. მეტროპოლიაში ყოველი რეგიონი რამდენიმე დეპარტამენტს აერთიანებს, განსხვავებით დამოუკიდებელი რეგიონებისაგან, რომლებიც იმავდროულად დეპარტამენტს წარმოადგენენ. რეგიონს ხელმძღვანელობს საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული რეგიონული საბჭო. რეგიონის კომპეტენციაში შევიდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო განვითარების უზრუნველყოფა. იგი თვალ-ყურს ადევნებს დეპარტამენტებისა და კომუნების ერთიანობას, ავტონომიურობას და უფლებამოსილებების დაუბრკოლებელ შესრულებას. მან შეიძლება განახორციელოს დამატებითი ფუნქციები სახელმწიფოსთან ერთად.

საფრანგეთის ტერიტორიული სტრუქტურას შეადგენს 101 დეპარტამენტი, რომელთაგან 96-ს ითვლის მეტროპოლია და გაერთიანებულია მის 22 რეგიონში, ხოლო 5 განთავსებულია ზღვის იქითა ტერიტორიებზე. ეს ოთხი დამოუკიდებელი რეგიონია - გვადელუპა, გვიანა, მარტინიკა და რეი-უნიონი. ე.წ. შეთავსებული რეგიონ-დეპარტამენტის გარდა, კიდევ ერთი დეპარტამენტი სენ-პიერ-ე-მიკელონი. ამას ბარდა, საფრანგეთის გაბნეული გეოგრაფია მოიცავს კიდევ ერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსით - მაიოტი და ოთხ ზღვის იქითა ტერიტორიას: ახალი კალედონია, პოლინეზია, ვალის ე ფიუტიუნა, სამხრეთ და არქტიკული ტერიტორიები.

დეპარტამენტი იყოფა საქალაქო და სასოფლო კომუნებად. საფრანგეთში ამჟამად 37 ათასამდე კომუნა არსებობს. ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ქვეყნის უმსხვილესი ქალაქები - პარიზი, მარსელი და ლიონი. მათი მართვა ორსაფეხურიანი სისტემით ხორციელდება.

1991 წლიდან განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსით სარგებლობს კუნძული კორსიკა, რაც იმით გამოიხატება, რომ მას მინიჭებული აქვს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.[9]

ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად საფრანგეთის პარლამენტიც ორპალატიანია, რომელიც შედგება ეროვნული კრებისა და სენატისაგან. ეროვნული კრების არჩევნებისას გამოიყენება მაჟორიტარული სისტემა. ეროვნული კრების წევრები აირჩევიან ხუთი წლის ვადით, პირდაპირ, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით. ეროვნული კრება შედგება 577 დეპუტატისაგან. რაც შეეხება ფრანგული პარლამენტის ზედა პალატას - სენატს, მისი არჩევა ხდება სამსაფეხურიანი არჩევნებით. სენატორები აირჩევიან თითოეული დეპარტამენტის კოლეგიებში, მთლიანობაში საარჩევნო კოლეგია შედგება დაახლოებით 108 ათასი წევრისაგან, რომელთაგან 600 დეპუტატია, 3000-ზე მეტი გენერალური და რეგიონალური მრჩეველი და დაახლოებით 104 ათასი - მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ფაქტიურად, ამ უკანასკნელთა მიერ ხდება სენატის არჩევა. როგორც ვხედავთ სენატორები აირჩევიან ირიბი წესით. სე-

[8] გ. კვერენჩხილაძე, ო. მელქაძე,ს აფრანგეთის სახელწმიფო სისტემა, თბილისი 1997 წ. გვ. 144.

[9] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I თბილისი 1999 წ. გვ. 318.

ნატი აირჩევა 9 წლით - 3 წელიწადში მესამედის განახლებით. სენატი შედგება 322 წევრისაგან განსხვავებით ქვედა პალატის - ეროვნული კრებისაგან მისი დათხოვნა არ შეიძლება.

დებულებებს სასამართლო ხელისუფლების შესახებ ეთმობა საფრანგეთის კონსტიტუციის მერვე კარი. საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი. ამ ფუნქციის განხორციელებაში მას ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. საფრანგეთის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს მეთაურობს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამ პოსტზე იგი შეიძლება შეცვალოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც თანამდებობის მიხედვით მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეა. ორგანული კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად უმაღლეს საბჭოში შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცხრა წევრი.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო წარადგენს კანდიდატურებს საკასაციო სასამართლოების მოსამართლეების და სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად. ორგანული კანონის შესაბამისად და იუსტიციის მინისტრის თხოვნით, მას გამოაქვს დასკვნა სხვა მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე. ორგანული კანონის შესაბამისად მისი აზრის გაგება აუცილებელია შეწყალების საკითხების გადაწყვეტის დროს. მოსამართლეების მეირ ჩადენილი დელიქტების განხილვის დროს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო მოქმედებს როგორც დისციპლინარული საბჭო. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეობს საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.[10]

საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე და 65-ე მუხლებში მოცემული შინაარსი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ფრანგული სასამართლო სისტემის ცენტრალიზაციაზე, თუმცა, გარკვეული დეკონცენტრაციის ელემენტები ფრანგული სასამართლო ხელისუფლებისა მაინც გვხვდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე.წ. კვაზისასამართლო ორგანოები, რომლებიც სპეციალიზებული არიან გარკვეული კატეგორიის საქმეთა განხილვაზე. მათ მიეკუთვნებიან სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა (პატიოსნებით განთქმულ პირთა) საბჭოები, სოციალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალე ბი და სხვა.

ფრანგული სასამართლო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის თავისებურ ვარიაციად შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემას ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ფორმალურად თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, მას კი ცვლის იუსტიციის მინისტრი. ფაქტობრივი ხელმძღვანელობა ვიცე-თავმჯდომარეს ეკუთვნის. თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე საჩივრების ძირითადი მასა განიხილება ადმინისტრაციული ტრიბუნალების მიერ. 1987 წელს შეიქმნა ხუთი ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო. თითოეული მათგანის კომპეტენცია რამდენიმე დეპარტამენტის ფარგლებში ვრცელდება. ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ რგოლს ადმინისტრაციულ ტრიბუნალებსა და სახელმწიფო საბჭოს შორის. მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო საბჭოში. [11]

ფედერალურ აშშ-სა უნიტარული საფრანგეთის ტერიტორიული მოწყობის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ საერთო ნიშან-თვისებებზე. კერძოდ, რა გვაქვს მხედველობაში?! აშშ და საფრანგეთი ორივე განვითარებული დემოკრატიული ქვეყანაა. დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზება ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესია. კონსტიტუციონალიზმში განასხვავებენ ხელისუფლების დანაწილების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფორმას. ხელისუფლების ჰორიზონტალურ განაწილებაში გულისხმობენ

[10] ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქცვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 1992 წ. გვ. 149.

[11] გ. კვერენჩხილაძე, ო. მექლაძე საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი 1997 წ. გვ. 129

და შეისწავლიან მმართველობისა ფორმებს (საპრეზიდენტო, შერეული და საპარლამენტო მმართველობები), ხოლო ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილებაში მოიაზრება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მოდელები. ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების პროცესი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ბოჭვას. ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება ხორციელდება სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე. სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად, „დაუშვებელია შედარებით მაღალი საფეხურის ხელისუფლებას დაეკისროს იმ ფუნქციების განხორციელება, რომელთა განხორციელება შედარებით დაბალი საფეხურის ხელისუფლებას შეუძლია". სუბსიდიარობის პრინციპი კი თავისუფლად ეყრდნობა და მოიცავს ისეთ ღირებულებას როგორიცაა: დეკონცენტრაცია და დეცენტრალიზაცია. „დეკონცენტრაცია გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილებზე დანიშნული სახელმწიფო აგენტების - სახელმწიფო მოხელეებისათვის უფლებამოსილებების გადაცემას, აგრეთვე მმართველობის ერთ დონეზე გადაცემული უფლებამოსილებები, დარგობრივი პრინციპით დანაწევრება - განაწილებას".[12] ხოლო, რაც შეეხება დეცენტრალიზაციას, ის გულისხმობს „ცენტრალური ხელისუფლების მიერ ცალკეული უფლებამოსილებების ცენტრისგან დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანოებისათვის, გადაცემას. დეცენტრალიზაციის დროს სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული, პირი, ასხვისებს თავისი უფლებამოსილებების ნაწილს სხვა იურიდიული პირის - ტერიტორიული კოლექტივის სასარგებლოდ".[13] დეცენტრალიზებული სახელმწიფო იყოფა თვითმმართველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ.[14]

ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ საფრანგეთში თვითმმართველობის ყველაზე მაღალი დონის ტერიტორიული ერთეულები - რეგიონები და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეული შტატები. ვინაიდან და რადგანაც, ცალკეული შტატი არ არის სუვერენიტეტის მატარებელი, მათ არ გააჩნიათ თვითგამორკვევის უფლება, არ შეუძლიათ უცხო სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადება, არც საფრანგეთის რეგიონებს და არც ამერიკის ცალკეულ შტატებს არ შეუძლიათ აწარმოონ თავდაცვითი ომი. მიუხედავად ცალკეული შტატის ადმინისტრაციული დამოუკიდებლობისა ფედერალური ხელისუფლებისგან, ისინი მაინც დიდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე. მხედველობაში გვაქვს ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის - სენატის ფორმირებისა წესი, სადაც თითოეული შტატიდან აირჩევა ორორი სენატორი, ხოლო თვით სენატის თავმჯდომარე როგორც წესი არის ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი. საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატაში - სენატში ასევე უზრუნველყოფილია ტერიტორიული ერთეულების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა ფრანგი სენატორების მიერ. ამერიკის ცალკეულ შტატს გააჩნია კონსტიტუცია, რომელიც რა თქმა უნდა შესაბამისობაშია ქვეყნის ძირითად კანონთან - კონსტიტუციასთან, საფრანგეთის რეგიონებთან დაკავშირებით კი დავძენთ, რომ მათ არ გააჩნიათ კონსტიტუციები, თუმცა, საფრანგეთის რეგიონები თავიანთი წესდების საფუძველზე მოქმედებენ, რომელიც თვისი არსით შეიძლება ითქვას, რომ არის ამერიკის ცალკეული შტატის კონსტიტუციის ანალოგიური და ეს წესდებაც შესაბამისობაში არის მოყვანილი საფრანგეთის კონსტიტუციასთან. ამერიკის ცალკეულ შტატებს უფლება აქვთ უფლება ჰქონდეთ საგადასახადო და შემოსავლების განაწილების საკუთარი პოლიტიკა, იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთის რეგიონალურ ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებით. მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფედერალური საფრანგეთის ერთ საერთო ნიშანზე, რომელიც ვლინდება ორივე ქვეყნის სამართალდამცავ სისტემაში. მხედველობაში გვაქვს ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ბიურო და ფრანგული ჟანდარმერია, ერთიც და მეორეც ყალიბდება ექსტერიტორიულობის პრინციპით, ერთმნიშვნელოვნად ექვემდებარებიან ცენტრალური აღმასრულებელი ხელი-

[12] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ. 373.

[13] ო. მექალძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002 წ. გვ. 53.

[14] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ. 373-374

სუფლების უმაღლეს რგოლებს და ადგილობრივი რესურსითა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული პოლიციური ძალების გამაწონასწორებელი ფუნქციას ასრულებენ.

ჩვენ სასამართლო ხელისუფლების ფორმირების თავისებურებები მიმოვიხილეთ ფედერალურ ამერიკის შეერთებულ შტატებში და უნიტარულ საფრანგეთშიც. ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ში სასამართლო ხელისუფლება დეცენტრალიზირებულია. ცალკეულ შტატს აქვს უფლებამოსილება თვითონ ჩამოაყალიბოს სასამართლო ორგანოები, რასაც ვერ ვიტყვით საფრანგეთის რეგიონებთან მიმართებაში. წარმოდგენილ პუბლიკაციაში დიდი ადგილი დავუთმეთ საფრანგეთის სასამართლო სისტემის მიმოხილვას, სადაც ნათლად ჩანს რომ ხელისუფლებათა ურთიერთშეკავება-გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე ფრანგული სასამართლო ხელისუფლება არის დანაწევრებული და გარკვეულ ასპექტში დეკონცენტირებულიც კი. სასამართლო სისტემას დანაწევრებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ საერთო სასამართლოების სისტემისგან გამიჯნულია ადმინისტრაციული იუსტიცია, რომლის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოთა სისტემა ინვესტიტურას (უფლებამოსილებას) ღებულობს მთავრობისგან. ადმინისტრაციულ სასამართლოს ცალკე სისტემად ჩამოყალიბებას უმნიშვნელოვანესი დატვირთვა გააჩნია. უნიტარულ სახელმწიფოში ფართო ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი რამდენიმე დონიანი თვითმმართველობის არსებობის შემთხვევაში, რადგანაც პირდაპირი წესით არჩეული მერი და წარმომადგენლობითი ორგანო ერთად აღებული ანგარიშგასაწევი სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსის მატარებლები არიან. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს ხელისუფალი, რომელიც გაანთავისუფლებდა თანამდებობიდან არჩეულ მერს. ვინაიდან, ადმინისტრაციულ სასამართლოში ადგილობრივი მმართველობის აქტები საჩივრდება, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალწარმოების მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის ფორმირება არ უნდა ხდებოდეს იმავე წყაროებისა და იმავე რესურსის მონაწილეობით, რომლებითაც ყალიბდება ადგილობრივი ხელისუფლება. ამას გარდა, ჩვენ შეიძლება თავს უფლება მივცეთ და ვიმსჯელოთ ფრანგული სასამართლო სისტემის დეკონცენტრაციაზე. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს სპეციალიზირებული, გარკვეული კატეგორიის საქმეთა განმხილველი კვაზისასამართლო ორგანოები, რომლებიც ადგილობრივი ადამიანური რესურსით შეიძლება ყალიბდებოდეს, როგორც უკვე აღინიშნა ეს კვაზისასამართლო ორგანოებია: სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა (პატიოსნებით განთქმულ პირთა) საბჭოები, სოციალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვ.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფედერალური ამერიკის შეერთებულ შტატებს და უნიტარულ საფრანგეთს ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების თვალსაზრისით, თითქმის ყველა ასპექტში ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია. შეიძლება ჩვენ კითხვის ნიშნები დავსვათ ფრანგული და ამერიკული სასამართლოს დეცენტრალიზაციასთან, როგორც საერთო დამახასიათებელ ნიშანთან დაკავშირებით, მაგრამ ესეც გარკვეულ ასპექტში პირობითია და მხოლოდ ნორმალურ ხასიათს ატარებს, რადგანაც აღნიშნული საკითხის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ საფრანგეთის სასამართლო ხელისუფლება ღრმა დანაწევრებას განიცდის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ თანამედროვე, განვითარებული და დემოკრატიული უნიტარული სახელმწიფო ეს არის რეგიონალური სახელმწიფო და ამ უკანასკნელს ფედერალურ სისტემასთან ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია.

ზემოთ ჩვენ ვწერდით, რომ ფედერალური სახელმწიფო ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე იქმნება, მაგრამ განა თანამედროვე უნიტარული სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე შექმნილი?! აქ მხოლოდ დადებითი პასუხის შეიძლება არსებობდეს, რადგანაც ნებისმიერი, კლასიკური გაგებით უნიტარული სახელმწიფო

გარდაიქმნება რეგიონალურ სახელმწიფოდ. სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზაციის შედეგად, რა თქმა უნდა, თუ, ამას ეკონომიკური ფაქტორებიც ხელს უწყობენ. შესაბამისად, უნიტარული, რეგიონალური სახელმწიფოც შეიძლება მოწყობილი იქნეს როგორც ტერიტორიული ნიშნით ასევე - ეროვნული, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ეთნიკური ნიშნით, რადგანაც დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციიდან გამომდინარე ეროვნულობა და მოქალაქეობა არსობრივად ერთმანეთთან არის გაიგივებული. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული ფედერაციებისა და უნიტარული რეგიონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების მიზეზები და არსებული პრობლემატიკაც იდენტურია. არსებობს აზრი, რომ ფედერალიზმი შეიძლება იყოს ეთნიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალება. რეალურად კი, პოლიეთნიკური ფედერაციების არსებობის შენარჩუნება მეტად რთულია და მაღალია მათი დაშლის შანსი[15]. როგორც ლევან მატარაძე აღნიშნავს, იმ ფედერაციულ სახელმწიფოებში, რომლებშიც არსებობენ სუბიექტები, შექმნილი ეროვნული ნიშნით, პერმანენტულად არსებობს ტერიტორიული რღვევის საფრთხე (კვებეკი კანადაში, ქაშმირი ინდოეთში, კოსოვო იუგოსლავიაში)[16].

კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველია ორსუბიექტიანი ე.წ. ბიპოლარული ფედერალიზმი. ხუბუა წერს, რომ ბიპოლარული ფედერალიზმის შედარებით ნაკლები ინტეგრაციული შესაძლებლობები განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როდესაც ერთმანეთს ემთხვევა ეთნიკური და ტერიტორიული ერთეულების საზღვრები, გაცილებით მეტი პრობლემა წარმოიშობა ეთნიკური ან სხვა, კულტურული ნიშნით განსხვავებული ჯგუფების ინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, ბიპოლარული ფედერალიზმის დროს ფედერალურ ხელისუფლებას შესაძლებლობა არა აქვს გააწონასწოროს ფედერაციის სუბიექტთა ურთიერთგანსხვავებული ინტერესები ისევ ფედერაციის სუბიექტთა განსხვავებულ ინტერესთა კოალიციის ჩამოყალიბების გზით. ბიპოლარულ ფედერაციას არ ძალუძს დაეყრდნოს მზარდ ინტერტერიტორიულ კოალიციას, რომელიც, თავის მხრივ, ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას. ბიპოლარულ ფედერაციულ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების მთელი საქმიანობა მიმართულია ფედერაციის ორ სუბიექტს შორის კონსენსუსის მიღწევისაკენ, რაც საბოლოოდ, ხელს არ უწყობს ინტეგრაციული ტენდენციების გაძლიერებას[17]. ამას გარდა, ეთნიკურ ფედერალიზმთან დაკავშირებით გიორგი ხუბუა განმარტავს, რომ კულტურას მიკუთვნებული საკითხები დასაშვებია გადანაწილდეს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის. სავსებით ნორმალურია მაგალითად, ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებდეს განსხვავებული ეროვნული თეატრი, ლიცეუმი, რადიო. მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ერთმანეთის გვერდით ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული პოლიციის არსებობა. თუ, სახელმწიფო იძულების აპარატი ჩამოყალიბდა ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, ადრე თუ გვიან, იგი აუცილებლად გამოიწვევს ანარქიას, ომს (რასაც ადასტურებს კვიპროსისა და ლიბანის მაგალითი)[18].

ვოუტერ პასიც ამბობს, რომ ბიპოლარული ფედერალიზმი უაღრესად არასტაბილურია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ასეთი ფედერალიზმი ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან, თავის თავში მუდმივად იფარავს მოსახლეობის ორივე ჯგუფს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების საფრთხეს. ეს გამოხატულია ბელგიის სინამდვილეშიც. ბიპოლარული ფედერაციული სახელმწიფოს მაგალითებია, როდეზიისა და ნიასალენდის კავშირი, ჩეხოსლოვაკია, სერბეთ-ჩერნო-

---

[15] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2009 წ. გვ. 14.

[16] ლევან მატარაძის მოხსენება, საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები; Pro et Contra. კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2000 წ. გვ. 34

[17] გიორგი ხუბუა, ფედერაციზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000 წ. გვ. 334

[18] გიორგი ხუბუა, ფედერალზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000წ. გვ. 174

გორიის კავშირი (ე.წ. მცირე იუგოსლავია) კანადა, ბელგია და სხვა. ამათგან პირველი სამი სახელმწიფო დაიშალა[19].

ჩვენი ღრმა რწმენით, ეთნიკურ ფედერალიზმთან დაკავშირებით მოცემული დებულებები თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს იმ უნიტარულ სახელმწიფოებზე, რომლებშიც რეგიონალიზმი უპირველეს ყოვლისა შექმნილია ეროვნული ნიშნის საფუძველზე, სადაც ავტონომიის საზღვრები ამა თუ იმ ეთნოსის განსახლების საზღვრებს ემთხვევა. აღნიშნულის დასადასტურებლად შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ესპანეთის კატალონიისა და ბასკეთის ავტონომიური გაერთიანებები. საფრანგეთში კორსიკული ეთნოსით დასახლებულ კუნძულ კორსიკას ფართო ავტონომიური უფლებები გააჩნია, ამ უკანასკნელზე წელიწადში 200-დან 300-მდე დივერსიული აქტი ხდება ეთნიკურ-ექსტრემისტულ მოტივებზე. უნიტარული სისტემის მქონე ბრიტანეთის მაგალითიც შეიძლება გავიხსენოთ, სადაც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე შოტლანდიის მისწრაფებები დამოუკიდებლობისკენ, და ბოლოს, შორს რომ აღარ წავიდეთ, საქართველო და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულმა ავტომონიების აფეთქებებმა მოიცვეს, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ რაიმე პრინციპული სხვაობა არ იკვეთება ფედერალურ და თანამედროვე უნიტარულ სისტემებს შორის. ვერც ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულ ფედერალიზმს და რეგიონალიზმს (ავტონომიები უნიტარულ სახელმწიფოში) ვერ განვიხილავთ პანაცეად ეთნიკური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით. ისინი მხოლოდ პრობლემის კონსერვაციასა და გადავადებას შეიძლება უწყობდნენ ხელს. შესაბამისად ყოველგვარი მსჯელობა, რომ ტერიტორიული მოწყობის რომელიმე მოდელმა შეიძლება გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მიგვაჩნია უსაგნოდ, რადგანაც ასეთ მსჯელობებში ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით ეთნიკური ნიშნის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ტერიტორიული მოწყობის მოდელებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2008წ;
2. გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2009წ;
3. გიორგი ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000წ;
4. ოთარ მელქაძე, გიორგი თევდორაშვილი, რეგიონალიზმი სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა, თბილისი 2003წ;
5. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008წ;
6. ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999წ;
7. გიორგი კვერენჩხილაძე, ოთარ მელქაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი 1997წ;
8. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 1992წ.

[19] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური ხარისხის მოსაპოველად კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2009 წ. გვ. 97

აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება

ქართლოს ფრიდონაშვილი - სამართლის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ავტორი ერთმანეთს ადარებს ფედერალურ და უნიტარულ სისტემას აშშ-სა და საფრანგეთის ტერიტორიული მოწყობის მაგალითებზე დაყრდნობით. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, თანამედროვე უნიტარულ და ფედერალურ სისტემას ბევრი საერთო ნიშან - თვისება გააჩნია, რადგანაც განვითარებული თვითმმართველობა და ზოგადად, ხელისუფლების განაწილება ვერტიკალზე სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ცენტრალიზებული უნიტარული სისტემის მოდიფიცირებას და სამართლებრივი თვალსაზრისით, მის მსგავსებას ფედერალურ სისტემასთან. ავტორის აზრით, თანამედროვე დემოკრატიული პროცესი ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას თანდათანობით აცლის პოლიტიკურ საფუძვლებს და ის ექცევა დემოკრატიული პარამეტრებით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში.

Comparative analysis of governmental administrations of the USA and France

Qartlos Pridonashvili -Doctor of law

Summary

In this publication the author makes a comparison of Federal and unitary systems based on examples of territorial organization in the USA and France. According to the view presented in this article modern federal and unitary systems have many common features because developed self government and generally distribution of powers are based on principles of vertical subsidiarity which enables modification of controlled unitary system and similarity with the federal system is obvious if we take into consideration legal principles. The author thinks that modern democratic process deprives of political basis for the territorial organization of the state which falls within legal frameworks defined by democratic parameters.

L'analyse comparative des administrations gouvernementales des Etats-Unis et la France

Qartlos Pridonacvili-Docteur en droit

Résumé

Dans cette publication, l'auteur fait une comparaison des systèmes fédéraux et unitaires sur la base des exemples d'organisation territoriale aux Etats-Unis et en France. Selon le point de vue présenté dans cet article un système fédéral et unitaire modernes ont de nombreuses caractéristiques communes parce développé gouvernement de soi et généralement répartition des compétences sont fondées sur les principes de subsidiarité verticale qui permet la modification d'un système unitaire contrôlée et la similitude avec le système fédéral est évident si l'on tenir compte des principes juridiques. L'auteur pense que le processus démocratique moderne prive de fondement politique de l'organisation territoriale de l'Etat qui s'inscrit dans un cadre juridique défini par des paramètres démocratiques.

სიმართლე დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა მწვავე დებატებს იწვევს ისტორიკოსებსა და მეცნიერებს შორის. ისტორიის გამყალბებლები ძალას არ იშურებენ, რომ დამალონ სიმართლე და დეზინფორმაცია გავრცელონ მაჰმადიანი მესხების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას ხშირად უწოდებენ "თურქ მესხებს," "ახისკელ თურქებს" ან "კავკასიელ თურქებს". ასეთი ტერმინების შემოღება ერთ მიზანს ემსახურება: ისტორიის გაყალბება და ისტორიული რეალობის დამახინჯება. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლის დეპორტირებული მესხების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ისტორიული წყაროებიდან, საარქივო მასალებიდან და მოსახლეობის აღწერებიდან ირკვევა, რომ მათი დიდი უმრავლესობა წარმოშობით ქართველია. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: თუ წარმოშობით ქართველები არიან, რატომ განიცდის დეპორტირებული მესხი მოსახლეობა ეროვნული იდენტობის კრიზისს და რატომ არ თვლის მათი უმრავლესობა თავს ქართველი ერის ნაწილად? საქმე იმაშია რომ მესხეთში ადამიანის ეთნიკური კუთვნილება განისაზღვრებოდა (ხშირად ახლაც ასე ხდება) რელიგიის მიხედვით. შუა საუკუნეებში ქართული ეროვნული ცნობიერება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრობაზე იყო დაფუძნებული. რელიგია ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. პიროვნება მანამდე ითვლებოდა ქართველად, სანამ ის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი რჩებოდა, მაგრამ თუ ის გამაჰმადიანდებოდა, ის ქართველად აღარ ითვლებოდა და საზოგადოება მას "თურქს" ან "თათარს" ეძახდა. მაჰმადიანი ქართველები მოიხსენიებოდნენ როგორც "თათრები" და არა როგორც "ქართველები." საუკუნეების განმავლობაში მესხები თავიანთ თავს აღიქვამდნენ იმ რელიგიის მიხედვით, რომელთა მიმდევრებიც ისინი იყვნენ. ისლამის მიღება მესხებისათვის გათურქების ტოლფასი იყო. ბევრი ქართულად მოლაპარაკე მუსლიმი მოიხსენიებოდა "თურქად" მესხეთში მათი მაჰმადიანური იდენტობის გამო. (მაჰმადიანი=თურქი, ქრისტიანი = ქართველი). ამრიგად, ისლამის მიღება ეთნიკური იდენტობის ცვლილების ტოლფასი იყო. თვითიდენტიფიკაცია ისევ მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიასთან. ხშირად ვლინდება რომ ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია ან ემთხვევა რელიგიურ იდენტობას.

მესხების გათურქების პროცესი XVI საუკუნიდან იწყება, როდასაც ოსმალეთის იმპერია თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. 1590 წელს ირანმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადო თურქეთთან, რომლის მიხედვითაც მან მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია თურქეთს გადასცა. ამ ხელშეკრულების თანახმად მესხეთი თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა და ეს მხარე ოსმალეთის იმპერიის პროვინცია გახდა. ამ პერიოდიდან იწყება მესხების გამაჰმადიანების პროცესი. ოსმალეთის იმპერია რელიგიური ექსპანსიით ცდილობდა თავისი გავლენის განმტკიცებას მესხეთში და ამ მხარეში თურქულ ტომებს ასახლებდა. თურქული მომთაბარე ტომების შემოსვლას თან სდევდა ისლამის გავრცელება მესხეთში. თუმცა ოსმალეთი დიდი ძალისხმევით ცდილობდა მესხეთის "ათვისებას", თურქული ტომების მიგრაციამ მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა ამ მხარის ეთნიკური სტრუქტურა. თურქეთის სულთნების ინიციატივით სამცხე-საათაბაგოში სახლდებოდნენ თურქული, თურქმენული და

ქურთი მომთაბარე ტომები, რომელიც მიზნად ისახავდა მესხეთის გათურქების დაჩქარებას.[1] ჩრდილოეთ კავკასიური ტომები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მონებით ვაჭრობაში, ასევე სახლდებიან მესხეთში. მიუხედავად იმისა რომ ხდებოდა ამ ტომების მიგრაცია მესხეთში, ქართველები მაინც მოსახლეობის უმრავლეოსობას შეადგენდნენ და ჩამოსახლებული ტომები უმცირესობაში რჩებოდნენ.[2] თურქული ტომების მიგრაციას მესხეთში არ მიუღია მასიური ხასიათი და მესხეთის გათურქების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მესხეთის ტოპონიმიკისა და მესხეთის ონომასტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული მესხეთის მოსახლეობაში ვიდრე სხვა ენები. ქართული ენის უფრო დომინანტური პოზიციის დამადასტურებელი საბუთია ასევე იმ დასახლებების სახელები, სადაც მაჰმადიანი მესხები შუა აზიაში გადასახლებამდე ცხოვრობდნენ. თითქმის ყველა დასახლებას, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, ქართული სახელი აქვს: კლდე, იდუმალა, ტყემლანა, ზეუბანი, ტატანისი, კიკინეთი, კოპაძე, ტობა, ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, მიქელწმინდა, მლაშე, წრე, წინუბანი, გორთუბანი და ა.შ.[3] ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არ მოხდა ჩამოსახლებული ტომების მიერ სახელების დარქმევა საკუთარი დასახლებებისათვის, რომელიც ხშირად ხდება როცა მიგრაციის შედეგად ერთი ენა იცვლება მეორეთი. მესხური ტოპონიმიკის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ქართული ენას დომინანტური პოზიცია ეკავა მესხეთში და მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.[4] 1590 წელს მესხეთის დაპყრობის შემდეგ, ამ მხარეში ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით მათ შექმნეს ხელნაწერი, რომელსაც "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი უწოდეს" (" ეფტერი უფასსალ Vილაყეტი რც სტან"). ეს დოკუმნეტი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ დოკუმენტის ონომასტიკური ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სამცხე-საათაბაგო თითქმის მთელიანად დასახლებული ყოფილა ქართველებით.[5] "გურჯისატანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით მესხეთის მოსახლეობა 12.738 კომლისაგან შედგებოდა, რომელთაგან 12.339 კომლი ეთნიკური ქართველი (მართლმადიდებელი ქრისტიანი) იყო.[6] ამ დოკუმენტით ირკვევა რომ XVI-ე საუკუნის ბოლოს მესხეთის მოსახლეობის აბსულუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ჩამოსახლებული მოსახლეობა უმცირესობაში რჩებოდა. თურქებმა შესანიშნავად იცოდნენ რომ სამცხე-საათაბაგო ძირძველი ქართული მიწა იყო და ამიტომაც უწოდეს მას "გურჯისტანის ვილაიეთი". ცნობილი ოსმალო მოგზაური, ევლია ჩელები ეწვია მესხეთს XVII საუკუნეში და მის "მოგზაურობის წიგნში" აღწერა ამ მხარის ციხეები და ხალხი. ევლია ჩელები ასევე განთქმულია იმით, რომ მოგზაურობის დროს იწერდა თითოეული მხარისათვის დამახასიათებელ მეტყველების ნიმუშებს. მისი წიგნი შეიცავს ასევე ძველ ქართულ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებსაც მესხები იყენებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.[7] მისი აზრით მესხეთის ყველა მცხოვრები ქართულად ლაპარაკობდა. მიუხედავად იმისა რომ XVIII და XIX საუკუნეებში მდგომარეობა შეიცვალა და თურქული ტომების რიცხვმა იმატა მესხეთში, ქართველები მაინც მესხეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამას ადასტურებენ ევროპელი მკვლევარები და მეცნიერები, რომლებმაც კავკასიაში იმოგზაურეს და საქართველოს მოსახ-

1. ლომსაძე, შ. (1975). სამცხე-ჯავახეთი, თბილისი: "მეცნიერება".
2. ჯაოშვილი, ვ. (1984). საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბილისი: "მეცნიერება".
3. ვარსკნელიძე, ი. (2000). ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია, თბილისი: "სამშობლო".
4. Trier, T. & Khanzhin A. (2007). The Meskhetian Turks at the Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?, Berlin: Lit Verlag.
5. ჯიქია, ს. (რედაქტორ) (1941). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (efteri Mufassal Vilayeti Gürcüstan), წიგნი II, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა.
6. ფუტკარაძე, ტ. (2005) მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა, თბილისი: "არტანუჯი."
7. ფუთურიძე, გ. (რედაქტორი) (1971). ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", თბილისი: "მეცნიერება."

ლეობა და რეგიონები შეისწავლეს. მაგალითად, გერმანელმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა, იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781) ოთხნახევარი წელი დაჰყო საქართველოში და საფუძვლიანად შეისწავლა მისი ისტორია, ბუნებრივი რესურსები, ტოპონიმიკა და მოსახლეობის წეს-ჩვეულებანი. მისი ნაშრომი "მოგზაუობა კავკასიაში" ითვლება უაღრესად ავტორიტეტულ გამოკვლევად, რომელიც ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მესხეთის (ზემო ქართლის) ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. როგორც ის აცხადებს მესხეთის (ზემო ქართლის) "მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია და, რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანები არიან. მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა, მათ შორის ყველა თავადი და აზნაურთა უმეტესობა. ქართველთა შორის ბევრი თურქია, ამიტომ ლაპარაკობენ ქართულადაც და თათრულადაც, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ქართული ენა გამოიყენება."[8] XVIII საუკუნეში ახალციხის მაზრის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას ქართული გვარები ჰქონდა.[9] რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერებითაც ირკვევა რომ ქართველები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა რომ თურქული მესხეთის ოფიციალურ ენად იქნა გამოცხადებული და თურქული წეს-ჩვეულებების გავრცელება ინტენსიურად ხდებოდა ამ მხარეში, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სახლში მაინც ქართულად ლაპარაკობდა, ქართულ ტრადიციებსა და ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი მაინც საიდუმლოდ რჩებოდა. ამის შესახებ საინტერსო ინფორმაციას გვაწვდის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1758): "მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. განა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსლინი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტიანენი ვითარცა ბერძენნი..."[10] ქართული როგორც სალაპარაკო ენა, დიდი ხანი იქნა შენარჩუნებული მესხეთში. თუმცა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უმრავლესობა გამაჰმადიანდა და გათურქდა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ორენოვანი რჩებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ისლამიზაციისა და გამაჰმადიანების პროცესი, რომელიც XVII საუკუნეში დაიწყო, საუკუნეები გრძელდებოდა მესხეთში და სრულყოფილად XVIII საუკუნეშიც კი არ იყო დასრულებული. უმეტესწილად თავადაზნაურობამ მიიღო ისლამი, ხოლო გლეხობა დიდი ხანი ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. XVIII საუკუნიდან იწყება გლეხობის გამაჰმადიანების პროცესი.[11] XIX საუკუნეში მესხეთში ისლამიზაციის პროცესი დასრულებულია და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებულია. თურქულენოვანი მოსახლეობის გაზრდა ხდებოდა არა იმდენად თურქული ტომების მიგრაციის ხარჯზე, რამდენადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და გათურქების შედეგად. თუმცა მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ისლამი მიიღო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ამ მხარეში მცხოვრებმა ყველა გამაჰმადიანებულმა ქართველმა დაკარგა თავისი ეროვნება.[12] თურქულმა ბატონობამ რადიკალურად შეცვალა მესხეთის რელიგიური შემადგენლობა, მაგრამ ამ პროცესმა ვერ შეძლო ქართული ეთნიკური ჯგუფის დომინანტური პოზიციის შესუსტება მესხეთში, ვინაიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ქართული ენის, ქართული გვარებისა და ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება.

---

[8] გელაშვილი, გ. (რედაქტორი) (1961), გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

[9] ლომსაძე, შ. (1997). მესხები, ახალციხური ქრონიკები II, თბილისი: "ფარნავაზი."

[10] ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვ. (1991). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I წიგნი, სამცხე, თბილისი: კოოპერატივი "თეგი".

[11] უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".

[12] ანთაძე, კ. (1973). საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი: "განათლება."

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ფრანგი მოგზაური დიბუა დე მონპერე აღნიშნავდა, რომ ახალციხის საფაშოში თურქებად მიჩნეული მოსახლების დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველი იყო და მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა, ქართული გვარები და ზნე-ჩვეულებანი.[13] თურქულმა ბატონობამ მესხეთში ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, რომელიც დასრულდა მხოლოდ კავკასიაში რუსების გამოჩენის შემდეგ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ 1801 წელს, რუსეთმა დაიწყო იმპერიის ტერიტორიების გაფართოება სამხრეთის მიმართულებით, რამაც თურქეთთან ომი გამოიწვია. 1828-1829 წლებში რუსეთმა მოახერხა თურქეთის დამარცხება და ადრიანოპოლის სამშვიდობო ზავის თანახმად მიიერთა მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი.

დიდი იყო იმედი იმისა, რომ მესხეთის განთავისუფლება თურქული ბატონობისაგან შეაჩერებდა ისლამის გავრცელებისა და გამაჰმადიანების პროცესს მესხეთში. მაგრამ სრულიად საპირირისპირო რამ მოხდა. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მაჰმადიანი მესხების გათურქებისათვის: მან მესხეთის აგდილობრივი მოსახლეობისათვის გახსნა თურქული საერო და მუსულმანური სასულიერო სკოლები – მედრესეები.[14] მესხეთში რუსების მოსვლის შემდეგ ქართულმა ენამ თავისი ფუნქცია დაკარგა. როგორც ალექსანდრე ფრონელი აღნიშნავს, ქართული "აღარაა ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივაყრილი და გამოუსადეგარი ცხოვრებაში."[15] ქართველების გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი, რომ რუსეთი ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობას, დაბრუნებოდა ქართულ ფესვებს, დიდ წინააღმდეგობას უწევდა. რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებული მესხების რეინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. მესხი თავად-აზნაურები მზად იყვნენ ისევ თავის სარწმუნოებას დაბრუნებოდნენ და გაქრისტიანებულიყვნენ, თუ რუსეთის მეფე მათ იგივე უფლებებსა და პრივილეგიებს მიანიჭებდა, რაც დანარჩენ საქართველოს თავადაზნაურობას გააჩნდა. ნიკოლოზ I-მა მათ უარი განუცხადა გაქრისტიანებაზე.[16] საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ შეეძლო ამ პროცესში ჩარეულიყო და დახმარებოდა მესხებს დაბრუნებოდნენ თავიანთ ქართულ ფესვებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა 1811 წელს, ხოლო რუსული ეკლესია ამ ხალხის მიმართ არანაირ ინტერესს არ იჩენდა. ქართული საზოგადოებაც ყურადღებას ვერ უთმობდა მესხურ საკითხს, ვინაიდან ქართველები იმ პერიოდში რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მეტ ენერგიას უთმობდნენ. ქართული საზოგადოების ძალისხმევა იმ პერიოდში მთლიანად იყო მიმართული იმისაკენ რომ განთავისუფლებულიყო საქართველო რუსული უღლისაგან. რუსიფიკაციის (გარუსების) პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ქართველ ხალხში, რის გამოც ქართველები ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ (1802, 1804, 1812, 1819-20, 1832). ამიტომაც ქართული საზოგადოება მოუმზადებელი შეხვდა მესხეთის შემოერთებას. სამსონ ფირცხალავა გულისტკივილით აღნიშნავს: "ქართველობას როგორც საზოგადოებას არა გაუკეთებია-რა მაჰმადიანი მოძმეებისათვის: არც სკოლები და სამკითხველოები გაგვიხსნია, არც წიგნები მიგვიწოდებია, არც სიტყვიერი პროპაგანდა გაგვიწევია, არც ნუგეში გვიცია, როგორც შეჰფერის გულშემატკივარ ძმას."[17] მისი აზრით ქართველებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათვითცნობიერებული ამ ძირძველი ქართული კუთხის განთავისუფლების მნიშვნელობა, ვინაიდან "ქართველი საზოგადოება მაშინ ძლიერ

[13] ფუტკარაძე, ტ. (2005). მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა, თბილისი: "არტანუჯი."

[14] ბარათაშვილი, მ. (1998). მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი: "პირველი სტამბა".

[15] ფრონელი, ა. (1991). დიდებული მესხეთი, თბილისი: "მარიხი," გვ. 135.

[16] ბლუაშვილი, უ. (2008). მესხეთის სახელოვანი შვილები, თბილისი: "ტოლერანტი."

[17] ფირცხალავა, ს. (1915). სამაჰმადიანო საქართველო, ტფილისი: "შრომა", გვ. 72

განუვითარებელი იყო, სუსტი ეროვნული შეგნება ჰქონდა და ვერ დააფასა სიდიადე ორი დაკარგული კუთხის დაბრუნებისა."[18]

მესხი ხალხის ბედი დიდად არ აღელვებდა რუსეთის ხელისუფლებას. რუსებს მხოლოდ მესხეთის მიწები აინტერესებდათ და ცდილობდნენ რაც შეიძლება მალე მოეშორებინათ თავიდან ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა.[19] რუსეთი ყველა იმპერიის მსგავსად დაყავი და იბატონეს პრინციპით მოქმედებდა კავკასიაში და ამიტომაც მაჰმადიანი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში მის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის იმპერია მესხეთში ეთნიკური წმენდის პოლიტიკას ატარებდა. მესხეთის მაჰმადიან მოსახლეობას "თურქის" იარლიყი მიაკერეს, რათა გაემართლებინათ მოსახლეობის დეპორტაცია თურქეთში. ათასობით ოჯახი იძულებული გახდა თავისი სამშობლო დაეტოვებინა და თურქეთში დაგასახელბულიყო. რუსები მათ არასანდო ხალხად მიიჩნევდნენ მუსულმანური რელიგიისა და ტრადიციების გამო. იმ პერიოდში რელიგია ეროვნული იდენტობის მთავარ ინდიკატორად ითვლებოდა. კათოლიკები თავიანთ თავს "ფრანგებს" უწოდებდნენ, ხოლო მართლმადიდებლები თავს ქართველებად თვლიდნენ მანამ, სანამ ისინი ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ თუ მოხდებოდა მათი გამაჰმადიანება, ისინი ქართველებად აღარ თვლებოდნენ და მოიხსენიებოდნენ როგორც "თათრები" ან "თურქები". მაჰმადიანი და თურქი იმ პერიოდში სინონიმები იყო და არ ხდებოდა ქართველი მუსლიმების განსხვავება თურქი ხალხისგან. სინამდვილეში იმ ხალხის დიდი უმეტესობა, რომელიც "თურქად" მოიხსენიებოდა ეთნიკური ქართველები იყვნენ. რუსებმა შესანიშნავად იცოდნენ რომ ისინი ეთნიკური თურქები არ იყვნენ და მათ ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს უამრავი ისტორიული წყაროები, ასევე მოსახლეობის საყოველთაო აღწერები რომლებიც რუსეთის იმპერიამ ჩაატარა XIX საუკუნეში. რუსეთის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებში ეს ხალხი რეგისტრირებულია როგორც ქართველი სუნიტები. თურქებმაც შესანიშნავად იცოდნენ რომ ისინი ეთნიკური თურქები არ იყვნენ და ამიტომაც მათ "გურჯი ოღლის" ანუ "ქართველების შვილებს" ეძახდნენ.[20]

რუსეთმა დაპყრობილი ტერიტორიები დააცარიელა მისი ერთგული ბერძენი და სომეხი ახალმოსახლეებისათვის. ათასობით მაჰმადიანი ქართველი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა და რუსეთის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის წყალობით, XIX საუკუნის ბოლოს სომხები ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფად ითვლებოდნენ სამცხე-ჯავახეთში. რუსეთის ბატონობამ რადიკალურად შეცვალა სამცხე-ჯავახეთის ეთნო-კონფესიური სტრუქტურა. რუსეთის აქტიური ხელშეწყობით მოხდა მესხეთის ზოგიერთი მხარის, განსაკუთრებით ჯავახეთის სრული გასომხება. იმ დროს ჯავახეთში გენერალ პასკევიჩის ლოზუნგი იყო გაკრული: "უშიშრად დაეუფლე ამ მიწას, რუსეთის არმია დაგიცავს შენ." სომხების ჩამოსახლება ერთ მიზანს ემსახურებოდა: გენერალ პასკევიჩს, რომელიც იყო სომხების ჯავახეთში ჩამოსახლების ინიციატორი, სურდა რომ სტრაგედიული მნიშვნელობის სამხრეთის სასაზღვარო რეგიონი დაესახლებინა ხალხით, რომელიც იქნებოდა რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი. ცარისტული რუსეთი სომხეთს მის სტრატეგიულ მოკავშირედ თვლიდა და ამიტომაც ცდილობდა ახლად დაპყრობილი მიწების ეთნიკური შემადგენლობა სომხების სასარგებლოდ შეეცვალა.[21]

რუსეთის იმპერიის მსგავს პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა კავშირიც, რომლის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოს გაძლიერება. მაჰმადიან მესხთა დისკრიმინაციის პროცესი საბჭოთა მმართველობის პერიოდშიც გაგრძელდა. საბჭოთა ხელისუფლებამ სხვადასხვა

---

[18] ფირცხალავა, ს. (1915). სამაჰმადიანო საქართველო, ტფილისი: "შრომა", გვ.39, 40

[19] ლომსაძე, შ. (2000). მესხები და მესხეთ, თბილისი: "კავკასიური სახლი."

[20] უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".

[21] ჩხეიძე, ო. (2007). ჩვენი მესხები, თბილისი: "კავკასიური სახლი".

ეთნიკური იარლიყი მიაკერა მესხებს. მაჰმადიან მესხებს მოხსენიებდნენ როგორც "სუნიტ ქართველებს", "თათრებს," "თურქებს" და "აზერბაიჯანელებს." მაჰმადიანი მესხების ეროვნული კუთვნილება "იქმნებოდა" და იცვლებოდა ცარისტული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესების შესაბამისად.

თავდაპირველად მაჰმადიან მესხებს, 1870 და 1916 წელს ცარისტული რუსეთის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებში, მოიხსენიებდნენ "სუნიტ ქართველებად." რუსეთის მიერ ჩატარებული ზემოთხსენებული მოსახლეობის აღწერები გვეხმარება მესხეთის ეთნოკონფესიური შემადგენლობის დადგენაში. ამ აღწერებით დგინდება, რომ თურქული და ქურთული ტომების რიცხვი ძალზედ შეზღუდული იყო მესხეთში. 1870 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად თურქული და ქურთული ტომები შეადგენდნენ ახალციხის მაზრის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 6,32%-ს.[22] ამ დოკუმენტით ჩვენ ვიგებთ, რომ ახალციხის მაზრა 322 დასახლებისაგან შედგებოდა და მისი მთელი მოსახლეობა 63.322 სული იყო. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ცხრილი 1.1. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1870 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	რაოდენობა
სომხები (კათოლიკები და გორიანები)	28.225
ქართველები(მართლმადიდებლები, კატოლიკები და სუნიტი მუსლიმები)	26.799
რუსები (მართლმადიდებლები და დუხობორები)	4.162
თურქული ტომები (თარაქამები და თათრები)	2.935
ქურთი ტომები	1067
ებრაელები	134

წყარო: ზისერ მანი, 1870, გვ. 1-34

ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა უფრო ნათლადაა ასახული ქვემოთ ილუსტრირებულ დიაგრამაში:

დიაგრამა 1.1. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1870 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით



წყარო: ზისერმანი, 1870, გვ. 1-34

[22] Зиссерман К. Л. (редактор)(1870) Сборник материалов для описания Тифлисской губернии. Тифлис: Канцелярия Тифлисского губернатора.

1870 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად სომხები მთელი მოსახლეობის 44%-ს შეადგენენ და ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი იყო ახალციხის მაზრაში. ქართველები მეორე ადგილზე იყვნენ სომხების შემდეგ და მოსახლეობის 42%-ს შეადგენენ. მესამე ადგილი რუსებს ეკავათ 7%-ით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქული ტომების რიცხვი ძალზედ მცირე იყო. ამ აღწერის თანახმად 2.935 თურქი (4,64%) და 1067 ქურთი (1,68%) ცხოვრობდა ახალციხის მაზრაში. ამრიგად, 1870 წელს ქართველები თურქებს რიცხობრივად სჭარბობდნენ და სომხების შემდეგ, მეორე ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ მესხეთში.

1916 წლის მოსახლეობის აღწერამ მსგავსი შედეგები აჩვენა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ 1870 წელს სომხები სჭარბობდენ ქართველებს, 1916 წელს ქართველები ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ მესხეთში. 1916 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ახალციხის მაზრის მოსახლეობა სულ 72.000 სული იყო, რომელიც შემდეგი ეთნიკური ჯგუფებისაგან შედგებოდა:

ცხრილი 2.2. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1916 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	რაოდენობა
მაჰმადიანი ქართველები	52.000
მართლმადიდებელი ქართველები	8.000
კათოლიკე ქართველები	6.000
სულ ქართველები	65.000
სომხები	4.000
ქურთები	2.000

წყარო: ბარათაშვილი, 1998, გვ. 8.[23]

ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა სულ 100.000 კაცი იყო. მისი ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ცხრილი 2.3. ახალქალაქის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1916 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	რაოდენობა
მაჰმადიანი ქართველები	7.000
მართლმადიდებელი ქართველები	8.000
კათოლიკე ქართველები	7.000
სულ ქართველები	22.000
სომხები	76.000
ქურთები	1.000
თარაქამები	1.000

წყარო: ბარათაშვილი, 1998, გვ. 8.

ზემოთ ნახსენები მეფის რუსეთის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ეჭვს არ იწვევს ის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ.

[23] ბარათაშვილი, მ. (1998). მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი: "პირველი სტამბა."

ზემოთ ნახსენები მოსახლეობის აღწერების მიხედვით სულ სამცხე-ჯავახეთში 59.000 მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. ქართველების მთლიანი რაოდენობა კი 87.000-ს შეადგენდა. 1916 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად ქართველების გარდა სამცხე ჯავახეთში 80.000 სომეხი, 3000 ქურთი და 1000 თარაქამა ცხოვრობდა. რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები ნათელ სურათს იძლევა დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმოვავლობის შესახებ. მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, საბჭოთა მთავრობამ მათ 1920-იან წლებში თურქების იარლიყი მიაკერა, ხოლო 1930-იან წლებში მოახდინა მათი "აზერბაიჯანელებად" კლასიფიკაცია. 1940-იან წლებში მათ კვლავ თურქებად მოიხსენიებენ, რომელიც შემდეგ საბაბად გამოიყენეს მათი ცენტრალურ აზიაში დეპორტაციისთვის.[24]

ყველაზე დიდი ზიანი მესხების ეროვნულ ცნობიერებას მიაყენეს 1923 წელს, როცა მესხები "აზერბაიჯანულ ეროვნულ უმცირესობად" გამოაცხადეს. საბჭოთა მთავრობამ მათ ბავშვებს აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნას ქართული სკოლების გახსნის შესახებ უყურადღებოდ ტოვებდნენ.[25] მაჰმადიან მესხებს არაფერი ჰქონდათ საერთო აზერბაიჯანელებთან - არც ეთნიკურად და არც ტერიტორიულად და ამიტომაც ითხოვდნენ ქართული სკოლების გახსნას თავიანთი შვილებისათვის, რადგან მათ შვილებს აზერბაიჯანულის არაფერი გაეგებოდათ. საბჭოთა ხელისუფლებამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მიზეზით რომ ისინი "თათრები" იყვნენ და მშობლიურ ენაზე უნდა ესწავლლათ.[26]

საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება სხვადასხვა დოკუმენტები, სადაც ნათლად აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების დისკრიმინატორული პოლიტიკა მაჰმადიანი მესხების მიმართ და ხაზგასმულია ქართულად განათლების მიღების შესაძლებლობების ნაკლებობა მაჰმადიანი მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ვანო ალიხანაშვილის მოხსენება ახალციხის მაზრის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაწერილია 1926 წელს. ამ მოხსენებაში ის ეხება ახალციხის მაზრაში საგანმანათლებლო პრობლემებს. ის სინანულით აცხადებს: "უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტის ცნობით ყველაზე უმწეო მდოგომარეობაში ახალციხის მაზრაა. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, მაჰმადიანი ქართველები უფრო ჩამორჩენილნი არიან ქრისტიან ქართველობაზე და სომხობაზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ თვითმპყრობელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ... ხალხი, რომელიც მოითხოვს ქართულ ენის სწავლებასა და ქართველ მასწავლებელს, უარს ეუბნებიან და ურჩევენ ან მოცდას, სანამ აზერბაიჯანიდან მასწავლებელი მოვიდოდეს ან რუსულ ენაზე სწავლის დაწყებას..."[27]

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ აზერბაიჯანული სკოლების რაოდენობა 300%-ით გაიზარდა საქართველოში. (თუ საქართველოს გასაბჭოებამდე 30 აზერბაიჯანული სკოლა არსებობდა ქვეყანაში, გასაბჭოების შემდეგ მათი რიცხვი 89-მდე გაიზარდა).[28] არაქართული სკოლების რიცხვმა ასევე საგრძნობლად იმატა ახალციხის მაზრაში აზერბაიჯანული სკოლების ხარჯზე. აზერბაიჯანული სკოლების მკვეთრი ზრდა უფრო ნათლადაა ასახული ქვემოთ ილუსტრირებულ დიაგრამებზე;

საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანული ენის კონსოლოდაციას მესხეთში და ხელი შეუშალა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. სასკოლო წიგნები და სახელმძღვანელოები ეროვნული უმცირესობების სკოლებისათვის და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისათვის საქართვე-

---

24 Trier, T., & Khanzhin, A. (2007). The Meskehtian Turks at the Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?, Berlin: Lit Verlag.

25 უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".

26 ბარათაშვილი, მ. (1998). მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი: "პირელი სტამბა."

27 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 600, აღ# 2, საქმე №125

28 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 284, აღ# 1, საქმე №3322

ლოში არ გამოიცემოდა, არამედ მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან-სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ. აზერბაიჯანული სკოლები მარაგდებოდა აზერბაიჯანში გამოცემული წიგნებით. ეს წიგნები ხშირად ძველი, ხმარებიდან ამოღებული იყო და აზერბაიჯანში აღარ გამოიყენებოდა. წიგნები არ იყო მორგებული საქართველოს განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ რეალობას და არ შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს. ამიტომაც ისინი მინიმალურ საგანმანათლებლო მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ, არ შეეძლოთ წვლილი შეეტანათ ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში და საქართველოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გაზრდაში. არა მარტო წიგნები, არამედ მასწავლებლებიც კი აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ.[29]

იმისათვის რომ დაეჩქარებინათ მესხების იძულებითი დენაციონალიზაცია, მათ ქართული გვარის ტარების უფლება აუკრძალეს. ქართული გვარები აზერბაიჯანულით შეუცვალეს.[30] 1936 წელს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ყველა მაჰმადიანი მესხის "აზერბაიჯანელად" კლასიფიცირება მოეხდინა. ყველა მათგანი აზერბაიჯანელად ჩაწერეს და ამის შემდეგ ისინი ყველა სტატისტიკურ მონაცემებში "აზერბაიჯანელებად" მოიხსენიებოდნენ. რის შედეგადეც მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანელების რიცხვი მესხეთში, რაც დადასტურდა 1939 წლის მოსახლეობის აღწერით.[31]

მესხეთში აზერბაიჯანული კულტურული ავტონომია შეიქმნა. გაზეთები, ჟურნალები და წიგნები აზერბაიჯანულ ენაზე იბეჭდებოდა. ყველა დიდ თანამდებობაზე აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენელი ინიშნებოდა და ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ ფორმალურად შედიოდა. მაჰმადიან მესხებს ეკრძალებდათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. (მხოლოდ დეპორტაციამდე რამოდენიმე წლით ადრე საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნას და 1939 წელს დააკმაყოფილა მაჰმადიანი მესხების თხოვნა, ბევრი აზერბაიჯანული სკოლა ქართულად გადაკეთდა).[32]

დიაგრამა. სკოლები ახალციხის მაზრაში 1928-1929



დიაგრამა. სკოლები ახალციხის მაზრაში 19181921



[29] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი # 284, აღ#1, საქმე#3322

[30] Рафатов, И.Р. (1996). Месхетия и Месхи, Бишкек: издательство "Илим".

[31] Умаров-Гозалишвили, Х. (2004) Трагедия Месхов, Тбилиси: "Кавказский дом."

[32] Умаров-Гозалишвили, Х. (2004) Трагедия Месхов, Тбилиси: "Кавказский дом."

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი N284, აღწერა N1, საქმე 3322, გვ. 64.

როგორც ამ დიაგრამებშია ნაჩვენები, გასაბჭოების შემდეგ სკოლების უმრავლესობა(55%) ახალციხის მაზრაში აზერბაიჯანული იყო. კომუნისტური პარტიის ზოგიერთი მაღალჩინოსანი ეწინააღმდეგებოდა ამ ანტი-ქართულ პოლიტიკას. ისინი აღიარებდნენ იმ ფაქტს რომ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომაც ცდილობდნენ ეს ხალხი კვლავ ქართულ ფესვებს დაბრუნებოდა. 1944 წელს ახალციხის რაიკომის მდივანმა, კირვალიძემ მოხსენება გაუგზავნა ჩარკვიანს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს და ბაქრაძეს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც ის აღიარებდა იმ ფაქტს რომ მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველი იყო და ბევრ მათგანს კვლავ ქართული გვარები ჰქონდა. მან მოუწოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას რომ გაეტარებინათ სასწრაფო ზომები ქართული ენის აღსადგენად მესხეთში და დაეჩქარებინათ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება. ზემოთ ხსენებულ მოხსენებაში მან გააკრიტიკა საბჭოთა მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მოითხოვა ქართული სკოლების გახსნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მან თავის მოხსენებას თან დაურთო გამაჰმადიანებული მესხების ქართული გვარები და აღნიშნა რომ იმ პერიოდში ბევრი მათგანი კვლავ ატარებდა ქართულ გვარებს. თავის მოხსენებაში კირვალიძე განმარტავს 1939 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს და აღწერს დემოგრაფიულ სიტუაციას სამცხე-ჯავახეთში. მისი აზრით აზერბაიჯანელების რაოდენობის მკვეთრი ზრდა მესხეთში იყო გამაჰმადიანებული ქართველების "აზერბაიჯანელებად" კლასიფიკაციის შედეგი. კირვალიძე აღნიშნავს თავის მოხსენებაში:" ახალციხის რაიონში 83 სოფელია. 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით რაიონის მოსახლეობა შეადგენს 55.450 სულს. ეროვნების მიხედვით რაიონის მოსახლეობა შემდეგნაირად გამოიყურება:[33]

ტაბულა 2.5. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

ეროვნება	სოფლად	ქალაქად	სულ
ქართველები	3.989	1.847	5.836
აზერბაიჯანელები	27.811	617	28.428
სომხები	9.301	7.153	16.454
ქურთები	1.407	16	1.423

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი N 600, აღN2, საქმე N600

1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას, 54%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენდნენ. კირვალიძე ხაზს უსვამს თავის მოხსენებაში, რომ ხალხი რომელიც 1939 წლის მოსახლეობის აღწერაში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს მიათვალეს სინამდვილეში ეთნიკური ქართველები იყვნენ. თავის მოხსენებაში კირვალიძე ასახელებს კონკრეტულ ზომებს, რომელთა განხორციელება საჭირო იყო სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ინტეგრაციისათვის ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება მის მოხსენებას და ამ ხალხის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაცვლად, ისინი ცენტრალურ აზიაში გადაასახლეს.

შუა აზიაში გადასახლების შემგედ დეპორტირებულები "თურქებად", "აზერბაიჯანელებად", "მაჰამდიანებად", "კავკასიელებად" და "უზბეკებად" ჩაწერეს, რამაც კიდევ უფ-

[33] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი # 600, აღ#2, საქმე #600

რო გაართულა მათი იდენტიფიკაციის პრობლემა. ხშირად იყო შემთხვევები როცა ერთი და იგივე ოჯახის წევრებს სხვადასხვა ეროვნებას აძლევდნენ. მაგალითად, ოთხ ძმა ზაუტაშვილს ოთხი სხვადასხვა ნაციონალობა მიანიჭეს.[34] თუმცა გადასახლებულების უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ, არც ერთი მათგანი "ქართველად" არ ჩაწერეს. ყოველივე ეს განზრახ გააკეთეს, რათა დაემალათ მაჰმადიანი ქართველების შუა აზიაში გადასახლების ფაქტი და გაემართლებინათ მაჰმადიანი მესხების დეპორტაცია, რომელთა შორის ბევრი იყო ეთნიკური ქართველი. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გამო გადასახლებულებს სხვა ეროვნების ხალხის იარლიყი მიაკერეს.[35] მაჰმადიანი მესხები ძალას არ ზოგავდნენ, რომ შეეჩერებინათ უზბეკეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში და სხვა რესპუბლიკებში მესხების იძულებითი ასიმილაციის პროცესი. მათ მოითხოვეს თავიანთი ქართული ეროვნებისა და ქართული გვარების აღდგენა, მაგრამ საქართველოს მთავრობა მათი მოთხოვნების იგნორირებას ახდენდა. იმ პერიოდში საქართველოს მთავრობა მოსკოვის ბრძანებებს ასრულებდა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება არ შეეძლო.

საბჭოთა მთავრობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მესხების საქართველოში დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას. მესხებს უფლება ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ მხარეში ეცხოვრათ საქართველოს გარდა, ვინაიდან ცივი ომის დროს სამცხე-ჯავახეთი საბჭოთა კავშირსა და ნატოს შორის მგრძნობიარე სასაზღვრო რეგიონად იყო მიჩნეული. ამ რეგიონს მიანიჭეს სპეციალური "სასაზღვრო ზონის" სტატუსი, რამაც კიდევ ერთი დაბრკოლება შეუქმნა ხალხს: არავის შეეძლო ამ რეგიონში შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე. ამ ნებართვას კი დეპორტირებულ მესხებს არავინ მისცემდა. სასაზღვრო ზონის სტატუსი ვრცელდებოდა მთელ სამცხე-ჯავახეთზე, რის გამოც დეპორტირებული ხალხი თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე ვერ ბრუნდებოდა. სამშობლოსთან კონტაქტების არქონამ გამოიწვია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დენაციონალიზაცია და დააჩქარა მათი გათურქების პროცესი.

შუა აზიაში დეპორტაციამდე მაჰმადიანი მოსახლეობის უმრავლესობა (ორი-მესამედი) ქართულად ლაპარაკობდა და საკმაოდ კარგად იყო ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ისინი თავიანთ თავს " urcu oglu"-ს, "ქართველების შვილებს" ეძახდნენ ან " urcu donme"-ს რაც ქართულად გამაჰმადიანებულ ქართველს ნიშნავს ან " ერლყ"-ს, "ადგილობრივს" რათა ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ აბორიგენ მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა დეპორტაციის შემდეგ და დღეისათვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ლაპარაკობს ქართულად და მხოლოდ 5 %-ს აქვს ქართული გვარები. ცენტრალურ აზიაში სამოცწლიანი ცხოვრების შემდეგ ქართული ენა დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი თურქულმა ენამ დაიკავა. დეპორტირებულთა შორის ბევრი იყვნენ ისეთები, რომელბმაც თურქული ენა სრულყოფილად მხოლოდ გადასახლების შემდეგ ისწავლეს. მაჰმადიანი მესხების დასახლებების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლებამდე მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. მაგალითად მაჰმადიანი მესხები შემდეგი სოფლებიდან: ტატანისი, სვირი, გურკელი, გიორგიწმინდა, მუღარეთი, საყუნეთი, შურდო, ზიკლია, წოთხევი, ნესა, ჩოხთა, ვალი, ბოგი, უდე, ინდუსა, ტობა, ახაშენი, ჭობარეთი, თოკა, ქილდო, და სხვა გადასახლებამდე მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ.[36] სიტუაცია შეიცვალა შუა აზიის თურქულენოვან გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ.[37] დეპორტაციის შემდეგ ბევრი მათგანი აიძულეს ქართული გვარი რუსული მაჰმადიანური გვარებით შეეცვალათ, რომლებსაც "-ოვ" დაბოლოება ჰქონდათ. შუა აზიაში თურქულენოვან მოსახლეობასთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, ასევე საქართველოსთან ურთიერთობის ნაკლებობამ, მნიშვნელოვნად დააკნინა მათი ქართული იდენტობა და გა-

---

[34] Edilashvili, N. (2007). Meskhetians: Social Challenges, Prospects and Opportunities During and After the Repatriation. A paper presented at the 2007 International Conference, Bordeaux, France, retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: http://www.cesnur.org/2007/bord_edilashvili.htm

[35] უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".

[36] Умаров-Гозалишвили, Х. (2004) Трагедия Месхов, Тбилиси: "Кавказский дом."

[37] Trier, T., & Khanzhin, A. (2007). The Meskehtian Turks at the Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?, Berlin: Lit Verlag

ზარდა მათში პრო-თურქული ორიენტაცია. ბევრმა მათგანს ჩამოუყალიბდა ძლიერი თურქული იდენტობა. დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს თავის სამშობლოდ აღარ თვლის და ამტკიცებს რომ მათი სამშობლო თურქეთია.[38] შუა აზიის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური გარემო რადიკალურად განსხვავდება ქართული სოციალური და კულტურული გარემოსაგან და ამიტომაც შუა აზიაში მესხების დეპორტაციამ დააჩქარა დეპორტირებული ხალხის გათურქების პროცესი. სოციალური და კულტურული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკურობის და ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში. სოციალური და პოლიტიკური გარემოს ხშირმა შეცვლამ შეიძლება ეთნიკურობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი შეცვალოს.

დეპორტირებული მესხი მოსახლეობა დღეისათვის ეროვნული იდენტობის კრიზისს განიცდის. არ არსებობს მაჰმადიან მესხებს შორის თანხმობა საერთო იდენტობის შესახებ. დეპორტირებულთა ერთი ნაწილი თვლის რომ ეთნიკური თურქია, მეორე ნაწილი მიიჩნევს რომ ეთნიკური ქართველია, დეპორტირებული მესხების მნიშვნელოვან რაოდენობას კი არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ეთნიკური იდენტობა და მათი ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის ხალხი, რომელთა განზრახ დენაციონალიზაცია მოხდა და იდენტობის სერიოზულ კრიზისს განიცდის. დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ეთნიკური იდენტობა მჭიდროდ იყო და კვლავ არის დაკავშირებული რელიგიურ იდენტობასთან და ლინგვისტურ იდენტობასთან. დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა თავიანთ თავს ეთნიკურ თურქად აღიქვამს, რადგან ისინი მაჰმადიანები არიან. ისინი თავს ეთნიკურ ქართველებად არ აღიქვამენ, რადგან ქართველობა ხშირად არის დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან. ამშემთხვევაში რელიგია არის ეთნიკური იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. დეპორტირებულ მესხებს მათი იდენტობის სრული დაკარგვის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ რაც გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულობით და განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოში ცხოვრებით.

დეპორტირებული მესხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ ერთ ადგილზე, ისინი გაფანტულნი არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. დეპორტირებულ მესხ ხალხს არ გააჩნია ერთობის განცდა და თავიანთ თავს არ აღიქვამენ როგორც ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრებს. ამიტომაც მათ არ შეუძლიათ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმდნენ, როგორიც არის ეთნიკური იდენტობა, სამშობლოს ზუსტი განსაზღვრება, და შესაბამისად ვერ თანხმდებიან ქვეყანაზე, რომელიშიც უნდა მოითხოვონ დაბრუნება. (ოდია, 2002) რაც შეეხება ეთნიკურ იდენტობას, დეპორტირებული მესხების უმრავლესობა თვლის, რომ ისინი ეთნიკური თურქები არიან, მაგრამ მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მათ სამშობლოზე. ზოგი მათგანი (განსაკუთრებით მოხუცები) თვლის რომ მათი სამშობლო მესხეთია, ზოგი კი მიიჩნევს რომ სამშობლო თურქეთია და თურქეთში დაბრუნების მომხრეა. დეპორტირებული მესხების მცირე რაოდენობა ამტკიცებს რომ ქართველია და საქართველოს ნებისმიერ მხარეში მოითხოვს დაბრუნებას. დეპორტირებული მოსახლების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეთნიკური იდენტობა, არ შეუძლია დანამდვილებით თქვას თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის და მათი ეთნიკური კუთვნილება ხშირად იცვლება პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად..

დეპორტირებულ ხალხს არასოდეს არ უთქვამს უარი საქართველოში დაბრუნებაზე, მათ ყოველთვის საქარველოში დაბრუნების დიდ სურვილი ჰქონდათ. მაგრამ მესხებს შორის უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სერიოზულად აკნინებს მათ მოძრაობას და რეპატრიაციის შესაძლებლობას. მესხურ სოლიდარობას აკნინებს კონფლიქტები პროთურქული და პროქართული ორიენტაცი-

[38] Meylakhs, P. (2008). "Ethnic Bridges and Multiple Homelands: The Case of the Meskhetian Turks", retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: http://www.allacademic.com/meta/p253240_index.html

ის მესხებს შორის. მუდმივი კამათია იმასთან დაკავშირებით თუ რა სახელწოდებით უნდა მოიხსენიებოდეს დეპორტირებული ხალხი, გამაჰმადიანებულ ქართველებად თუ ეთნიკურ თურქებად. ეთნიკურობაზე კამათი და დეპორტირებული მოსახლეობის პროთურქულ და პროქართულ ძალებს შორის კონფლიქტი ხშირად იწვევს ისეთი ფუნდამენტალური საკითხების გადაფარვას და უკანა პლანზე დაყენებას, როგორიცაა რეპატრიაცია და ადამიანის უფლებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე, კ. (1973). საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი: "განათლება."
2. ბარათაშვილი, მ. (1998). მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი: "პირველი სტამბა".
3. ლომსაძე, შ. (1975). სამცხე-ჯავახეთი, თბილისი: "მეცნიერება".
4. ვარსკნელიძე, ი. (2000). ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია, თბილისი: "სამშობლო".
5. ჯაოშვილი, ვ. (1984). საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბილისი: "მეცნიერება".
6. Trier, T. & Khanzhin A. (2007). The Meskhetian Turks at the Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?, Berlin: Lit Verlag.
7. ჯიქია, ს. (რედაქტორ) (1941). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (ეფტერი უფასსალ Vილაყეტი რც სტან), წიგნი II, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა.
8. ფუტკარაძე, ტ. (2005) მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა, თბილისი: "არტანუჯი."
9. ფუთურიძე, გ. (რედაქტორი) (1971). ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", თბილისი: "მეცნიერება."
10. გელაშვილი, გ. (რედაქტორი) (1961), გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
11. ლომსაძე, შ. (1997). მესხები, ახალციხური ქრონიკები II, თბილისი: "ფარნავაზი."
12. ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვ. (1991). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I წიგნი, სამცხე, თბილისი: კოოპერატივი "თეგი".
13. უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".
14. ფრონელი, ა. (1991). დიდებული მესხეთი, თბილისი: "მარიხი," გვ. 135.
15. ბლუაშვილი, უ. (2008). მესხეთის სახელოვანი შვილები, თბილისი: "ტოლერანტი."
16. ფირცხალავა, ს. (1915). სამაჰმადიანო საქართველო, ტფილისი: "შრომა", გვ. 72
17. ლომსაძე, შ. (2000). მესხები და მესხეთი, თბილისი: "კავკასიური სახლი."
18. ჩხეიძე, ო. (2007). ჩვენი მესხები, თბილისი: "კავკასიური სახლი".
19. Зиссерман К. Л. (редактор)(1870) Сборник материалов для описания Тифлисской губернии. Тифлис: Канцелярия Тифлисского губернатора.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი N 600, აღN2, საქმეN125
21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი N284, აღN1, საქმეN3322
22. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი N 600, აღN2, საქმე N600
23. Рафатов, И.Р. (1996). Месхетия и Месхи, Бишкек: издательство “Илим”.
24. Умаров-Гозалишвили, Х. (2004) Трагедия Месхов, Тбилиси: “Кавказский дом.”
25. Edilashvili, N. (2007). Meskhetians: Social Challenges, Prospects and Opportunities During and After the Repatriation. A paper presented at the 2007 International Conference, Bordeaux, France, retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: http://www.cesnur.org/2007/bord_edilashvili.htm
26. http://www.allacademic.com/meta/p253240_index.html

სიმართლე დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა. ისტორიის გამყალბებლები ძალას არ იშურებენ, რომ დამალონ სიმართლე და დეზინფორმაცია გავრცელონ მაჰმადიანი მესხების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ეს სტატია ისტორიულ წყაროებზე, საარქივო მასალებზე და მოსახლეობის აღწერებზე დაყრდნობით ობიექტურ ინფორმაციას აწვდის მკითხველს დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

The truth about the ethnic origin of deported Meskhetian population

Valeri Modebadze
Associate Professor of International Black Sea University
Associate Professor of American University for Humanities

summary

This article analyzes the ethnic origin of deported Meskhetian population. Falsifiers of history try to hide the truth and spread disinformation about the ethnic origin of Muslim Meskhetians. This article, which is based on historical sources, archival materials and population censuses, gives objective information to readers about the ethnic origin of deported Meskhetian population.

La vérité sur l'origine ethnique de population meskhète déportée

Valeri Modebadze
Professeur agrégé de l'Université Internationale mer Noire
Professeur agrégé de l'Université américaine de sciences humaines

Résumé

Cet article analyse l'origine ethnique de la population meskhète déportée. Falsificateurs de l'histoire essaient de cacher la vérité et la propagation de fausses informations sur l'origine ethnique des Meskhets musulmans. Cet article, qui se fonde sur des sources historiques, des documents d'archives et des recensements de la population, donne des informations objectives aux lecteurs au sujet de l'origine ethnique de la population meskhète déportée.

საარჩევნო სამართლის სამართლიანობის პრობლემები საქართველოში

ქართლოს ფრიდონაშვილი - სამართლის აკადემიური დოქტორი

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის მიხედვით, ,,საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით...“ ამავე კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ ,,საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“. საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის თანახმად კი, ,,...ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ (ადამიანის) უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში ხალხი მოკლებულია რეალურ და ეფექტურ შესაძლებლობას საკუთარი ძალაუფლება განახორციელოს წარმომადგენლების მეშვეობით და ვერც ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების უფლება ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სრულფასოვან სამართლებრივ ბოჭვას. ამას გვაფიქრებინებს მოქმედი საარჩევნო სამართალი. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი, რომლის მიხედვითაც 77 წევრი აირჩევა პროპორციული სისტემით, ხოლო 73 წევრი კი - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, რომ პროპორციული არჩევნები წმინდა პარტიულ სახეს ატარებს. ვინაიდან ამ დროს არჩევნებში ერთმანეთს უპირისპირდებიან პარტიების, პარტიათა ბლოკების ან ერთიანი საარჩევნო პლატფორმით გაერთიანებული პოლიტიკური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პოლიტიკოსთა პარტიული სიები, ხოლო მანდატები საარჩევნო სუბიექტებს შორის წარდგენილი სიების მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად ნაწილდება.[1] მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში კი არჩევით თანამდებობაზე კანდიდატი პირადად წარდგება და გამარჯვებისათვის სხვა კანდიდატებზე მეტი ხმები უნდა მოიპოვოს. პროპორციული საარჩევნო სისტემა ორიენტირებულია პარლამენტში იმ უმრავლესობის ფორმირებაზე, რომელმაც უნდა აირჩიოს პრემიერ-მინისტრი (საპარლამენტო ან შერეულ მმართველობებში). პროპორციულ საარჩევნო სისტემას ძირითადად იყენებენ საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში, რათა სახელისუფლებო კრიზისის შექმნის საფრთხე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, მაგრამ დემოკრატიულ საპარლამენტო მმართველობებში საქართველოს შემთხვევისგან განსხვავებით მოქმედებს პრეფერენციული ვოტუმის წესი. ამ დროს ამომრჩეველს პარტიული სიის ფარგლებში შეუძლია კონკრეტული კანდიდატების მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატოს უპირატესობის - პრეფერენციის კენჭისყრის ფორმით და ბიულეტინში კანდიდატთა მისთვის მისაღები თანმიმდევრობა აღინიშნოს.[2] პრეფერენციულობის პრინციპი პროპორციულ საარჩევნო სისტემაში მოქმედებს ევროპულ დემოკრატიებში (ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვეიცარია, იტალია, ფინეთი). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბრიტანულ საპარლამენტო მონარქიაში გამოიყენება მხოლოდ მაჟორიტარული სისტემა, ფრანგულ შერეულ მმართველობებშიც ერთმნიშვნელოვნად უპირატესობა ენიჭება მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას. საქართველოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა არ ითვალისწინებს პრეფერენციულობის პრინციპს. ქართველი ამომრჩეველი ვერანაირად ვერ მონაწილეობს დეპუტატობის კანდიდატების შერჩევაში და აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, კენჭისყრის შედეგებზეც მისი ზეგავლენა არის უმნიშვნელო. საქართველოს შემთხვევაში ამ-

[1] ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი, თბილისი 2005 წ. გვ. 67

[2] ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი, თბილისი 2005 წ. გვ. 75

ომრჩეველი პოლიტიკური ლიდერისადმი პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე მხარს უჭერს ამავე ლიდერის მიერ შედგენილ დეპუტატობის კანდიდატთა სიას, სადაც კანდიდატთა რიგითობაც განსაზღვრულია პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიერ. ერთი სიტყვით, საქართველოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა ამომრჩეველთა ნების გვერდის ავლით უზრუნველყოფს მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ლიდერის მიერ შერჩეული დეპუტატთა კანდიდატებისათვის საკანონმდებლო ორგანოს მანდატების მიღებას. არჩევის ასეთი წესით მოხვედრილი დეპუტატები თავს ანგარიშვალდებულად იგრძნობენ რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი ლიდერის მიმართ. ვინაიდან, არჩეულსა და ამომრჩევს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. ასეთი საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიის ლიდერს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მომავალ პრემიერ - მინისტრს (საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში) ან პრეზიდენტს (საპრეზიდენტო ან შერეული მმართველობის შემთხვევაში) მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობით. მართალია, საქართველოში პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან ერთად მოქმედებს მაჟორიტარული სისტემა, მაგრამ თვით, მაჟორიტარული სისტემაც პარტიული სისტემის და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მაღალი პოლიტიკური რეიტინგის მქონე ლიდერის გავლენას განიცდის, რადგანაც ევროპულ დემოკრატიებშიც კი, როდესაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ასოცირდება საზოგადოებისათვის ყველაზე მისაღებ პოლიტიკური ლიდერის პარტიასთან, როგორც წესი ამომრჩეველი სწორედ ასეთ მაჟორიტარობის კანდიდატს ანიჭებს უპირატესობას ხმის მიცემისას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არის პროპორციული საარჩევნო სისტემის თვისებების მატარებელი გარკვეულ პარამეტრებში. შესაბამისად მიგვაჩნია და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ საქართველოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა აკნინებს იმ კონსტიტუციური ნორმებისა და გარანტიების მნიშვნელობას, რომელთა მიხედვითაც, ,,ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს... თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“, ,,უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“, ,,... ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ (ადამიანის) უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

მართალია, მოქალაქეთა ნების თავისუფალი გამოვლინება მჭიდროდ არის დაკავშირებული არჩევნების ფარულ ხასიათთან, მაგრამ ნების თავისუფალი გამოვლინება არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე კანდიდატის ან პარტიის თავისუფალ არჩევას. ნების თავისუფლება ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საარჩევნო კანდიდატების წამოყენების დროსაც.[3] კარგად მოგვეხსენება, რომ საქართველოში მოქმედ პროპორციულ საარჩევნო სისტემაში ქართველი ამომრჩეველი საერთოდ არ მონაწილეობს კანდიდატურების შერჩევაში. გარდა ამისა, დღეს მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა გვევლინება როგორც გამაწონასწორებელი საშუალება ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ზემოქმედება სახელმწიფოზე. ჩვენი კონსტიტუციის მეშვიდე მუხლი კი ადამიანის უფლებებს განიხილავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. ამდენად, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პროპორციული საარჩევნო სისტემა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ ნორმებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ უზუსტობასთან არ გვაქვს საქმე. ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხები კიდევ უფრო ღრმაა, ვიდრე ეს შეიძლება ზედაპირზე ჩანდეს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე საპარლამენტო უმრავლესობის დაბალანსების პრობლემატიკა. კონსტიტუციონალიზმში საპარლამენტო უმრავლესობის დამაბალანსებელ ინსტიტუტად ცნობილია სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციური ნორმების კოლიზიის შემთხვევაში ფლობს კონსტიტუციური ნორმის განმარტების უფლებას და ამასთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობის დამაბალანსებელ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ მექანიზმს წარმოადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის გარ-

[3] ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2005 წ. გვ. 249-250

თულებული წესი. მხედველობაში გვაქვს ე.წ. პლურალური ვოტუმი, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასინჯვის აქტი რამოდენიმეჯერ უნდა იყოს მიღებული კენჭისყრებს შორის გარკვეული ინტერვალის დაცვით, თანმიმდევრულად უნდა იყოს მიღებული ჯერ პარლამენტში, შემდეგ რეფერენდუმზე და ა.შ."[4] მაგრამ ამჯერად, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საპარლამენტო უმრავლესობის სისტემურ დაბალანსებაზე თუ, როგორ შეიძლება იქნეს ის მიღწეული?! დასმული საკითხის გადასაწყვეტად მიგვაჩნია, რომ უნდა შემუშავდეს ისეთი საარჩევნო ნორმები, რომლებიც შეასუსტებენ პარტიული სისტემებისა და ერთეული პოლიტიკური ლიდერების გავლენას საარჩევნო პროცესზე. აღნიშნულის განხორციელება წარმოგვიდგენია შემდეგნაირად:

-უპირველეს ყოვლისა, უარი უნდა ვთქვათ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, ის მთლიანად უნდა ჩანაცვლდეს მაჟორიტარული სისტემით, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო ოლქებში ავტორიტეტული, გარკვეული რეიტინგის მქონე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების რაოდენობის ზრდას და შესაბამისად გაიზრდება კონკურენცია. კონკრეტული პარტიის ლიდერი დარწმუნდება, რომ ასეთი მაჟორიტარი კანდიდატების მხარდაჭერის გარეშე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ძალიან გაუჭირდება, რაც უბიძგებს მას ამ კანდიდატებთან თანამშრომლობისკენ. დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატები პარტიის ლიდერისთვის გახდებიან ანგარიშგასაწევი ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები, ვინაიდან მას აღარ ექნება დეპუტატთა კანდიდატურების საარჩევნო სიის შედგენის საშუალება.

ამდენად, კონკრეტულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატებს შორის არსებული კონკურენცია და მაჟორიტარ კანდიდატებსა და პარტიის ლიდერს შორის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით განპირობებული, მათი წარმატებისათვის აუცილებელი თანამშრომლობა უნდა განვიხილოთ, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის გამაწონასწორებელ ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რადგანაც დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატს გაცნობიერებული აქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ამომრჩევლის კეთილგანწყობაზე და არა - რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერისა. მაშასადამე, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხელს უშლის უსიტყვოდ მორჩილი და ყველა კანონპროექტზე მხარდამჭერი უმრავლესობის ჩამოყალიბებას.

-საპარლამენტო უმრავლესობის შემაკავებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საარჩევნო მექანიზმს წარმოადგენს პრაიმერიზი, რომელიც ე.წ. პირველად არჩევნებს წარმოადგენს, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს კანდიდატობისათვის, რომ შემდეგ იგი გახდეს დეპუტატობის კანდიდატი და მისი გვარი შეიტანონ ბიულეტინში. პრაიმერიზი - კანდიდატების დასახელების დემოკრატიული ფორმაა: თვითონ ამომრჩეველი, პარტიული დაქვემდებარების გარეშე წყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს მის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატი.[5] პრაიმერიზის დანერგვა ქართულ საარჩევნო სამართალში ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევისა და წამოყენების პროცესში, რაც შედეგად მოიტანს მომავალი დეპუტატებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდას საკუთარი ამომრჩევლის და არა რომელიმე პარტიის წინაშე. პარტიის ლიდერი ხდება პარაიმერიზის წესით შერჩეული დეპუტატობის კანდიდატებზე მეტ-ნაკლებად დამოკიდებული და არა პირიქით, როგორც ეს გვაქვს პროპორციული საარჩევნო სისტემის მოქმედების შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია რომ პარაიმერიზი დროში ზრდის საარჩევნო კამპანიას, რაც ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.

- საპარლამენტო უმრავლესობის სისტემური გაწონასწორების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიგვაჩნია პოლიტიკურ პროცესებში გაცნობიერებული, გარკვეულ დონეზე კვალიფიციური ამომრჩეველი, რომელსაც აქვს სათანადო მოტივაცია და შინაგანი რწმენაც საკუთარ პოლიტიკურ არჩევანთან და საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით. მიგვაჩნია რომ ამომრჩე-

---

[4] ავთავდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2008 წ. გვ. 45-46

[5] ოთარ მელქაძე, (რედაქტორი) საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ. გვ. 26

ველთა სიებში უნდა მოხვდნენ სწორედ ასეთი მოქალაქეები და არა ის საარჩევნო უფლების მქონე პირები, რომლებიც ინდიფერენტულნი არიან საარჩევნო პროცესისა და ქვეყნის მომავლისადმი. აღნიშნული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საარჩევნო უფლების მქონე პირმა თვითონ გადაწყვიტოს იყოს თუ არა ამომრჩეველი. საარჩევნო სტრუქტურამ საკუთარი ინიციატივით კი არ უნდა შეიყვანოს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი პირი, არამედ ამომრჩეველი რამდენიმე თვით ადრე თავად უნდა მივიდეს შესაბამის საარჩევნო სტრუქტურაში და პირადი განცხადების საფუძველზე გაიაროს რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ასეთი ნაირსახეობა მოქმედებს აშშ-სა და საფრანგეთში.[6] საარჩევნო სიების შედგენის ზემოაღნიშნული წესი შეამცირებს ე.წ. ,,მკვდარი სულების" მოხვედრას ამომრჩეველთა სიებში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს არჩევნების შესაძლო გაყალბებისგან დაცვას. გარდა ამისა, ამომრჩეველი რომელიც დარეგისტრირდება ამომრჩეველთა სიებში საკუთარი განცხადების საფუძველზე ის არის პოლიტიკურად მოტივირებული, დაინტერესებული ჯგუფის წევრი და კვალიფიციური ამომრჩეველიც კი, განსხვავებით - იმ ამომრჩევლისაგან, რომელიც მხოლოდ ხმის მიცემის დღეს თუ გადაწყვეტს არჩევნებზე წასვლას. მიგვაჩნია, რომ ასეთი ინდიფერენტული განწყობის მქონე ამომრჩეველი ადვილად მოწყვლადია დაბალი რეიტინგის მქონე პარტიებისათვის, რომლებიც უხვად გასცემენ პოპულისტურ დაპირებებს. ვფიქრობთ, რომ დაბალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ამომრჩეველი ადვილად იღებს რადიკალურ გადაწყვეტილებებს და ეს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე ორიენტაციის, მაგრამ ორივე შემთხვევაში ქვეყნისთვის იქნება წამგებიანი, რადგანაც ის იქნება რადიკალური, რეაქციული შინაარსის მატარებელი.

ამჯერად, მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ არჩევნებზე, როგორც გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაზე. ამასთან დაკავშირებით მალხაზ მაცაბერიძე წერს, რომ ,,რიგი მკვლევარების აზრით, თანამედროვე პირობებში სავსებით რეალურია არჩევნების ინსტიტუტისა და საარჩევნო ტექნოლოგიების მიზანმიმართული გამოყენება გარეშე ძალების მიერ, იმისათვის რომ რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლებას ჩამოაცილონ არასასურველი პოლიტიკური ძალები და ხელი შეუწყონ თავიანთი მიზნებისათვის ხელსაყრელი ძალების მოსვლას ხელისუფლების სათავეში. აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებად მიიჩნევა იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობა. მას ვერაფერი დააკლეს ბომბების მეშვეობით, მაგრამ ხელისუფლებას ჩამოაცილეს საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით".[7]

ავტორი საგარეო ფაქტორის ზეგავლენას აღიარებს ქვეყნის შიდა პროცესებზე და მათ შორის არჩევნებზეც განსაკუთრებით დიდ-პატარა ქვეყნებში და აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს პირობებში მოცემული საკითხი საფუძვლიან შესწავლასა და სათანადო რეაგირებას მოითხოვს. ჩვენ, აბსოლუტურად ვიზიარებთ პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძის ზემოაღნიშნულ კონცეფტუალურ მოსაზრებებს და გარკვეულ შიშებს საქართველოსთან დაკავშირებით, რადგანაც საქართველოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, ვინაიდან, თრგუნავს პლურალიზმს.

პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს პოლიტიკური ველის მონოპოლიზებას რამდენიმე ერთეული ლიდერის ხელში, რადგანაც ადგილობრივი ლიდერები ხშირად რჩებიან თამაშგარე მდგომარეობაში და მათი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება ,,პარტიული ბოსების" კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და არა ამომრჩევლის კეთილგანწყობაზე, მის არჩევანზე. შესაბამისად, პარლამენტში ვღებულობთ მხოლოდ რამოდენიმე კვალიფიციურ დეპუტატს, ლიდერს, ხოლო დანარჩენები არაპროფესიონალიზმისა და მცირე რეიტინგის გამო სადეპუტატო უფლებამოსილების ვადას საკუთარი ლიდერებისადმი უსიტყვო მორჩილებაში ატარებენ, რის შედეგადაც პარლამენტში საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობს არა პარლამენტის მთელი შემადგენლობა არამედ - მხოლოდ ზოგიერთი დეპუტატი.

---

[6] ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი, თბილისი 2005 წ. გვ. 116

[7] მალხაზ მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003, გვ. 136; 137; 138; 152; 153.

პირობითად დავუშვათ, რომ გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში არსებულმა აზრმა პარლამენტის მიერ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით გაიმარჯვა, მაშინ გამოვა რომ ამ შემთხვევაშიც რეალურად მხოლოდ რამოდენიმე დეპუტატი აირჩევს პრეზიდენტს, ხოლო დეპუტაციის ძირითადი ნაწილის კენჭისყრაში მონაწილეობის არსი დემოკრატიის და ლეგიტიმურობის ფორმალურ გაფორმებაში თუ გამოიხატება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული პარტიის ლიდერს ე.ი. პრემიერ მინისტრს ეძლევა საშუალება მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობის მეშვეობით დანიშნოს ქვეყნის პრეზიდენტი.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ქმნის მყარ საფუძვლებს ქვეყნის საშინაო საქმეებში გარეშე ძალების ჩარევისათვის. ვინაიდან, გაცილებით ადვილია ორიოდე ან სამიოდე პოლიტიკური პარტიის ლიდერზე გავლენის მოპოვება, ვიდრე - პოლიტლიდერთა ფართო სპექტრზე, რომლის ჩამოყალიბებასაც მაჟორიტარული სისტემა უწყობს ხელს. ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის არქიტექტორ, დემოკრატიულ ქვეყნებში: აშშ-ში, საფრანგეთში და დიდ ბრიტანეთში მიუხედავად მათი მმართველობის ფორმებისა სამივე მათგანში მოქმედებს მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა.

ჩვენდა სამწუხაროდ, პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებს თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შემთხვევაშიც კი. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომლებიც შედის ამ მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

2. თვითმმართველი ქალაქის საკრებულო შედგება:

ა) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან, თუ ამომრჩეველი აღემატება 75000-ს.

ბ) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს.

საარჩევნო სამართალში საყოველთაოდ ცნობილ აქსიომას წარმოადგენს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ორიენტირებულია და ხელს უწყობს უმრავლესობის ფორმირებას წარმომადგენლობით ორგანოში. ხელისუფლების მონაცვლეობისა და უწყვეტობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში კი, პროპორციული საარჩევნო სისტემა ერთმნიშვნელოვნად უწყობს ხელს პარლამენტში უმრავლესობით მოსული პარტიის გამარჯვებას თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში. რაც თავისთავად ქმნის პირობებს ავტორიტარიზმის ჩამოსაყალიბებლად. გარდა ამისა, ხდება ევროპული ქარტიის კონცეფტუალური მოთხოვნის იგნორირება ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს ,,თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე“ (მუხლი 3-2) ფორმირების თაობაზე.[8] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის აგრეთვე ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული საარჩევნო ნორმათა კოდექსის მეორე თავით გათვალისწინებულ თანასწორ და თანაბარ საარჩევნო უფლებებთან.[9]

თანასწორობისა და თანაბრობის საარჩევნო უფლებები ირღვევა იმ კანდიდატების მიმართ, რომლებიც თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში კენჭს იყრიან მაჟორიტარული სისტემით, რადგანაც რეალურად უწევთ კონკურენციაში ჩაბმა პარტიის ლიდერთან, რომელიც შეიძლება იყოს საერთო - ეროვნული ლიდერიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროპორციული საარჩევნო სისტემა რომელიც მოქმედებს საქართველოში პარტიის ლიდერს აძლევს საშუალებას, რომ მხოლოდ მისთვის ნდობით აღჭურვილი პირები შეიყვანოს სიაში და ამ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი სავსებით შესაძლებელია, რომ მდებარეობდეს მოცემული

[8] ოთარ მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი 2009 წ. გვ. 116

[9] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), საარჩევნო ნორმათა კოდექსი, ევროპის საბჭო 2007 წ. ტექსტის თარგმანი: ნათია ფორჩხიძე

თვითმმართველობის ტერიტორიული ერთეულიდან ათეული და შეიძლება ასეული კილომეტრის მოშორებითაც კი, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა უშვებს ასეთი შესაძლებლობის არსებობას, შეიძლება ითქვას რომ პრინციპულად წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის არსთან და ხელს უშლის სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზებას, რომლის თანახმად, ,,დაუშვებელია შედარებით მაღალი საფეხურის ხელისუფლებას დაეკისროს იმ ფუნქციების განხორციელება, რომელთა განხორციელება შედარებით დაბალი დაბალი საფეხურის ხელისუფლებას შეუძლია.“[10]

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით დავძენთ, რომ საქართველოში დღეს მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შემდეგ კონსტიტუციურ დებულებებს: ,,..ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს ... თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“, ,,... უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“; ,,საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი...“. ამას გარდა, პროპორციული საარჩევნო სისტემა პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებებს ქმედითუნარიანობას უკარგავს, რადგანაც პროპორციული საარჩევნო სისტემა საპარლამენტო უმრავლესობას მთლიანად დამოკიდებულს ხდის აღმასრულებელი ხელისუფლების ან სახელმწიფოს მეთაურზე (გააჩნია მმართველობის ფორმას). ამასთან ერთად, პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს ისეთი საარჩევნო სამართლის ფორმირებას, რომელიც შეიძლება იქცეს გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად. კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ იმ მოსაზრების, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტი უნდა აირჩეს მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის მეშვეობით და შემდეგ ასეთი წესით არჩეულმა პარლამენტმა აირჩიოს ქვეყნის პრეზიდენტი. საარჩევნო სამართლის სამართლიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მუნიციპალურ არჩევნებში საერთოდ უნდა იქნეს გამორიცხული წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა პროპორციული სისტემით არჩევა და არა მხოლოდ მუნიციპალურ არჩევნებში, ჩვენი აზრით, საპარლამენტო არჩევნებიც უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამოყენებით და საარჩევნო პროცესში დაინერგოს ე.წ. პრაიმერიზი, რომელიც პირველად არჩევნებს წარმოადგენს და უზრუნველყოფს პარტიული სისტემებისა და პარტიული ლიდერების ინტერესების დაბალანსებას: ,,ჩამოაყალიბონ მორჩილი უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში“. ვინაიდან, პრაიმერიზის შემთხვევაში ამომრჩეველთა მონაწილეობა სადეპუტატო კანდიდატის შერჩევასა და წარდგენაში უაღრესად დიდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქრთველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
3. ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), საარჩევნო ნორმათა კოდექსი, ევროპის საბჭო, თარგმანი: ნათია ფორჩხიძე, 2007წ.
4. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2008წ;
5. კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი 2003წ;
6. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანისძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2005წ;
7. მალხაზ მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003წ;
8. ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი, თბილისი 2005წ;
9. ოთარ მელქაძე (რედაქტორი), საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999წ;

[10] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2008 წ. გვ.373

10. ოთარ მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი 2009წ

საარჩევნო სამართლის სამართლიანობის პრობლემები საქართველოში

ქართლოს ფრიდონაშვილი - სამართლის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია საარჩევნო სისტემების მოქმედების თავისებურებები. ავტორი სათანადო არგუმენტების მეშვეობით გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და გვთავაზობს, რომ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ასარჩევად გამოყენებული იქნეს მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა და საარჩევნო პროცესში დაინერგოს პრაიმერიზის ინსტიტუტი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ საპარლამენტო უმრავლესობის გაწონასწორების თვალსაზრისით, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებასა და პარლამენტარიზმის როგორც ინსტიტუტისა და ღირებულებების დამკვიდრება-გაძლიერებას საქართველოში.

Principles of Justice of Electoral Law

Qartlos Pridonashvili -Doctor of law

Summary

In this publication the author reviews the peculiarities of functions of electoral systems. The author gives essential arguments and expresses his negative attitude towards the proportional electoral system and suggests to use majority electoral system only for parliamentary elections and introduces the institution of primaries which will enable and play an important part for balancing parliamentary majority and will be an effort for the legislative body to fulfill effectively its functions and strengthen and establish parliamentarism as an institution and values in Georgia.

Principes de la justice de la loi électorale

Qartlos PridonaChvili - Docteur en droit

Résumé

Dans cette publication, l'auteur passe en revue les particularités des fonctions des systèmes électoraux. L'auteur donne des arguments essentiels, et exprime son attitude négative envers le système électoral à la proportionnelle et suggère d'utiliser le système électoral majoritaire que pour les élections législatives et introduit l'institution des primaires qui permettront et jouer un rôle important pour équilibrer la majorité parlementaire et sera un effort pour le corps législatif de s'acquitter efficacement de ses fonctions et de renforcer et d'établir le parlementarisme en tant qu'institution et les valeurs en Géorgie.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები

ია ხარაზი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი
თამარ გარდაფხაძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სრული პროფესორი, სამართლის სკოლის დეკანი

თანამედროვე ეტაპზე, სწრაფად განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველი ვალდებულება, იქნება ეს კერძო-სამართლებრივი, თუ საჯარო-სამართლებრივი (საგადასახადო-სამართლებრივი) საჭიროებს „ერთგვარ დაცვას", რომელსაც იურისპრუდენციაში „უზრუნველყოფას" უწოდებენ. ამ მიზნით კანონმდებლობაში (საჯარო თუ კერძო სამართალში) შემუშავებულია და კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური ზომები, რომლებიც იქეთკენაა მიმართული, რომ დაიცვას საბაზრო ეკონომიკის ბრუნვის მონაწილე **-„სუპერ-სუბიექტი", კრედიტორი** (იქნება ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ კერძო სამართლის პირი), რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს შესაბამისად საჯარო-სამართლებრივი, თუ კერძო-სამართლებრი ვალდებულებები, რომლებიც მან იკისრა სესხის აღების უზრუნველსაყოფად, ან არ შეასრულა სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და მისი ქონების მიმართ გამოყენებულ იქნა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

როდესაც ვეხებით ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევას, „ბუნებრივია ჩნდება კითხვა: ვის მიერ, ვის მიმართ ხდება უზრუნველყოფის საშუალებების არჩევა[1]. ამ კითხვის პასუხი დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე, კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობაზე, კრედიტორს ხომ არ აინტერესებს ვალდებული პირი, მისთვის ცნობილი სამოქალაქო კვინტესენციის განხორციელებაა მთავარი მოვალის მიერ, რომელიც ცნობილია როგორც **„pacta sunt servanda**", - „ვალდებულება უნდა შესრულდეს". მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება სამოქალაქო სამართალში გამოიყენება, არ შევცდებით თუ მას საგადასახადო სამართალსაც მივუსადაგებთ, რამეთუ სახელმწიფო მის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას კერძო პირებისაგან უფრო მკაცრად მოითხოვს, აქ დაუშვებელია როგორც სამოქალაქო სამართალში კერძო პირთა შეთანხმება (ვთქვათ ვალის პატიებით ვალდებულების შეწყვეტა), რამეთუ საგადასახადო სამართალში, რომელიც საჯარო დარგია სამართლისა და სადაც წინა პლანზეა წამოწეული სახელმწიფოს ეკონომიკური, ფინანსური, სახაზინო ინტერესები, გადასახადების გადახდა გარდუვალია. ცნობილი გამოთქმაა: **„მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია გარდუვალი".** თუ კერძო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კანონითაც განისაზღვრება და ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ყოველთვის კანონითაა დადგენილი. ორივე შემთხვევაში კი საკუთრებაა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა კი კანონისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი (გადასახადის გადამხდელი) ან, ან ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. „საგადასახადი გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ვადამოსული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნებს"[2].

---

[1] . მ. თოდუა, ჰ.ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 21.

[2] . თ. შოთაძე, იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, გვ. 225-226.

“საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი არის ნივთსა (გარდა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებისა[3]) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის, მასში ცვლილებების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა“. ამონაწერი კი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან მზადდება უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის უძრავ ნივთებზე უფლებათა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და საკუთრების უფლებათა მიტოვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.

კანონში „საჯარო რეესტრის შესახებ“ თავი III ცალკე ეძღვნება მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრს, სადაც შემდეგი რიგითობაა დადგენილი აღნიშნულ უფლებებზე: პირველ რიგში რეგისტრირდება გირავნობა, შემდეგ ლიზინგი და შემდეგ საბანკო გარანტია და, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ განცხადების რეგისტრაციისთანავე დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დადგენილია კრედიტორისა და ვალდებული პირისათვის ერთკვირიანი ვადა, რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციიდან მეორე მხარისათვის შეტყობინებისა.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრაციის თვალსაზრისითაც განსხვავდება სამოქალაქო-სამართლებრივი გირავნობა/იპოთეკისაგან. კერძოდ, თუ იპოთეკის რეგისტრაციისათვის 4 დღიანი ვადაა დადგენილი, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს და, ასევე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს რომელიც ვალდებულია შეტყობინებიდან მიღების მომდევნო სამუშაო დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება (საგადასახადო კოდექსის მ.239, ნ.3). **შევნიშნავთ რომ კოლიზიაა საგადასახადო კოდექსის ამ დებულებასა და კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ 33-ე მუხლის „ე“ პუნქტის დანაწესს შორის, კერძოდ, აღნიშნულ პუნქტში აღნიშნულია, რომ, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტრირებულ საგადასახადო გირავობაში/იპოთეკაში ცვლილებების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია ხდება 3 სამუშაო დღის ვადაში“. მიგვაჩნია რომ და, ალბათ მართებულადაც, რომ კოლიზიაა საგადასახადო კოდექსისა და კანონის „საჯარო რესტრის შესახებ“ შესაბამის მუხლში, ან უნდა არსებობდეს განსხვავებული ვადები იპოთეკასა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობასთან დაკავშირებით.**

ისევ ჩვენი მოსაზრების შესახებ, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და სამოქალაქო იპოთეკის უფლების გავრცელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელშეკრულებო იპოთეკა მოვალის იმ ქონებაზე წარმოიშობა რომელზეც მას ძირითადი ვალდებულების წარმოშობის დროს გააჩნდა საკუთრება, ან მესაკუთრისგან აქვს მინიჭებული ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების უფლება[4].

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; **ბ)** მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; **გ)** ქონებაზე ყადაღის დადება; **დ)** ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია; **ე)** საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; **ვ)** გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება. საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის დროს სახელმწიფოს უფლებაა საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გა-

---

[3] აქვე შევნიშნავთ, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრირებული გირავნობის სამართლებრივ რეგლამენტრებას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 258-ე(„რეგისტრირებული გირავნობა“), მ. 274(„გირავნობის საგნის გასხვისება“), 281(1)(„დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოგირავნისათვის გადაცემა) მუხლები.

[4] დამატ. იხ. თ. შოთაზე, დასახ. ნაშრ. გვ. 227

დამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან“ ხოლო საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ლიზინგით მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით. ამის შესახებ სამართლიანად მიანიშნებს თ. შოთაზე, რომ „საჯარო უზრუნველყოფის ამ სახის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, აქვს თუ არა გადასახადის გადამხდელს რეგისტრირებული ქონება საჯარო რეესტრში ან მომსახურების სააგენტოში საკუთრების უფლებით, მისი წარმოშობა მაინც ხდება საჯარო რეესტრის (მომსახურების სააგენტოს) საჯარო შეზღუდვების ერთიან მონაცემთა ბაზაში“.[5]

კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ მ. 3, ნ. 5-ის მიხედვით, „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსა და სასამართლოს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე“. **რაც შეეხება სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის რეგისტრაციას, შევნიშნავთ, რომ:** გირავნობა, რომელიც არის **მფლობელობითი** და **რეგისტრირებული** სახისა, აქედან მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობა მოითხოვს საჯარო რეგისტრაციას, რამეთუ გირავნობის საგანი კვლავ მესაკუთრესთან რჩება და ეძლევა უფლება გამოიყენოს იგი და მიიღოს მისგან სარგებელი, თუნდაც იმიტომ, რომ დაიფაროს ვადამოსული ვალდებულება კრედიტორისა და, საჯარო რეგისტრაცია იმიტომაც არის საჭირო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრის მოძრავი ნივთი დაგირავებულია ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ, იგი (მესაკუთრე) მაინცაა უფლებამოსილი გაყიდოს ნივთი, რამეთუ დაგირავებულ მოძრავ ნივთზე მაინც მისი საკუთრების უფლება ვრცელდება, მხოლოდ კრედიტორის ვალი ამონაგები თანხიდან აუცილებლად უნდა დაიფაროს. ამასთანავე სამოქალაქო კოდექსის მ.260 (1) მუხლის თანახმად, დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე და ისიც რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში, ხოლო მფლობელობითი გირავნობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო რეგისტრაციას, რამეთუ „მოძრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით“. ანუ, კრედიტორმა ამით უკვე მიიღო გარანტია ვალდებულების შეუსრულებლობისას დაგირავებული ნივთის რეალიზაცია მოითხოვოს.

შევნიშნავთ, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და კერძო სამართლებრივ გირავნობა/იპოთეკას შორის მკვეთრი განსხვავებაა, კერძოდ, თუ სანივთო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობას, როგორც სანივთო ვალდებულებისა პირთა კერძო შეთანხმება უდევს საფუძვლად, (მაგალითად სესხის ხელშეკრულება), საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძლად მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რასაც შესაბამისად მოჰყვება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სახელმწიფოს კომ პეტენტური ორგანოს მხრიდან, რომლის რეგისტრაციის უფლება საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა.

განსხვავება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და სანივთო გირავნობა/იპოთეკას შორის რეგისტრაციის ვადებშიც გამოიხატება, კერძოდ: საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას საგადასახადო ორგანო ირჩევს, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების წესი ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

[5] . იქვე.

იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურსა და მარეგისტრირებელ ორგანოს ან/და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, დასაშვებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების კონკრეტული პასუხი ყოველ კონკრეტულ ვალდებულებაზე დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებები განხორციელდეს ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულებით[6] გათვალისწინებული პირობებით. ასეთ შემთხვევაში ელექტრონულ დოკუმენტზე ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს მატერიალიურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

საქართველოს 2007 წლის კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ღონისძიებები საწარმოთა მიმართ გამოიყენება მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით.

საგადასახადო დავალიანების გაუქმებასთან ერთად უქმდება მისი გადახდევინების უზრუნველსაყოფად დაწყებული **საგადასახადო კოდექსის XXXV თავით**[7] გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიება, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსის სხვა ნორმები განსხვავებულ წესებს არ ითვალისწინებენ; ანუ თუ პირი ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის საგადასახადო დავალიანების თანხებს და შესაბამის საურავს, დადგენილი წესით გაუქმდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს **არა უმეტეს ერთი წლით,** თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის[8] ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემულია დაზღვევის პოლისი. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა.“

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადასახადის გადამხდელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ვადები და პირობები. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების დავალიანების გადავადების შესახებ გაუქმდება. საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია კი ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით **„საგადახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაცის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.** აღნიშნული კანონით დადგენილი წესი ვრცელდება ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის განხორციელების დროისათვის არსებულ ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე. საწარმოს (ორგანიზაციას) ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის უფლება ეძლევა მხოლოდ გადახდისუუნარობის შემთხვევაში და მხოლოდ ერთხელ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილე-ბული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების დაფარვა ხორციელდება პროპორციულად, პროგრესულად მზარდი პრინციპით. კომისიის მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საწარმოსა (ორგანიზაციასა) და საქარ-

---

[6] . გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

[7] . საუბარია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის თავზე

[8] იხ. საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, მ.891-905 (თავდებობა)

თველოს ფინანსთა სამინისტროს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პირობები, ვადები, მათი დაფარვის გრაფიკი და რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულებას წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ. ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებები რესტრუქტურიზებულად ითვლება და საწარმო (ორგანიზაცია) რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობას იწყებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან. კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნა ეგზავნება საწარმოს (ორგანიზაციას), ხოლო განსაკუთრებული შემთხვევის დროს, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს. დასკვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებსა და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს (ორგანიზაციას) უარი ეთქვა ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციაზე[9].

ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პირობებია: 1. განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გაყინვის ვადა არ აღემატება 24 თვეს, ხოლო ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გადავადების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 36 თვისა (გაყინვის პერიოდის დასრულებიდან). 2. რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებას გაყინვის პერიოდში პროცენტები და საჯარიმო სანქციები არ ერიცხება. 3. გადავადების პერიოდში რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებას გადაუხდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება სარგებელი 0,5 პროცენტის ოდენობით. 4. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს განმეორებით, მაგრამ მხოლოდ ერთხელ. 5. განსაკუთრებულ შემთხვევებში ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის დამატებითი ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 15 წლისა, აქედან, დავალიანების გაყინვის პერიოდი - არა უმეტეს 5 წლისა და სხვა.[10]

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა[11] არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან(**საგადასახადო კოდექსი, მ. 239. ნ.1).**

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენების შესახებ ეცნობება გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია **არა უგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღისა,** რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გირავნობის/იპოთეკის ქონების რეალიზაცია, მაშინ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება უქმდება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება. [12]

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრ-

---

[9] . ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, თბილისი, 2011, გვ. 396; გ. ურიდია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით. გვ. 560

[10] დაწვრ. იხ.საქართველოს 2004 წლის კანონი „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“.

[11] . დამატ. იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 254-285[1] და 286-309 მუხლები.

[12] აქ ასევე საუბარია სამოქალაქო კოდექსით განსაზვრულ გარდამავალ უფლებებზე, რომლებიც ძალაში რჩება.

ცელდება ამ ქონებაზე მისი ახალი მფლობელის მიმართ. აღნიშნულ ქონებაზე კვლავ დაიდება ყადაღა (იგულისხმება ახალი მფლობელის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე) და მისი რეალიზაცია მოხდება **საგადასახადო კოდექსის 241-ე („ქონებაზე ყადაღის დადება“) და 242-ე („ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“) მუხლების შესაბამისად.**

საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 ნაწილი უზრუნველყოფს ვალდებულებიდან წარმოშობილი პირველი რიგის მოთხოვნის დაკმაყოფილების განსხვავებულ წესს, კერძოდ, „თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პირის ქონების მიმართ რეგისტრირებულია კომერციული ბანკების, მოკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის[13] შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება და ხდება ამ ქონების რეალიზაცია, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ ხდება საგადასახადო დავალიანების მოთხოვნის დამაყოფილება. ამ ქონების ახალი მფლობელის მიმართ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არ გავრცელდება. თუ დარჩენილი თანხით სრულად არ იფარება საგადასახადო დავალიანება, შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანება ძალაში რჩება იმ პირის მიმართ, რომლის ქონებაც დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით“.

შევნიშნავთ, რომ: თუ სამოქალაქო კოდექსით ცალკეა გამოყოფილი სანივთო უზრუნველყოფის საშუალება მოძრავ ნივთებზე და მას 254-285 მუხლები არეგულირებს, ხოლო სანივთო იპოთეკა უძრავ ნივთებზე ცალკე, 286-310 მუხლებითაა დარეგულირებული, საჯარო უზრუნველყოფის საშუალებები - საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა ერთად წარმოგვიდგება საგადასახადო კოდექსში. მიგვაჩნია, რომ არ იქნებოდა კანონმდებლობის დარღვევა თუ საგადასახადო კოდექსში საგადასახადო უზრუნველყოფის ამ ინსტიტუტებს (გირავნობასა და იპოთეკას) ცალ-ცალკე ვიხილავდით საგადასახადო კოდექსში.

ასევე, აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ ხანდაზმულობის ვადებსაც სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის მიმართ. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომლის დენაც ჩერდება[14]: **ა)** გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში; **ბ)** საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმში ყოფნის პერიოდში; **გ)** საგადასახადო დავის მიმდინარეობისას“. „მაშინ როდესაც სსკ-ის საფუძველზე წარმოშობილი გირავნობა ითვალისწინებს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადას, იპოთეკაზე კი ვრცელდება ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა“[15]. **აქ ვერ დავეთანხმებით თ. შოთაძის მოსაზრებას[16] ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, კერძოდ, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.** საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გარდა არსებობს აგრეთვე **სპეციალური ხანდაზმულობის ვადებიც,** რომელსაც კანონი აწესებს და ბუნებრივა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სპეციალურობის გამო (რომ სპეციალური ნორმები და მისგან გამომდინარე სპეციალური ვადებიც არ შეიძლება კანონის ანალოგიით დარეგულირდეს, ან მხარეებმა გარიგებით შეცვალონ იგი) შეიძლება საერთო ხანდაზმულობის ვადაზე მეტი ან ნაკლები იყოს. 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძ-

---

[13] . განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები.

[14] ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს იმ გარემოებების არსებობისას, რომლებიც საერთოდ კანონის მიხედვით იწვევენ ხანდაზმულობის ვადების შეჩერებას.

[15] .. თ. შოთაძე, იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, გვ. 228.

[16] . თ. შოთაძე. დასახ. ნაშრ.

რავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – 6 წელს“. მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულების ვადად განსაზღვრული იყო 2 წელი, აღნიშნული 2 წლის გასვლის შემდეგ დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა და იგი გაგრძელდება 3 წელი. უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია და იგი ექვსი წელია. მაგალითად, მიწის ნაკვეთიდან გამომდინარე ხელშეკრულების ვადა იქნება ექვსი წელი. საინტერესოა იურისტის მ. თოდუას მოსაზრებები უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნების ექვსწლიან ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით: „მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იზიარებს იმ აზრს, რომ „მოთხოვნის ხანდაზმულობა არ იწვევს სანივთო უზრუნველყოფის ხანდაზმულობას. მართალია მოთხოვნის ხანდაზმულობით კრედიტორი მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას კარგავს, მაგრამ მას შეუძლია, ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთის რეალიზაცია მოითხოვოს და ამ გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა“[17]. არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ჩვენის აზრით უფრო მკაფიოდ ესადაგება კანონმდებლის ნებას, არ გაავრცელოს სანივთო უფლებაზე **სსკ 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაზე,** რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთებზე სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს. იპოთეკის დადგენის წინაპირობას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ **სსკ 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებების** თანახმად, შესაბამისი გარიგებების არსებობა წარმოადგენს. ამდენად ამ დებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადამდე. აქ საუბარი არ არის უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, ან სანივთო დატვირთვის დადგენილ ვალდებულებებზე, არამედ უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან უკვე ხელშეკრულებით დადგენილი სანივთო უფლებიდან. **სსკ 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება** სიტყვასიტყვით და ვიწროდ უნდა განიმარტოს და უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით შემოიფარგლოს... უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის საფუძველზე, **სსკ 128-ე მუხლის მესამე ნაწილის** თანახმად, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, ათწლიანი ვადა. ეს ვადა ჯერ არ გასულა“[18]. ლოგიკურა, რომ არც საგადასახადო გირავნობა/იპოთეკაზე უნდა გავრცელდეს ერთიანი ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა. მიგვაჩნია რომ იგი, უნდა იყოს გირავნობისათვის 3 წელი, რამეთუ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოძრავი ნივთებისათვის ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, ხოლო უძრავი ნივთებისათვის, რადგან კანონმდებლობაში არ გვაქვს უძრან ნივთებთან დაკავშირებული სანივთო ხანდაზმულობის ვადა, ხოლო სახელშეკრულებო ხანდაზმულოვის ვადა უძრავი ნივთებისათვის 6 წელია, სანივთო ხანდაზმულობის ვადა **ალბათ უპრიანი იქნება უნდა იყოს 10 წელი.**

რაც შეეხება პირველი რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების წესს, მას ადგენს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 82(3) მუხლი, რომლის თანახმად, „იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები მათი არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები მათი რიგითობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და, საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქარ-

[17] . იხ. მ. თოდუა, ჰუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 20.
[18] . იქვე, გვ. 20.

თველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკამყოფილდება ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ-საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები მიეკუთვნება საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პერიოდს, პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ – ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნა“. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობის, იპოთეკის თანხების გადაუხდელობისას აუქციონის ჩატარებისას, გირავნობის საგნის რეალიზაციისას ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება რეალიზაციის ხარჯები და დაკმაყოფილდება რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის მოთხოვნა (სსკ, მ. 280. ნ. 1). იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლებითაც დატვირთული იყო უძრავი ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგისტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება (სსკ, მ. 306[5}, ნ. 5). როგორც ვხედავთ, საჯარო რეგისტრაციის უფლება ყოველთვის წინ უსწრებს სამოქალაქო სანივთო რეგისტრაციის უფლებას და ორივე შემთხვევაში პირველ რიგში გამოყოფილია საჯარო (სახელმწიფოს) ინტერესი გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციისას; საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შემთხვევაში ბუნებრივია, საჯარო ინტერესებისათვის ხდება ამ ინსტიტუტის გამოყენება, ხოლო სამოქალაქო სამართალში, როცა აუქციონის მეშვეობით ხდება დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს ინტერესიდან გამომდინარე ჯერ აუქციონის მოწყობის ხარჯები იფარება და შემდეგ ხდება კრედიტორის (კრედიტორების) დაკმაყოფილება ამონაგები თანხიდან. თუ გავავლებთ პარალელს სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლსა და 388-ე მუხლებს შორის, იგივე ლოგიკურ კავშირს დავინახავთ, კერძოდ, „იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად, მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი რიგითობით: ხარჯები, კრედიტორის მოთხოვნა სრულო ოდენობით. თუ ამონაგები თანხით სრულად არ იფარება ხარჯები, განსხვავების გადახდის ვალდებულება ეკისრება კრედიტორს“. ეს სანივთო სამართლიდან, ხოლო ვალდებულებითი სამართლიდან(მ. 388), ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობა შემდეგნაირად იყოფა: „მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ-ძირითადი შესრულება(ვალი) და ბოლოს პროცენტები.

აქვე ერთ საჭირბოროტო საკითხსაც უნდა შევეხოთ, კერძოდ, ეს არის სპეციალური სუბიექტების დადგენის საკითხი, რომელიც კიდევ უფრო ართულებს რეგისტრაციის რიგითობის პრობლემას. იპოთეკის დადგენის წესი იმპერატიულია (საჯარო რეესტრში რეგისტრაცია). სავსებით ვეთანხმებით რიგ ავტორთა მოსაზრებას (რ. როგავა, თ შოთაზე) იმასთან დაკავშირებით, რომ „სპეციალური სუბიექტებისათვის უფლების დადგენისა და დაკმაყოფილების მარეგულირებელი წესების დადგენა რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს საერთო წესებს, მხოლოდ ართულებს სამართლებრივ ურთიერთობას. სასურველია საქარ-

თველოში მოქმედი ყველა საფინანსო ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი დაექვემდებაროს იპოთეკის უფლების წარმოშობის კანონით დადგენილ ერთიან წესს“[19].

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადა 6 წელია. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მისი ვადის დენის შეჩერების სამართლებრივ შემთხვევებს, კერძოდ: გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში; საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმში ყოფნის პერიოდში; საგადასახადო დავების მიმდინარეობისას.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება უქმდება: ა) საგადასახადო კოდექსის **242-ე მუხლით(„ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“)** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით რელიზაციის შემთხვევაში; **ბ)** თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად; **გ)** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში; **დ)** გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში; **ე)** თუ ამ კოდექსის **265-ე მუხლით („გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება“)** გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებით არ წარმოიშობა საგადასახადო დავალიანება; **ვ)** გასულია **საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლით** გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა; **ზ)** საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამრიგად, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ვადამოსული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნებს. თუ კერძო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კანონითაც განისაზღვრება და, ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ყოველთვის კანონითაა დადგენილი. ორივე შემთხვევაში კი საკუთრებაა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა კი კანონისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი (გადასახადის გადამხდელი) ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. **ნაშრომში ვავლებთ პარალელს და ვასკვნით, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და კერძო სამართლებრივ გირავნობა/იპოთეკას შორის მკვეთრი განსხვავებაა, კერძოდ, თუ სანივთო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობას, როგორც სანივთო ვალდებულებისა საფუძვლად პირთა კერძო შეთანხმება უდევს (მაგალითად სესხის ხელშეკრულება), საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძლად მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რასაც შესაბამისად მოჰყვება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მხრიდან, რომლის რეგისტრაციის უფლება საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა. განსხვავება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და სანივთო გირანვობა/იპოთეკას შორის რეგისტრაციის ვადებშიც გამოიხატება, კერძოდ: საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას საგადასახადო ორგანო ირჩევს, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასევე ვეხებით სპეციალური სუბიექტების დადგენის საკითხს, რომელიც კიდევ უფრო ართულებს რეგისტრაციის რიგითობის პრობლემას და ვასკვნით, რომ**

[19] . რ. როგავა, საგადასახადო მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 42-44; თ. შოთაძე, დასახ.ნაშრ. გვ. 229.

სასურველია საქართველოში მოქმედი ყველა საფინანსო ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი დაექვემდებაროს იპოთეკის უფლების წარმოშობის კანონით დადგენილ ერთიან წესს და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. თოდუა, ჰ.ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006,.
2. თ. შოთაძე, იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012,
3. რ. როგავა, საგადასახადო მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011,
4. ი.ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, თბილისი, 2011,
5. გ. ურიდია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები

ანოტაცია

ია ხარაზი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი
თამარ გარდაფხაძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სრული პროფესორი, სამართლის სკოლის დეკანი

თანამედროვე ეტაპზე, სწრაფად განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველი ვალდებულება, იქნება ეს კერძო-სამართლებრივი, თუ საჯარო-სამართლებრივი (საგადასახადო-სამართლებრივი) საჭიროებს "ერთგვარ დაცვას", რომელსაც იურისპრუდენციაში "უზრუნველყოფას" უწოდებენ. ამ მიზნით კანონმდებლობაში (საჯარო თუ კერძო სამართალში) შემუშავებულია და კანონმდებლობით დადგენილია სოციალური ზომები, რომლებიც იქეთკენაა მიმართული, რომ დაიცვას საბაზრო ეკონომიკის ბრუნვის მონაწილე "სუპერ-სუბიექტი", კრედიტორი (იქნება ეს საჯარო სამართის იურიდიული პირი, თუ კერძო სამართლის პირი), რათა აიძულოს მოვალე, შეასრულოს შესაბამისად საჯარო-სამართლებრივი, თუ კერძო-სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც მან იკისრა სესხის აღების უზრუნველსაყოფად, ან არ შეასრულა სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და მისი ქონების მიმართ გამოყენებულ იქნა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. თუ კერძო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კანონითაც განისაზღვრება და ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ყოველთვის კანონითაა დადგენილი. ორივე შემთხვევაში კი საკუთრებაა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა კი კანონისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი (გადასახადის გადამხდელი) ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. "საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებაა. რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ვადაგასული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნებს.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და სამოქალაქო იპოთეკის უფლების გავრცელებასთან დაკავშირებით კერძოდ, სახელშეკრულებო იპოთეკა მოვალის იმ ქონებაზე წარმოიშობა, რომელზეც მას ძირითადი ვალდებულების წარმოშობის დროს გაჩნდა საკუთრება, ან მესაკუთრისგან აქვს მინიჭებული ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების უფლება და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც საგადასახადო გირავნობასა და სანივთო გირავნობა/იპოთეკას განასხვავებს ერთმანეთისგან.

Some certain legal aspects of Tax Lien / Mortgage and Civil Lien / Mortgage

Ia Kharazi - The Associate Professor
of the School of Law of David Aghmashenebeli University of Georgia
Tamar Gardapkhadze - The Full Professor
and the Dean of the School of Law of David Aghmashenebeli University of Georgia

Summary

At modern stage, in the conditions of rapidly developing market economy, each obligation, be it private or legal, or public - legal (tax - legal) requires "some kind of protection," which is called "Guaranteeing" in the science of law. Purpose of the (public or private) law has been developed and legislation set of measures that is directed to protect a participant "a super subject", creditor of the rotation of the market economy (be it a legal person of public law or a legal person of private law), to force the debtor to comply with the public - legislative, or private - legal obligations that he had taken a loan guarantee, or did not fulfill the commitments undertaken before the property was used by the lien / mortgage. whether a private legal obligation to provide means for the law to be determined or established by agreement of the parties, tax obligations, the collateral is always determined by law. In both cases, the ownership of the means for guaranteeing. Lien / mortgage a legal obligation to provide the means for the case when the liable person (the taxpayer), is unable to perform the obligations of the state. "Llien / Mortgage is the arrangement of payment which serves the purposes of payment of expired tax debt.

The paper expresses the opinion that the lien / mortgage and the mortgage on the dissemination of the contractual mortgage on the debtor in property arises, where he was the principal obligation of the origin of the emergence of the property, or the owner of a given property as collateral for the right to use, and other important issues also appear that make Tax lien / Mortgage different from Property Law Lien / Mortgage.

Certaines aspects juridiques du privilège fiscal / Hypothèques et du privilège Civil / hypothèques

Ia Kharazi - Le professeur agrégé de la Faculté de
Droit de David Aghmashenebeli Université de Géorgie
Tamar Gardapkhadze - Le Professeur titulaire et doyen
de la Faculté de droit de David Aghmashenebeli Université de Géorgie

Résumé

Au stade moderne, dans les conditions du développement rapide de l'économie de marché, chaque obligation, qu'elle soit privée ou morale, publique ou - juridique (impôt - juridique) exige «une sorte de protection», qui est appelé «Garantir» dans la science du droit. But de droit (public ou privé) a été développé et la législation ensemble de mesures qui s'adresse à protéger un participant "un sujet super", créancier de la rotation de l'économie de marché (qu'il s'agisse d'une personne morale de droit public ou un droit personne de droit privé), pour forcer le débiteur à respecter les publics - les obligations juridiques qu'il avait pris une garantie de prêt, ou ne remplit pas les engagements pris devant la propriété a été utilisée par le privilège / hypothécaire - législatif ou privé. s'il existe une obligation morale de droit privé à fournir des moyens pour que la loi soit déterminé ou établi par accord des parties, les obligations fiscales, la garantie est toujours déterminée par la loi. Dans les deux cas, la propriété des moyens de garantir. Lien / hypothèque, une obligation légale de fournir les moyens pour le cas où la personne responsable (le contribuable), est incapable de remplir les obligations de l'État. "Llien / hypothécaire est l'arrangement de paiement qui sert aux fins du paiement de la dette fiscale expiré.

Le document exprime l'opinion que le privilège / prêt hypothécaire et l'hypothèque sur la diffusion de l'hypothèque conventionnelle sur le débiteur dans l'immobilier se pose, où il était l'obligation principale de l'origine de l'émergence de la propriété, ou le propriétaire d'un bien donné comme garantie pour le droit d'utiliser, et d'autres questions importantes apparaissent également qui font privilège fiscal / Hypothèques différent du droit propriété Lien / Hypothèques.

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით

ქართლოს ფრიდონაშვილი - სამართლის აკადემიური დოქტორი

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით

საქართველოს სამომავლო ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეა, მეორე ნაწილი კი საქართველოში უნიტარიზმის მხარდამჭერად გვევლინება. საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის სამომავლო ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით სიტყვაძუნწია. თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შესაძლებელია. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. აღნიშნულ კონსტიტუციურ დათქმაში აქცენტები კეთდება ადგილობრივი თვითმმართველების ფორმირებაზე და არანაირი მინიშნება არ გვხვდება ფედერაციის სუბიექტებთან მიმართებაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტშიც ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განმტკიცებაზე, რომლის თანხამადაც, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, თვითმმართველობისა და სუვერენიტეტის ცნებათა კონფიგურაციაში ფედერალიზმთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე პრიმა თავი კი, მთლიანად ეძღვნება თვითმმართველობის, როგორც ღირებულებისა და დემოკრატიული ინსტიტუციის კონსტიტუციურ განმტკიცებას, ამ შემთხვევაშიც ვერ ვხვდებით ვერანაირ დათქმას საქართველოს სამომავლო ფედერალიზაციაზე. მოქმედი კონსტიტუციიდან და ორგანული კანონმდებლობიდან გამომდინარე საქართველო უდავოდ უნიტარული მოწყობის ქვეყანას წარმოადგენს და კონსტიტუციაში არსებული სამართლებრივი ტენდენციები საქართველოს სამომავლო ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით მხოლოდ უნიტარიზმს განიხილავენ.

ამდენად, ყოველივე ზემოღნიშნულიდან გამომდინარე ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომ საქართველოს კონსტიტუცია არაფერს ამბობს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის შესახებ, მიგვაჩნია მცდარად. საქართველოს კონსტიტუციაში ერთმნიშვნელოვნად ასახულია უნიტარიზმის კონცეფცია და ვერანაირ მინიშნებას ვერ ვხვდებით ქვეყნის ფედერალურ მოწყობასთან დაკავშირებით.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ჭრილში ე.წ. ბოდენის დოკუმენტის მიხედვით

სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში აქტუალობას არ კარგავს სადისკუსიო თემა საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ, ამ საკითხს სიმძაფრეს მატებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი როგორც ტერმინი აღარ გამოიყენება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ არც ოფიციალურ დოკუმენტებში და არც პუბლიცისტიკაში, რადგანაც საქართველომ ამ კონფლიქტების ავტორად და მხარედ ცნო რუსეთი.

მას შემდეგ, რაც საქართველო - რუსეთის ომთან და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში გაჩნდა ტერმინი „ოკუპაცია“ და „ეთნოწმენდა“ აქტუალობა დაკარგა იმ კონცეფციამ, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ფედერალიზაციას. ეს არის „თბილისსა და სოხუმს შორის უფელბამოსილებათა გამიჯვნის ძი-

რითადი პრინციპები“ (ბოდენის დოკუმენტი). საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, შეფასებისათვის წარმოვადგენ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის სრულ ვერსიას: „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“.

1. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, დაფუძნებულს სამართლებრივ ნორმებზე. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, დამტკიცებული 1992 წლის 21 დეკემბერს, არ ექვემდებარება ცვლილებას საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარეშე.
2. აფხაზეთი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთს აქვს განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ეყრდნობა ფედერაციულ შეთანხმებას და განსაზღვრავს ზოგად უფლება-მოსილებებს და საერთო კომპეტენციის სფეროებს და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, ამასთან წარმოადგენს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების გარანტს.
3. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის უნდა ეყრდნობოდეს საკონსტიტუციო კანონის ძალის მქონე ფედერაციულ შეთანხმებას. აფხაზეთი და საქართველოს სახელმწიფო კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ ფედერაციული შეთანხმების დებულებებს. ფედერაციული შეთანხმება ურთიერთშეთანხმების გარდა არავითარ გარემოებებში არ ექვემდებარება შესწორებებისა და დამატებების შეტანას, გაუქმებას და ბათილად ცნობას.
4. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის განსაზღვრული იქნება მათ შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის საფუძველზე. აფხაზეთის უფლებები და კომპენსაცია აღიარებული იქნება მეტი მოცულობით ვიდრე ეს სარგებლობდა 1992 წლამდე.
5. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია შეცვლილი უნდა იქნას ფედერაციული შეთანხმებით განსაზღვრული კომპეტენციის გამიჯვნის შესაბამისად. ამისათვის შესაძლებელია ქართულ-აფზახური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის, კერძოდ მე-7 პარაგრაფის გამოყენება, რომელიც ეხება ერთობლივი ღონისძიებების უფლებებს.
6. აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად შეიძლება დაედოს 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზეთის კონსტიტუცია, შეცვლილი უნდა იქნას თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ისევე როგორც ეს განსაზღვრულია ფედერაციული შეთანხმებებით.
7. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ისე აფხაზეთის კონსტიტუცია, უნდა შეიცავდნენ ანალოგიურ დებულებებს, რომელიც შეეხება თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს, გამორიცხავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დისკრიმინაციას. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციაში, ასევე აფხაზეთის კონსტიტუციაში არაფერი არ უნდა არღვევდეს ყველა დევნილი და ადგილნაცვალი პირის უპირობო უფლებას - თავს სახლებში სრული უსაფრთხოების პირობებში და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაბრუნებას.
8. საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთი უნდა შეთანხმდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და საქმიანობის თაობაზე, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და ფედერაციული შეთანხმებით თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი საკითხების შესახებ“.

მოცემული დოკუმენტის მე-5 პუნქტი შეიცავს მითითებას „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის მე-7 პარაგრაფზე (პუნქტზე), რომელშიც ნათქვამია: „მხარეებმა გამართეს კონსულტა-

ციები უფლება-მოსილებათა გამიჯვნის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი არის საერთო დარეგულირების ნაწილი და შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც მოიძებნება კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტილება.

ამ ეტაპზე მხარეებმა მიაღწიეს სრულ ურთიერთგაგებას უფლებამოსილებათა შესახებ შემდეგ სფეროებში ერთობლივი საქმიანობისათვის:

ა) საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური კავშირები;

ბ) სასაზღვრო სამსახური;

გ) საბაჟო სამსახური;

დ) ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა;

ე) ეკოლოგია და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაცია;

ვ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების, ეროვნული უმცირესობების უფლებათა უზრუნველყოფა".[1]

ბოდენის დოკუმენტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც „აფხაზეთი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთს აქვს განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ეყრდნობა ფედერაციულ შეთანხმებას..."

იბადება ლოგიკური კითხვა, რამდენად არის შესაძლებელი, რომ სუვერენულ სახელმწიფოში არსებობდეს სუვერენული წარმონაქმნი. ამ კითხვასთან დაკავშირებით ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ბრუნო კოპიტერსი აკეთებს განმარტებას, რომ ქვეყნის შიგნით სუვერენიტეტის გაყოფა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა დეფერაციულ სახელმწიფოში.[2] ვიდრე, ვიმსჯელებდით სუვერენიტეტის თეორიებზე, კონცეფციებზე აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მიმოვიხილოთ თანამედროვე ფედერალიზმი და თანამედროვე უნიტარიზმი ისეთი განვითარებული და დემოკრატიული სისტემების მქონე ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით როგორებსაც წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი.

ფედერალიზმი, უნიტარიზმი და რეგიონალიზმი

თანამედროვე დასავლეთის იურიდიული ლიტერატურა ფედერალიზმის შესახებ 500-ზე მეტ თეორიასა და სკოლას აღიარებს (ზოგიერთი შეხედულებებით 650). თუმცა, ზოგადი ცნების ჩამოყალიბება მაინც შესაძლებელია. ფედერალიზმი წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან: „foedus" და ნიშნავს „კავშირს", „გაერთიანებას".[3]

ფედერაციული სახელმწიფოს უმსხვილესი ტერიტორიული ერთეულები ფედერაციის სუბიექტები წარმოადგენენ კვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და შესაბამისად, ისინი არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომიითაც სარგებლობენ. ყველა შემთხვევაში, ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური ავტონომია კონსტიტუციით მკაცრად არის რეგლამენტირებული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სეცესიის - სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლება. ფედერაციის სუბიექტების კავაზისახელმწიფოებრივი ბუნება არსებითად ვლინდება შემდეგი ნიშნებით: ფედერაციის სუბიექტს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა, ზოგჯერ აგრეთვე საკუთარი სასამართლო სისტემა,[4] საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა, ფედერაციული სახელმწიფო ბიკამერალური-ორპალატიანი პარლამენტით გამოირჩევა.

---

[1] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვიელში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი, 2009 წ.

[2] Бруно Компитерс. „Документ Богена" о. разграничении полномочий между Тбилиси и Сухуми. Материалы семинара экспертов Грузии. „Федерализм и разграничение полномочий в Абхазии". редактор Александр Кихианидзе. Тбилиси. 2002 ст. 7

[3] გიროგი ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პირინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000 წ. გვ. 14

[4] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კოსნტიტუციური სამართალი, თბილის, 2008 წ. გვ. 226

ტრადიციულად, ფედერაციული სახელმწიფო ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე იქმნება. ტერიტორიული პრინციპით არის შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი (არაბთა გაერთიანებული საემიროები, არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, მექსიკა) და მათ შორის ისეთი სტაბილური ქვეყნები, როგორიცაა აშშ, გერმანია, ავსტრალია, ავსტრია.

ეროვნული ნიშანი უდევს საფუძვლად ბელგიის, ეთიოპიის, რუსეთის ფედერალიზმს. ამავე ნიშნით იყო შექმნილი ყოფილი ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა. ეროვნული ნიშნით შექმნილი ფედერაციები არც მდგრადობით გამოირჩევიან და არც დიდი სტაბილურობით ხასიათდებიან.[5]

უნიტარიზმის შესახებ კლასიკური თეორიებიდან გამომდინარე, უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომელთაც არ გააჩნიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის რაიმე ნიშნები. ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გარკვეულწილად ექვემდებარებიან მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს, მათი სამართლებრივი სტატუსი საერთო სამართლებრივ სისტემაში მოქმედი ნორმებით განისაზღვრება და ისინი მთლიანობაში მთელი ქვეყნის მმართველობის ერთიან ორგანოთა სისტემას ქმნიან. უნიტარიზმი (ლათ. unus - ერთი) ერის პოლიტიკური ერთიანობის შესახებ არსებულ კლასიკურ წარმოდგენას ასახიერებს და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალიზაციის პრინციპს აღნიშნავს.

უნიტარულ სახელმწიფოში სამართლის ერთიანი სისტემა მოქმედებს. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები საქმიანობისას ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ, უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა, რომელიც მთელი სახელმწიფოებისათვის ერთიანი მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი სასამართლო ორგანოები ქვეყნის ცენტრალიზებული სასამართლო სისტემის ქვედა რგოლია.[6]

კონსტიტუციონალიზმი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთ ფორმად რეგიონალიზმიც განიხილება. რეგიონალიზმის, როგორც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის იდეა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ვითარდება, რაც იმთავითვე უნიტარულ სახელმწიფოებში მკაცრი დეცენტრალიზაციის აღიარებას მოასწავებდა. ლტოლვა რეგიონალიზაციისკენ ძლიერდება რეგიონების შექმნის ფორმირება ხდება სახელმწიფოთა მთავრობების მიერ განსხვავებული მიზნებითა და გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეგიონალიზაცია განხორციელდა ესპანეთში, იტალიისა და საფრანგეთში. აღნიშნული ქვეყნების რეგიონალიზაციის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ჩაეწერა იგი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის სისტემაში. უნიტარული საფრანგეთისათვის, მართვის სიმეტრიული სისტემის პირობებში რეგიონი გახდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ხოლო ესპანეთისა და იტალიისათვის რეგიონი გახდა ქვეყნის ტერიტრიულ-პოლიტიკური მოწყობის ერთეული. ყოველივე ეს მოხდა ასიმეტრიულობის პირობებში, როდესაც ყველა რეგიონი ავტონომიურია, მაგრამ შეიქმნა ავტონომიური ტერიტორიების გარკვეული იერარქია, რამდენადაც რიგი რეგიონებისა კომპეტენციის განსხვავებული კომპლექსით აღიჭურვა. კონსტიტუციონალიზმში რეგიონალური სახელმწიფო ტრადიციულად, უნიტარულ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა, ფედერაციის არსებითი ნიშნებიც აქვს შეთვისებული. სწორედ ამიტომ მას სხვადასხვა პოზიციიდან განიხილავენ როგორც რაღაც შუალედურ და ჰიბრიდულ ფორმას უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის.

---

[5] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 153

[6] ოთარ მელაძე, გიროგი თევდორაშვილი, რეგიონალიზმი სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანზაიციის ფორმა, თბილისი, 2003 წ. გვ. 15; 16; 17

ფედერალური ტერიტორიული ორგანიზაციის მსგავსად, რეგიონალიზმი ითვალისწინებს რეგიონების აღჭურვას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით, თუმცა სასამართლო ორგანოთა განკერძოებული სისტემა რეგიონებში არ ფუნქციონირებს.[7]

აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ ფედერალიზმის, უნიტარიზმისა და რეგიონალიზმის ზოგადი ცნებები და მათთვის დამახასიათებელი ნიშნები, უკვე შეგვიძლია მათი რეალიზაციის თავისებურებები გავაანალიზოთ ფედერაციული აშშ-სა და უნიტარული საფრანგეთის სახელმწიფო სისტემებში.

ამერიკის შეერთებული შტატები, მის შემადგენლობაში შემავალი 50 შტატით, ფედერალურ პრინციპზეა აგებული. შეერთებულ შტატებში ფედერალიზმი მოიაზრება, როგორც ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეული შეზღუდვის საშუალება და უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულების - შტატების საკმაოდ ძლიერი ხელისუფლების შენარჩუნებას. ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ფედერალური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაჯერებულია ცენტრალიზაციის ელემენტებით.

ერთი მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო - ტერიტორიულ მოწყობას გააჩნია ფედერაციისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ქვეყანა იყოფა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად - შტატებად, რომლებიც ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ. ფედერალური ორგანოების ხელისუფლებას აშშ-ს კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო შტატების კონსტიტუციების საფუძველზე იქმნება მათი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა. შტატების ლეგისლატურები იღებენ კანონებს. ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავისი სამართლისა და სასამართლო სისტემები. მოქმედებს ორმაგი - საკავშირო და საშტატო მოქალაქეობა.

მეორე მხრივ კლასიკური ფედერალიზმის დამახასიათებელ ამ ნიშნებთან ერთად, გვხვდება ბევრი ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშანი: შტატებს ეკრძალებათ დადონ ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან, მოჭრან ფულის ნიშანი, გამოუშვან საკრედიტო ბილეთები და სხვა. ცალკეულ შტატებს არ გააჩნიათ სახელმწიფო სუვერენიტეტი, არ აქვთ ფედერაციიდან გასვლის უფლება.

აშშ-ს კონსტიტუციაში უფლებამოსილებათა განაწილება ზოგადად არის წარმოდგენილი. იგი გულისხმობს „საქვეყნო“ საქმეების მინდობას ეროვნული ხელისუფლებისათვის, ხოლო „ადგილობრივი“ საკითხებისა - შტატებისათვის. შტატები დიდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კონგრესის ერთ-ერთი პალატის - სენატის ფორმირების წესი, რომელიც კომპლექტდება შტატებში არჩეული წარმომადგენლებისაგან - სენატორებისაგან, რომლებიც შტატების ინტერესებს იცავენ ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. [8]

ფედერალური ქვეყნების სასამართლო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია დეცენტრალიზაცია. აშშ-ს სასამართლო სისტემაში უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო. ფედერალური მართლმსაჯულების მეორე უმაღლეს დონეს ქმნიან საapელაციო სასამართლოები, რომლებიც 1891 წელს შეიქმნა საქმეთა განაწილების გაადვილებისა და უზენაესი სასამართლოს დატვირთვის შემცირების მიზნით. სააპელაციო სასამართლოები იხილავენ საჩივრებს რაიონის სასამართლოების ყველა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული ინსტანციის ქვემოთ 94 საოლქო სასამართლო დგას. აქვე შედის ერთი სასამართლო კოლუმბიის ოლქში და ერთიც პუერტო-რიკოში. სასამართლოების უფრო დაბალ დონეს რაიონის სასამართლოები წარმოადგენენ. აშშ-ში დროდადრო წარმოიქმნება სპეციალური დანიშნულების სასამართლოთა შექმნის საჭიროება. ისინი ცნობილი არიან „საკანონმდებლო“ სასამართლოთა სახელწოდებით, რადგან კონგრესის გადაწყვეტილებით იქმნებიან. მათ მოსამარ-

[7] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 160; 161

[8] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I თბილისი 1999 წ. გვ. 21-22.

თლეებს პრეზიდენტი ნიშნავს სენატის თანხმობით. ამჟამად არსებობს სამი სპეციალური სასამართლო: სასარჩელო, საბაჟო და ბაჟის და საპატენტო სასამართლოები.

აშშ-ს უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და რვა ასოცირებული წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს პრეზიდენტი, სენატთან შეთანხმებით. უზენაესი სასამართლოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კონგრესი. კონგრესი ასევე ინარჩუნებს უფლებას, შექმნას და გაუქმოს ფედერალური სასამართლოები და განსაზღვრის მოსამართლეთა რაოდენობა ფედერალურ სასამართლო სისტემაში, მაგრამ მას უზენაესი სასამართლოს გაუქმების უფლება არა აქვს. ცალკეული შტატის სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ყველა შტატი ამ საკითხში უნიკალურია, საერთო კი ისა აქვთ, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო. შტატებში მათი ფორმირების საშუალებები სხვაგვარია: ირჩევა მოსახლეობის ან ლეგისლატურის მიერ, ინიშნებიან გუბერნატორების მიერ ერთპიროვნულად, ან სენატის, ან სპეციალური კომისიის მიერ, მუნიციპალური ხელისუფლების, მერების, ზემდგომი სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ.[9]

ამგვარად, როგორც ირღვევა აშშ-ს სასამართლო სისტემის ორგანოები ერთმანეთისგან არა მხოლოდ სტრუქტურულად არიან გამიჯნული, არამედ ისინი ყალიბდებიან და ინვესტიტურას იძენენ სხვადასხვა გზით და სხვადახვა წყაროს მიერ, რაც რეალურად უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას აშშ-ში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე უნიტარიზმს და ფედერალიზმს ერთმანეთთან ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია, რაშიც უნიტარული საფრანგეთის ადგილობრივი მართვის სისტემის მიმოხილვის შემდეგ დავრწმუნდებით. საფრანგეთში ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია 1982 წლის რეფორმასთან. საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული „კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ“ კანონით გაფართოვდა კომუნების ავტონომია, გაუქმდა პრეფექტორული მეურვეობა და დაწესდა რეგიონალური საბჭოების არჩევითობა. აღნიშნულმა კანონმა გააუქმა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციების გადასცა გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. ცენტრის წარმომადგენლად ადგილებზე მოგვევლინა რესპუბლიკის კომისარი, რომელსაც დაეკისრა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა, კონტროლი ფინანსურ საკითხებში დაეკისრა სპეციალურად შექმნილ საანგარიშო-რეგიონულ პალატას. ადგილობრივ დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლი შენარჩუნდა, მაგრამ იგი ხორციელდება მხოლოდ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებზე და არა წინასწარი კონტროლის ფორმით, როგორც ეს ადრე იყო.[10]

1982 წელს მიღებულმა კანონმა - „კომუნების, დეპარტამენტების და რეგიონის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ“ რეგიონს მიანიჭა ტერიტორიული კოლექტივის სტატუსი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის უფლებით. რეგიონი ყველაზე მსხვილი ერთეულია. მეტროპოლიაში ყოველი რეგიონი რამდენიმე დეპარტამენტს აერთიანებს, განსხვავებით დამოუკიდებელი რეგიონებისაგან, რომლებიც იმავდროულად დეპარტამენტს წარმოადგენენ. რეგიონს ხელმძღვანელობს საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული რეგიონული საბჭო. რეგიონის კომპეტენციაში შევიდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო განვითარების უზრუნველყოფა. იგი თვალ-ყურს ადევნებს დეპარტამენტებისა და კომუნების ერთიანობას, ავტონომიურობას და უფლებამოსილებების დაუბრკოლებელ შესრულებას. მან შეიძლება განახორციელოს დამატებითი ფუნქციები სახელმწიფოსთან ერთად.

საფრანგეთის ტერიტორიული სტრუქტურას შეადგენს 101 დეპარტამენტი, რომელთაგან 96-ს ითვლის მეტროპოლია და გაერთიანებულია მის 22 რეგიონში, ხოლო 5 განთავსებულია ზღვის იქითა ტერიტორიებზე. ეს ოთხი დამოუკიდებელი რეგიონია - გვადელუპა, გვიანა, მარტინიკა და რეი-უნიონი. ე.წ. შეთავსებული რეგიონ-დეპარტამენტის გარდა, კიდევ ერთი დეპარტამენტია სენ-პიერ-ე-მიკელონი. ამას გარდა, საფრანგეთის გაბნეული გეოგრაფია მოიცავს კიდევ ერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსით - მაიოტს და ოთხ ზღვის იქითა ტერიტორი-

[9] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ. გვ. 42; 43

[10] გ. კვერენჩხილაძე, ო. მელქაძე,ს აფრანგეთის სახელწმიფო სისტემა, თბილისი 1997 წ. გვ. 144.

ას: ახალი კალედონია, პოლინეზია, ვალის ე ფიუტიუნა, სამხრეთ და არქტიკული ტერიტორიები.

დეპარტამენტი იყოფა საქალაქო და სასოფლო კომუნებად. საფრანგეთში ამჟამად 37 ათასამდე კომუნა არსებობს. ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ქვეყნის უმსხვილესი ქალაქები - პარიზი, მარსელი და ლიონი. მათი მართვა ორსაფეხურიანი სისტემით ხორციელდება.

1991 წლიდან განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსით სარგებლობს კუნძული კორსიკა, რაც იმით გამოიხატება, რომ მას მინიჭებული აქვს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.[11]

ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად საფრანგეთის პარლამენტიც ორპალატიანია, რომელიც შედგება ეროვნული კრებისა და სენატისაგან. ეროვნული კრების არჩევნებისას გამოიყენება მაჟორიტარული სისტემა. ეროვნული კრების წევრები აირჩევიან ხუთი წლის ვადით, პირდაპირ, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით. ეროვნული კრება შედგება 577 დეპუტატისაგან. რაც შეეხება ფრანგული პარლამენტის ზედა პალატას - სენატს, მისი არჩევა ხდება სამსაფეხურიანი არჩევნებით. სენატორები აირჩევიან თითოეული დეპარტამენტის კოლეგიებში, მთლიანობაში საარჩევნო კოლეგია შედგება დაახლოებით 108 ათასი წევრისაგან, რომელთაგან 600 დეპუტატია, 3000-ზე მეტი გენერალური და რეგიონალური მრჩეველი და დაახლოებით 104 ათასი - მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ფაქტიურად, ამ უკანასკნელთა მიერ ხდება სენატის არჩევა. როგორც ვხედავთ სენატორები აირჩევიან ირიბი წესით. სენატი აირჩევა 9 წლით - 3 წელიწადში მესამედის განახლებით. სენატი შედგება 322 წევრისაგან განსხვავებით ქვედა პალატის - ეროვნული კრებისაგან მისი დათხოვნა არ შეიძლება.

დებულებებს სასამართლო ხელისუფლების შესახებ ეთმობა საფრანგეთის კონსტიტუციის მერვე კარი. საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი. ამ ფუნქციის განხორციელებაში მას ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. საფრანგეთის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს მეთაურობს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამ პოსტზე იგი შეიძლება შეცვალოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც თანამდებობის მიხედვით მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეა. ორგანული კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად უმაღლეს საბჭოში შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცხრა წევრი.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო წარადგენს კანდიდატურებს საკასაციო სასამართლოების მოსამართლეების და სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად. ორგანული კანონის შესაბამისად და იუსტიციის მინისტრის თხოვნით მას გამოაქვს დასკვნა სხვა მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე. ორგანული კანონის შესაბამისად მისი აზრის გაგება აუცილებელია შეწყალების საკითხების გადაწყვეტის დროს. მოსამართლეების მეირ ჩადენილი დელიქტების განხილვის დროს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო მოქმედებს როგორც დისციპლინარული საბჭო. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეობს საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.[12]

საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე და 65-ე მუხლებში მოცემული შინაარსი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ფრანგული სასამართლო სისტემის ცენტრალიზაციაზე, თუმცა, გარკვეული დეკონცენტრაციის ელემენტები ფრანგული სასამართლო ხელისუფლებისა მაინც გვხვდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე.წ. კვაზისასამართლო ორგანოები, რომლებიც სპეციალიზებული არიან გარკვეული კატეგორიის საქმეთა განხილვაზე. მათ მიეკუთვნებიან სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა (პატიოსნებით განთქმულ პირთა) საბჭოები, სოციალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვა.

---

[11] ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I თბილისი 1999 წ. გვ. 318.

[12] ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქცვეყნების კოსნტიტუციები, თბილისი 1992 წ. გვ. 149.

ფრანგული სასამართლო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის თავისებურ ვარიაციად შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემას ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ფორმალურად თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, მას კი ცვლის იუსტიციის მინისტრი. ფაქტობრივი ხელმძღვანელობა ვიცე-თავმჯდომარეს ეკუთვნის. თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე საჩივრების ძირითადი მასა განიხილება ადმინისტრაციული ტრიბუნალების მიერ. 1987 წელს შეიქმნა ხუთი ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო. თითოეული მათგანის კომპეტენცია რამდენიმე დეპარტამენტის ფარგლებში ვრცელდება. ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ რგოლს ადმინისტრაციულ ტრიბუნალებსა და სახელმწიფო საბჭოს შორის. მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო საბჭოში. [13]

ფედერალურ აშშ-სა უნიტარული საფრანგეთის ტერიტორიული მოწყობის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ საერთო ნიშან-თვისებებზე. კერძოდ, რა გვაქვს მხედველობაში?! აშშ და საფრანგეთი ორივე განვითარებული დემოკრატიული ქვეყანაა. დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზება ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესია. კონსტიტუციონალიზმში განასხვავებენ ხელისუფლების დანაწილების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფორმას. ხელისუფლების ჰორიზონტალურ განაწილებაში გულისხმობენ და შეისწავლიან მმართველობისა ფორმებს (საპრეზიდენტო, შერეული და საპარლამენტო მმართველობები), ხოლო ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილებაში მოიაზრება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მოდელები. ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების პროცესი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ბოჭვას. ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება ხორციელდება სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე. სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად, „დაუშვებელია შედარებით მაღალი საფეხურის ხელისუფლებას დაეკისროს იმ ფუნქციების განხორციელება, რომელთა განხორციელება შედარებით დაბალი საფეხურის ხელისუფლებას შეუძლია“. სუბსიდიარობის პრინციპი კი თავისუფლად ეყრდნობა და მოიცავს ისეთ ღირებულებას როგორიცაა: დეკონცენტრაცია და დეცენტრალიზაცია. „დეკონცენტრაცია გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილებზე დანიშნული სახელმწიფო აგენტების - სახელმწიფო მოხელეებისათვის უფლებამოსილებების გადაცემას, აგრეთვე მმართველობის ერთ დონეზე გადაცემული უფლებამოსილებები, დარგობრივი პრინციპით დანაწევრება - განაწილებას“.[14] ხოლო, რაც შეეხება დეცენტრალიზაციას, ის გულისხმობს „ცენტრალური ხელისუფლების მიერ ცალკეული უფლებამოსილებების ცენტრისგან დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემას. დეცენტრალიზაციის დროს სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული, პირი, ასხვისებს თავისი უფლებამოსილებების ნაწილს სხვა იურიდიული პირის - ტერიტორიული კოლექტივის სასარგებლოდ“.[15] დეცენტრალიზებული სახელმწიფო იყოფა თვითმმართველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ.[16]

ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ საფრანგეთში თვითმმართველობის ყველაზე მაღალი დონის ტერიტორიული ერთეულები - რეგიონები და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეული შტატები, ვინაიდან და რადგანაც, ცალკეული შტატი არ არის სუვერენიტეტის მატარებელი, მათ არ გააჩნიათ თვითგამორკვევის უფლება, არ შეუძლიათ უცხო სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადება, არც საფრანგეთის რეგიონებს და არც ამერიკის ცალკეულ შტატებს არ შეუძლიათ აწარმოონ თავდაცვითი ომი. მიუხედავად ცალკეული შტატის ადმინისტრაციული დამოუკიდებლობისა ფედერალური ხელისუფლებისგან, ისინი მაინც დიდ

---

[13] გ. კვერენჩხილაძე, ო. მექლაძე საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი 1997 წ. გვ. 129

[14] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ. 373.

[15] ო. მექალძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002 წ. გვ. 53.

[16] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ. 373-374

ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე. მხედველობაში გვაქვს ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის - სენატის ფორმირებისა წესი, სადაც თითოეული შტატიდან აირჩევა ორ-ორი სენატორი, ხოლო თვით სენატის თავმჯდომარე როგორც წესი არის ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი. საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატაში - სენატში ასევე უზრუნველყოფილია ტერიტორიული ერთეულების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა ფრანგი სენატორების მიერ. ამერიკის ცალკეულ შტატს გააჩნია კონსტიტუცია, რომელიც რა თქმა უნდა შესაბამისობაშია ქვეყნის ძირითად კანონთან - კონსტიტუციასთან, საფრანგეთის რეგიონებთან დაკავშირებით კი დავძენთ, რომ მათ არ გააჩნიათ კონსტიტუციები, თუმცა, საფრანგეთის რეგიონები თავიანთი წესდების საფუძველზე მოქმედებენ, რომელიც თვისი არსით შეიძლება ითქვას, რომა რის ამერიკის ცალკეული შტატის კონსტიტუციის ანალოგიური და ეს წესდებაც შესაბამისობაში არის მოყვანილი საფრანგეთის კონსტიტუციასთან. ამერიკის ცალკეულ შტატებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საგადასახადო და შემოსავლების განაწილების საკუთარი პოლიტიკა. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთის რეგიონალურ ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებით. მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფედერალური საფრანგეთის ერთ საერთო ნიშანზე, რომელიც ვლინდება ორივე ქვეყნის სამართალდამცავ სისტემაში. მხედველობაში გვაქვს ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ბიურო და ფრანგული ჟანდარმერია, ერთიც და მეორეც ყალიბდება ექსტერიტორიულობის პრინციპით, ერთმნიშვნელოვნად ექვემდებარებიან ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს რგოლებს და ადგილობრივი რესურსითა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული პოლიციური ძალების გამაწონასწორებელ ფუნქციას ასრულებენ.

ჩვენ მიმოვიხილეთ სასამართლო ხელისუფლების ფორმირების თავისებურებები ფედერალურ ამერიკის შეერთებულ შტატებში და უნიტარულ საფრანგეთშიც. ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ში სასამართლო ხელისუფლება დეცენტრალიზირებულია. ცალკეულ შტატს აქვს უფლებამოსილება თვითონ ჩამოაყალიბოს სასამართლო ორგანოები, რასაც ვერ ვიტყვით საფრანგეთის რეგიონებთან მიმართებაში. წარმოდგენილ პუბლიკაციაში დიდი ადგილი დავუთმეთ საფრანგეთის სასამართლო სისტემის მიმოხილვას, სადაც ნათლად ჩანს რომ ხელისუფლებათა ურთიერთშეკავება-გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე ფრანგული სასამართლო ხელისუფლება არის დანაწევრებული და გარკვეულ ასპექტში დეკონცენტირებულიც კი. სასამართლო სისტემას დანაწევრებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ საერთო სასამართლოების სისტემისგან გამიჯნულია ადმინისტრაციული იუსტიცია, რომლის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოთა სისტემა ინვესტიტურას (უფლებამოსილებას) ღებულობს მთავრობისგან. ადმინისტრაციულ სასამართლოს ცალკე სისტემად ჩამოყალიბებას უმნიშვნელოვანესი დატვირთვა გააჩნია უნიტარულ სახელმწიფოში ფართო ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი რამდენიმე დონიანი თვითმმართველობის არსებობის შემთხვევაში, რადგანაც პირდაპირი წესით არჩეული მერი და წარმომადგენლობითი ორგანო ერთად აღებული ანგარიშგასაწევი სამართლებრივი სტატუსის მატარებლები არიან. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს ხელისუფალი, რომელიც გაანთავისუფლებდა თანამდებობიდან არჩეულ მერს. ვინაიდან, ადმინისტრაციულ სასამართლოში ადგილობრივი მმართველობის აქტები საჩივრდება, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალწარმოების მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის ფორმირება არ უნდა ხდებოდეს იამვე წყაროებისა და იმავე რესურსის მონაწილეობით, რომლებითაც ყალიბდება ადგილობრივი ხელისუფლება. ამას გარდა, ჩვენ შეიძლება თავს უფლება მივცეთ და ვიმსჯელოთ ფრანგული სასამართლო სისტემის დეკონცენტრაციაზე. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს სპეციალიზირებული, გარკვეული კატეგორიის საქმეთა განმხილველი კვაზისასამართლო ორგანოები, რომლებიც ადგილობრივი ადამიანური რესურსით შეიძლება ყალიბდებოდეს, როგორც უკვე აღინიშნა ეს კვაზისასამართლო ორგანოებია: სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა (პატიოსნებით განთქმულ პირთა) საბჭოები, სოცი-

ალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვ.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფედერალური ამერიკის შეერთებულ შტატებს და უნიტარულ საფრანგეთს ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების თვალსაზრისით, თითქმის ყველა ასპექტში ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია. შეიძლება, ჩვენ კითხვის ნიშნები დავსვათ ფრანგული და ამერიკული სასამართლოს დეცენტრალიზაციასთან, როგორც საერთო დამახასიათებელ ნიშანთან დაკავშირებით, მაგრამ ესეც გარკვეულ ასპექტში პირობითია და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგანაც აღნიშნული საკითხის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ საფრანგეთის სასამართლო ხელისუფლება ღრმა დანაწევრებას განიცდის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ თანამედროვე, განვითარებული და დემოკრატიული უნიტარული სახელმწიფო ეს არის რეგიონალური სახელმწიფო და ამ უკანასკნელს ფედერალურ სისტემასთან ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია.

ზემოთ ჩვენ ვწერდით, რომ ფედერალური სახელმწიფო ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე იქმნება, მაგრამ განა თანამედროვე უნიტარული სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ტერიტორიული ან ეროვნული ნიშნის საფუძველზე შექმნილი?! აქ მხოლოდ დადებითი პასუხის შეიძლება არსებობდეს, რადგანაც ნებისმიერი, კლასიკური გაგებით უნიტარული სახელმწიფო გარდაიქმნება რეგიონალურ სახელმწიფოდ სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზაციის შედეგად, რა თქმა უნდა, თუ, ამას ეკონომიკური ფაქტორებიც ხელს უწყობენ. შესაბამისად, უნიტარული, რეგიონალური სახელმწიფოც შეიძლება მოწყობილი იქნეს როგორც ტერიტორიული ნიშნით ასევე - ეროვნული, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ეთნიკური ნიშნით, რადგანაც დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციიდან გამომდინარე ეროვნულობა და მოქალაქეობა არსობრივად ერთმანეთთან არის გაიგივებული. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული ფედერაციებისა და უნიტარული რეგიონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების მიზეზები და არსებული პრობლემატიკაც იდენტურია. არსებობს აზრი, რომ ფედერალიზმი შეიძლება იყოს ეთნიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალება. რეალურად კი, პოლიეთნიკური ფედერაციების არსებობის შენარჩუნება მეტად რთულია და მაღალია მათი დაშლის შანსი[17]. როგორც ლევან მატარაძე აღნიშნავს, იმ ფედერაციულ სახელმწიფოებში, რომლებშიც არსებობენ სუბიექტები, შექმნილი ეროვნული ნიშნით, პერმანენტულად არსებობს ტერიტორიული რღვევის საფრთხე (კვებეკი კანადაში, ქაშმირი ინდოეთში, კოსოვო იუგოსლავიაში)[18].

კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველია ორსუბიექტიანი ე.წ. ბიპოლარული ფედერალიზმი. ხუბუა წერს, რომ ბიპოლარული ფედერალიზმის შედარებით ნაკლები ინტეგრაციული შესაძლებლობები განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როდესაც ერთმანეთს ემთხვევა ეთნიკური და ტერიტორიული ერთეულების საზღვრები, გაცილებით მეტი პრობლემა წარმოიშობა ეთნიკური ან სხვა, კულტურული ნიშნით განსხვავებული ჯგუფების ინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, ბიპოლარული ფედერალიზმის დროს ფედერალურ ხელისუფლებას შესაძლებლობა არა აქვს გააწონასწოროს ფედერაციის სუბიექტთა ურთიერთგანსხვავებული ინტერესები ისევ ფედერაციის სუბიექტთა განსხვავებულ ინტერესთა კოალიციის ჩამოყალიბების გზით. ბიპოლარულ ფედერაციას არ ძალუძს დაეყრდნოს მზარდ ინტერტერიტორიულ კოალიციას, რომელიც, თავის მხრივ, ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას. ბიპოლარულ ფედერაციულ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების მთელი საქმიანობა მიმართულია ფედერაციის ორ სუბიექტს შორის კონსენსუსის მიღწევისაკენ, რაც საბოლოოდ, ხელს არ უწყობს ინტეგრაციული ტენდენციების გაძლიერებას[19]. ამას გარდა, ეთნიკურ ფედერალიზმთან დაკავში-

---

[17] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2009 წ. გვ. 14.

[18] ლევან მატარაძის მოხსენება, საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები; Pro et Contra. კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2000 წ. გვ. 34

[19] გიორგი ხუბუა, ფედერაციზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000 წ. გვ. 334

რებით გიორგი ხუბუა განმარტავს, რომ კულტურას მიკუთვნებული საკითხები დასაშვებია გადანაწილდეს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის. სავსებით ნორმალურია მაგალითად, ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებდეს განსხვავებული ეროვნული თეატრი, ლიცეუმი, რადიო. მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ერთმანეთის გვერდით ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული პოლიციის არსებობა. თუ, სახელმწიფო იძულების აპარატი ჩამოყალიბდა ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, ადრე თუ გვიან, იგი აუცილებლად გამოიწვევს ანარქიას, ომს (რასაც ადასტურებს კვიპროსისა და ლიბანის მაგალითი)[20].

ვოუტერ პასიც ამბობს, რომ ბიპოლარული ფედერალიზმი უაღრესად არასტაბილურია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ასეთი ფედერალიზმი ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან, თავის თავში მუდმივად იფარავს მოსახლეობის ორივე ჯგუფს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების საფრთხეს. ეს გამოხატულია ბელგიის სინამდვილეშიც. ბიპოლარული ფედერაციული სახელმწიფოს მაგალითებია, როდეზიისა და ნიასალენდის კავშირი, ჩეხოსლოვაკია, სერბეთ-ჩერნოგორიის კავშირი (ე.წ. მცირე იუგოსლავია) კანადა, ბელგია და სხვა. ამათგან პირველი სამი სახელმწიფო დაიშალა[21].

ბიპოლარული ეთნიკურ ფედერალიზმზე ჩვენ შემთხვევით არ გაგვიმახვილებია ყურადღება. წინა გვერდებზე წარმოდგენილი ე.წ. ბოდენის დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“ სხვა არაფერია თუ არა ბიპოლარული ეთნიკური ფედერალიზმის მოდელის შეთავაზება ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი რეგულირებისთვის, რაც ჩვენი აზრით, პრობლემის კონსერვაციას მოახდენდა მხოლოდ.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეთნიკურ ფედერალიზმთან დაკავშირებით მოცემული დებულებები თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს იმ უნიტარულ სახელმწიფოებზე, რომლებშიც რეგიონალიზმი უპირველეს ყოვლისა შექნილია ეროვნული ნიშნის საფუძველზე, სადაც ავტონომიის საზღვრები ამა თუ იმ ეთნოსის განსახლების საზღვრებს ემთხვევა. აღნიშნულის დასადასტურებლად შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ესპანეთის კატალონიისა და ბასკეთის ავტონომიური გაერთიანებები. საფრანგეთში კორსიკული ეთნოსით დასახლებულ კუნძულ კორსიკას ფართო ავტონომიური უფლებები გააჩნია, ამ უკანასკნელზე წელიწადში 200-დან 300-მდე დივერსიული აქტი ხდება ეთნიკურ-ექსტრემისტულ მოტივებზე. უნიტარული სისტემის მქონე ბრიტანეთის მაგალითიც შეიძლება გავიხსენოთ, სადაც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე შოტლანდიის მისწრაფებები დამოუკიდებლობისკენ, და ბოლოს, შორს რომ აღარ წავიდეთ, საქართველო და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულმა ავტომონიების აფეთქებებმა მოიცვეს, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ რაიმე პრინციპული სხვაობა არ იკვეთება ფედერალურ და თანამედროვე უნიტარულ სისტემებს შორის. ვერც ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულ ფედერალიზმს და რეგიონალიზმს (ავტონომიები უნიტარულ სახელმწიფოში) ვერ განვიხილავთ პანაცეად ეთნიკური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით. ისინი მხოლოდ პრობლემის კონსერვაციასა და გადავადებას შეიძლება უწყობდნენ ხელს. შესაბამისად ყოველგვარი მსჯელობა, რომ ტერიტორიული მოწყობის რომელიმე მოდელმა შეიძლება გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მიგვაჩნია უსაგნოდ, რადგანაც ასეთ მსჯელობებში ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით ეთნიკური ნიშნის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ტერიტორიული მოწყობის მოდელებს.

ზოგიერთი მოსაზრება სუვერენიტეტის თეორიასა და თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით

ჩვენ, ერთმნიშვნელოვნად ვეწინააღმდეგებით სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას ეთნიკური ნიშნით, იქნება ეს ფედერალურ თუ უნიტარულ სისტემაში. ასეთი მოსაზრება ისე-

[20] გიორგი ხუბუა, ფედერალზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000წ. გვ. 174

[21] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური ხარისხის მოსაპოველად კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2009 წ. გვ. 97

თი საკითხების კონფიგურაციას იძლევა როგორებიცაა: სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ხალხის ან უმცირესობის თვითგამორკვევის უფლება. დასკვნების გამოსატანად განვიხილოთ თითოეული მათგანი. ვფიქრობთ, რომ ამ თემებთან დაკავშირებით ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება უნდა გახდეს საფუძველი საქართველოს სამომავლო ტერიტორიული მოწყობისათვის.

სუვერენიტეტის თეორია XVI საუკუნეში ჩამოაყალიბა ბურჟუაზიის ადრინდელმა იდეოლოგმა და, ამავე დროს, სამეფო აბსოლუტიზმის მომხრემ, ფრანგმა იურისტმა ჟან ბოდენმა. იგი ასაბუთებდა, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს არსებითი და აუცილებელი თვისებაა, რომ სუვერენიტეტი გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობასა და განუყოფლობას. ამგვარი ხელისუფლების, ე.ი. სუვერენული უფლებების მატარებლად იგი თვლიდა მეფეს, აბსოლუტურ მონარქს. XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო ასევე ამტკიცებდა, რომ სუვერენიტეტი ერთიანი, განუყოფელი და განუსხვისებელია, მაგრამ, განსხვავებით ბოდენისაგან, იგი თვლიდა, რომ მისი მატარებელი უნდა იყოს ხალხი[22].

,,როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი თავისებურება, სუვერენიტეტი არა მხოლოდ სახელმწიფოს თვისებრივ მახასიათებელს წარმოადგენს, არამედ მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის აუცილებელი პირობაა.'' - წერს ოთარ მელქაძე. ამასთან, მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი სახალხო სუვერენიტეტს ემყარება, რამდენადაც ხალხია სახელმწიფო სუვერენიტეტის შემქმნელი და მატარებელი... კონსტიტუციების უმრავლესობაში ნორმები სახელმწიფო ხელისუფლების წყაროსა და მისი სოციალური მატარებლების შესახებ წარმოდგენილია ერთობ მარტივი ფორმულით, რომელშიც გახსნილია სუვერენიტეტის დედაარსი - ხელისუფლების ხალხისადმი მიკუთვნების თაობაზე. ცალკეულ შემთხვევებში, კონსტიტუციებში, უბრალო მინიშნებით კმაყოფილდებიან: შვედეთში „მთელი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“ (§1), ინდონეზიაში - „სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს“ (მუხლი 1), ფინეთში - „სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“ (მუხლი 1. §2), ესპანეთში - „ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი არის ესპანელი ხალხი - სახელმწიფო ხელისუფლების წყარო (მუხლი 1-2), პოლონეთის კონსტიტუცია კი ადგენს, რომ უმაღლესი ხელისუფლება პოლონეთის რესპუბლიკაში ეკუთვნის ერს“ (მუხლი 4). საფრანგეთის კონსტიტუცია პირდაპირ ადგენს, რომ „ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელსაც თავისი წარმომადგენლების მეშვეობით და რეფერენდუმის გზით ახორციელებს. ხალხს არც ერთ ნაწილს ან ცალკეულ პიროვნებას არ შეუძლია მისი განხორციელება“ (მუხლი 3)[23].

ამრიგად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი არის ეროვნული სუვერენიტეტის სამართლებრივი გაფორმება ანუ სამართლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებული ეროვნული სუვერენიტეტი[24].

ვინაიდან და რადგანაც, სახელმწიფოს სუვერენიტეტი სახალხო სუვერენიტეტს ემყარება, რამდენადაც ხალხია სახელმწიფო სუვერენიტეტის შემქმნელი და ამას იმეორებს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუცია და მეტიც, საფრანგეთის კონსტიტუცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სუვერენიტეტის განხორციელება ხალხის არც ერთ ნაწილს ან ცალკეულ პიროვნებას არ შეუძლია. ჩვენ ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ სუვერენიტეტი ეს სახელმწიფოს თვისება კი არ არის, არამედ ეს არის ხალხის, ერის თვისება, ხოლო სახელმწიფოს მეშვეობით ერი ახდენს საკუთარი სუვერენიტეტის ფორმალურ, იურიდიულ გაფორმებას. საერთაშორისო სამართალიც ერის ანუ ხალხის თვითგამორკვევას ცნობს და არა-სახელმწიფოსას. ე.ი. საერთაშორისო სამართალიც ირიბად, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ სუვერენიტეტი არის ერის თვისება, ვინაიდან თვითგამორკვევის უფლება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირის დაფუძნების უფლება ემყარება ეროვნულ სუვერენიტეტს, რომელსაც ჩვენი აზრით, ნებისმიერი ერი ატარებს როგორც თვისებას. სახელმწიფოსთვის კი სუვერენიტეტი არის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ვლინდება საგარეო, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

---

[22] გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1997 წ. გვ. 30

[23] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ. გვ. 75-76

[24] ბიძინა სავანელი, სამართლის თეორია, თბილისი 1993 წ. გვ. 124

ამგვარად, თუ ჩვენ ვთანხმდებით რომ სუვერენიტეტი არის ერის თვისება და შესაბამისად ერის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია მისი განხორციელება ცალკე, დამოუკიდებლად, ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი საფუძველი ეცლება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სუვერენიტეტის დანაწილება. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ბოდენის დოკუმენტში მითითება „სუვერენულ აფხაზეთზე". აღნიშნულის შესახებ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ბრუნო კოპიტერსი განმარტავს, რომ ეს იყო კომპრომისული გადაწყვეტილება, რაც სუვერენიტეტის განაწილებაში გამოიხატება. კოპიტერსი ამბობს, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ფედერაციულ სახელმწიფოებში, სადაც ქვეყნის შიგნით სუვერენიტეტი გაყოფილია ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის[25].

ბუნებრივია ვერც სუვერენულ აფხაზეთზე ვისაუბრებთ და ვერც სუვერენიტეტის დანაწილებაზე თუნდაც ფედერაციულ სახელმწიფოში, რადგანაც ქართველი ერი და მასთან ერთად აფხაზები როგორც მთლიანის ნაწილი და არა ცალკე აღებული ლინგვისტური ჯგუფი არის სუვერენიტეტის მატარებელი, რომელიც აფუძნებს სახელმწიფოს როგორც იურიდიულ პირს მიუხედავად იმისა, ეს სახელმწიფო იქნება ფედერალური თუ უნიტარული სისტემის მქონე. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა იქცეს ერის სუვერენიტეტის განმსაზღვრელად.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მკითხველის ყურადღება უნდა მოვაპყროთ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის ერთ ნაწილს კერძოდ, მოქალაქეობის ცნებას და მასთან დაკავშირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ეროვნულობა და მოქალაქეობა გაიგივებულია ერთმანეთთან, ეროვნულობა კი - წარმომავლობასთან. ე.ი. საქართველოს მოქალაქე მიუხედავად მისი ეროვნული წარმოშობისა უნდა ჩაითვალოს ქართველად ისევე როგორც არაგერმანული წარმოშობის გერმანიის მოქალაქე ითვლება გერმანელად ან არაფრანგული წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქე - ფრანგად და ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში[26].

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს კონცეფციები ეროვნული სახელმწიფოს თანამედროვე მოდელებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ფრანგული ეროვნული სახელმწიფოს იდეა ეფუძნება იმ ფიქციას, რომ სახელმწიფო არ ჩამოუყალიბებია არც ბუნებრივად ფორმირებულ ერს და არც ამ ერის კულტურას. ეროვნული სახელმწიფოს ფრანგული კონცეფციის თანახმად, ახალი ფრანგული ერი ჩამოაყალიბა სახელმწიფომ. განსაკუთრებულ დავას იწვევდა ის გარემოება, რომ ფრანგული კონცეფციიდან გამომდინარე ყველა მოქალაქეს უარი უნდა ეთქვა პირველსაწყის ტრადიციასა და კულტურაზე ახალი სახელმწიფო კულტურის სასარგებლოდ. ფრანგული კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ერების მიმართ სავსებით შესაძლებელია გაატარონ იძულებითი ასიმილაციის ტოტალიტარული პოლიტიკა და, პრინციპულად, უარყონ სახელწმიფოში ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის არსებობის ფაქტიც. მსგავს პოლიტიკას ეწევა, მაგალითად, თურქეთი. ეთნიკური უმცირესობების პრობლემა თურქეთმა „გადაწყვიტა" საკმაოდ მარტივად. თურქეთის ლოგიკით, ამ სახელმწიფოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობის პრობლემა იმ უბრალო მიზეზით, რომ არ არსებობს თვითონ „ეთნიკური უმცირესობა". თურქეთში მცხოვრები ყველა ადამიანი არის პოლიტიკურად თურქი,რამდენადაც ის არის თურქეთის მოქალაქე.

გერმანიაში განვითარდა ეროვნული სახელმწიფოს განსხვავებული კონცეფცია, რომლის ხასიათი ბევრად განსაზღვრა გერმანელი ერის ისტორიამ. გერმანელებს დიდი ხნის მანძილზე არ გააჩნდათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფო. გერმანელი ერის საზღვრები არ ემთხვეოდა სახელმწიფო საზღვრებს. გერმანელი ერი ყალიბდებოდა სახელმწიფოდ ორგანიზებული ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად... გერმანული კონცეფცია ფრანგულისგან განსხვავებით ერს განმარტავს, როგორც ბუნებით მოცემულ ეთნიკურ, წინარეპოლიტიკურ, კულტურულ ერ-

[25] გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2009 წ. გვ. 81

[26] ქართლოს ფრიდონაშვილი, ეროვნული საკითხი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მიხედვით, ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა" №2, 2011 წ.

თობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია, ისეთი საერთო ნიშნები, როგორიცაა ეთნიკურობა, აგრეთვე რელიგია, ენა, რასა და საერთო ბედის ერთიანობა.

ეროვნული სახელმწიფოს ამერიკული მოდელი: Melting-Pot-ის სისტემის მიხედვით, ერი კი არ განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ტერიტორიას, არამედ ტერიტორია განსაზღვრავს ხალხს. მიგრანტთა ქვეყანაში ტერიტორია თანაბრად ეკუთვნის ყველა მიგრანტს. ემიგრანტები გახდნენ ახალი ხალხები, ახალი ერები, ახალი ერები იმ ახალი ტერიტორიის მეშვეობით, რომლებზეც ისინი გადასახლდნენ[27].

სხვადასხვა ქვეყნის კონცეფციამ ეროვნული სახელმწიფოს შესახებ დაგვარწმუნა, რომ თითოეული ქვეყანა ერს, ან ერისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირს განმარტავს საკუთარი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების დინამიკიდან გამომდინარე. თუმცა, შედეგობრივი თვალსაზრისით, ეს კონცეფციები აბსოლუტურად იდენტურია ვინაიდან, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ქვეყნების კონცეფციები ერს განიხილავენ როგორც ერთ მთლიან განუყოფელ ორგანიზმს. ფრანგულ, თურქული, გერმანული და ამერიკული კონცეფციები ეროვნული სახელმწიფოს განმარტებებში არ საუბრობენ ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ. პირიქით, ისინი ორიენტირებულნი არიან როგორც ილია იტყოდა „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებაზე“. გარდა ამისა, საინტერესოა როგორია ეროვნული უმცირესობების სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო სამართალში. ამასთან დაკავშირებით პიტერ მალანჩუკი წერს, რომ მკვიდრი ხალხები და უმცირესობანი არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით და ჯერ არ მიუღწევიათ ფიზიკურ პირებზე მაღალი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსისათვის[28].

იგივე მოსაზრებას აყალიბებს გიორგი გოგიაშვილი, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს ხალხს და არა ეროვნულ უმცირესობას. არცერთ საერთაშორისო დოკუმენტში უშუალოდ უმცირესობის უფლება თვითგამორკვევაზე არ არის აღიარებული... დაუშვებელია, აიძულო სახელმწიფო გადასცეს ეროვნულ უმცირესობებს თავის ტერიტორიის ნაწილი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის[29].

მაშასადამე, იმდენად რამდენადაც უმცირესობებს საერთაშორისო სამართალში ჯერ არ მიუღწევიათ ფიზიკურ პირებზე მაღალი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსისათვის და არც ერთ საერთაშორისო დოკუმენტში უშუალოდ უმცირესობის უფლება თვითგამორკვევაზე არ არის აღიარებული და სახელმწიფოსაც ერი აფუძნებს როგორც ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი, მთლიანი ორგანიზმი და არა დანაწევრებული ეთნიკურ უმცირესობებად. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე სამოქალაქო კონცეფციასაც რომლის მიხედვითაც, უკვე მოხდა ეროვნულობისა და მოქალაქეობის ცნებათა იდენტიფიცირება, და ყველაფერთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ თუ, რა საფრთხის მატარებელია ეროვნული ნიშნით სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, რისი მწარე გამოცდილებაც სამწუხაროდ, უკვე გაგვაჩნია. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო დოკუმენტებში ქართველი ერი მოიაზრება ეთნიკური წმენდის მსხვერპლად და საქართველო ოკუპირებულ ქვეყნად, ჩვენმა სახელმწიფომ სამომავლო ტერიტორიულ მოწყობაში საერთოდ უნდა გამორიცხოს რეგიონალიზმი ეთნიკური ნიშნით.

ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვის საკითხი უნდა განიხილებოდეს და რეგულირდებოდეს პიროვნების თავისუფალი განვითარების, პიროვნული თვითგამორკვევისა და თანასწორობის უფლებათა ჭრილში როგორც ცალკეული ინდივიდის და არა როგორც ეთნიკური ან ეროვნული ერთობისა, რაც საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული ადამიანის ძირითადი უფლებებით ისედაც გათვალისწინებულია.

საქართველოს სამომავლო ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით კი დავძენთ, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ არ დაუშვას ქვეყნის ტერიტორიული მოწ-

---

[27] გიორგი ხუბუა, ფედერაზლიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000 წ.

[28] პიტერ მალენჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშOრისო სამართალი, გამომცემლობა დიოგენე 2005 წ. გვ. 127

[29] გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000 წ. გვ. 257

ყობა ეთნიკური, ეროვნული ნიშნით იქნება ეს ფედერალურ თუ უნიტარულ სისტემაში, რადგანაც ორივე შემთხვევაში სეცესიონისტური განწყობების დაკონსერვება ხდება.

ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვემხრობით ზემოთ განხილული ფრანგული და თურქული ეროვნული სახელმწიფოების კონცეფციებს. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელს დასავლურ ცივილიზაციაში არსობრივად იდენტური კონცეფციები მოქმედებენ. ელემენტარული პრაგმატიზმიდან გამომდინარე საქართველოს სამომავლო ტერიტორიული მოწყობის ფორმად უნიტარიზმი მიგვაჩნია, რადგანაც მცირერიცხოვანი და მცირემიწიანი ქვეყანა ვართ. გარდა ამისა, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ქვეყნის რეგიონალიზაცია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების ვერტიკალური განაწილება სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით აუცილებლად მოხდება დემოკრატიის ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების პირობებში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფისთვის მორალური ფასეულობები ქცევის ზოგად წესებთან დაკავშირებით და ზოგადად სამართლიანობის როგორც ღირებულების განცდა ყველასთვის იდენტურია. შესაბამისად, არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში არანაირი წინაპირობა და თუნდაც, აუცილებლობა, რომ რეგიონალური სამართალი ან სამართლებრივი სისტემა წარმოიშვას, რაც როგორც წესი დამახასიათებელია ფედერალური სისტემებისათვის. ერთიანი სამართლებრივი და საკანონმდებლო სივრცე ქვეყნის მმართველობას უფრო ეფექტურს და ეკონომიურს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2009 წ.
3. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008 წ.
4. გიორგი ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000 წ.
5. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ.
6. ოთარ მელქაძე, გიორგი თევდორაშვილი, რეგიონალიზმი სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა, თბილისი, 2003 წ.
7. ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, 1999 წ.
8. გიორგი კვერენჩხილაძე, ოთარ მელქაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997 წ.
9. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 1992 წ.
10. ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002 წ.
11. გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი 1997 წ.
12. ბიძინა სავანელი, სამართლის თეორია, თბილისი 1993 წ.
13. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000 წ.
14. პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2005 წ.
15. ქართლოს ფრიდონაშვილი, ეროვნული საკითხი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მიხედვით, ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა“ №2, 2012 წ.

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით

ქართლოს ფრიდონაშვილი-სამართლის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში განხილულია საქართველოს ტერიტორიული მოწყობა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. წარმოდგენილია ე.წ. ბოდენის დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხთან დაკავშირებით, მოცემულია ფედერალური და უნიტარული სისტემების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საფრანგეთის მაგალითებზე დაყრდნობით. სტატიაში აგრეთვე ჩამოყალიბებულია მოსაზრებები სუვერენიტეტის დანაწილებისა და ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ. ავტორი ემხრობა საქართველოს თანამედროვე უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეას, ეწინააღმდეგება პოლიტიკურ ავტონომიებს, რადგანაც ფიქრობს რომ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა ეთნიკური ნიშნით აღრმავებს განსხვავებულობის შეგრძნებას და ახდენს სეპარატისტული განწყობების კონსერვაციას. გარდა ამისა, ავტორი მიიჩნევს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს აღარ გააჩნია სუვერენიტეტი როგორც თვისება, სახელმწიფოსათვის ის არის მხოლოდ დამახასიათებელი ნიშანი, ხოლო სუვერენიტეტის როგორც თვისების მატარებელი არის ერი, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმი და არა რომელიმე, ცალკე აღებული ეთნიკური ჯგუფი, რადგანაც სახელმწიფოს დამფუძნებლად გვევლინება ერი და არა მისი ნაწილი - ეთნიკური ჯგუფი.

Some considerations with regard to the territorial arrangement of Georgia

Qartlos Pridonashvili -Doctor of law

Summary

The present article examines the territorial arrangement of Georgia according to the Constitution of Georgia, presents the so called Boden document regarding the issue of territorial organization of Georgia and talks about comparative analysis of federal and unitary systems based on the examples of the USA and France. The work also deals with conceptions about division of sovereignty and national self-determination. The author expresses his positive attitude towards the idea of establishment of unitary state in Georgia and is against political autonomies, because he thinks that the country's territorial arrangement according to ethnicity deepens a sense of diversity and promotes the conservation of separatist sentiments.

Quelques considérations à l'égard de l'entente territoriale de la Géorgie

Qartlos Pridonacvili-Docteur en droit

Résumé

Le présent article examine l'organisation territoriale de la Géorgie conformément à la Constitution de la Géorgie, présente le document que l'on appelle Boden en ce qui concerne la question de l'organisation territoriale de la Géorgie et parle de l'analyse comparative des systèmes fédéraux et unitaires sur la base des exemples des Etats-Unis et la France. Le travail porte aussi les conceptions sur la division de la souveraineté et de l'autodétermination nationale. L'auteur exprime son attitude positive envers l'idée de création de l'Etat unitaire en Géorgie et contre autonomies politiques, parce qu'il pense que cet arrangement territorial du pays en fonction de l'origine ethnique approfondit le sens de la diversité et favorise la conservation des sentiments séparatistes.

როგორ უნდა გავხადოთ არაღიარების პოლიტიკა უფრო ეფექტური

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით მსოფლიოში შეიქმნა მეტად საშიში პრეცენ-დენტი, რომელმაც საფრთხე შეუქმნა არა მარტო საქართველოს ერთიანობას, არამედ ასევე ამ ფაქტმა ნებისმიერი მრავალეთნიკური სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ აღიარებით დაირღვა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმთავ-რესი და ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი საზღვრების ხელშეუხებლობას ეხება. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელ-შეუხებლობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპი დაფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, აგრეთვე გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად „გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავ-ებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიუ-ლი ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით.“ ამრიგად სახელმწიფოს ტერი-ტორიული მთლიანობის დარღვევა და საზღვრების შეცვლა საერთაშორისო სამართლის პრინ-ციპების უხეში დარღვევა და მართლსაწინააღმდეგო აქტია. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღი-არებით მოხდა საერთაშრისო სამართლის პრინციპების დარღვევა, რაც კარგად გამოიყენა რუ-სეთმა საკუთარი იმპერიული ამბიციების მისაღწევად კავკასიაში. როგორც კი მოხდა დასავ-ლეთის ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, კრემლმა მაშინვე დაიწყო პარალელების გავლება კოსოვოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შო-რის. რუსეთის ხელისუფლება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე ვერ ბედავდა საერ-თაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევას და სეპარატისტული რეჟიმებისათვის ოფიცი-ალურად დახმარების გაწევას. მას შეეძლო მხოლოდ ფარულად და შეფარვით ემოქმედა, ოფ-იციალურად კი იძლებული იყო ეღიარებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რუ-სეთი 1990-იან წლებში ერიდებოდა საქართველოს კონფლიქტებში პირდაპირ და უშალოდ მო-ნაწილეობის მიღებას, აღვივებდა სეპარატიზმს აფხაზეთში და ოსეთში და მხოლოდ აფხაზი და ოსი სეპარატისტების მეშვეობით ახორციელებდა თავის მზაკვრულ გეგმებს საქართველოში. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნა და შესაძლებლო-ბა მიეცა ოფიციალურად მოეხდინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთის ინტერვენცია საქართველო-ში კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც ექვს თვეში, 2008 წლის აგვისტოში მოხდა. (სპენსერ ქიმბელი, 2010) რუსეთის ფედერაციამ სამხედრო აგრესიის გზით შესძლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და ქვეყნის 20%-ის ოკ-უპაცია. რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლე-ბების მასიურ დარღვევებს. საერთაშორისო თანამეგობრობამ დააფიქსირა როგორც ქართველე-ბის ეთნოწმენდის, ასევე მათი ქონების და კერძო საკუთრების განზრახ განადგურების ფაქტე-ბი. რუსეთმა ძალისმიერი გზით განახორციელა დემოგრაფიული ცვლილებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ქართული მოსახლეობა არაერთხელ გახდა ეთნიკური წმენდის მსხვერპლი საკუთარ სამშობლოში.

სამხდერო აგრესიის განხორციელების შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ არ დაუშვა ევრო-კავშირის, გაეროს და ეუთოს სადამკვირვებლო მისია არც აფხაზეთის და არც ოსეთის ტერიტო-რიაზე, რასაც ეუთოს მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მი-იღო რეზოლუცია „საქრთველოს მდგომარეობის შესახებ“, რომელშიც აფხაზეთი და ცხინვალის

რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარა. (ჯი-ეიჩ-ენი, 2012) რეზოლუციის მიღება იყო ძალზედ მნიშვნელოვანი აქტი, რომლის მეშვეობითაც საყოველთაოდ დაფიქსირდა რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ანექსია და უკანონოდ მიტაცება. 2010 წლის 16 ნოემბერს ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო ეუთოს მსგავსი რეზოლუცია „საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ." ეს რეზოლუციაც გმობს რუსეთის სამხედრო აგრესიას და სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას. ნატოს წევრი ქვეყნები მოუწოდებენ რუსეთს რომ შესწყვიტოს ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გატარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უზრუნველყოს ყველა იძულებით გადაადგებული პირების საკუთარ სახლში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. რეზოლუცია ასევე ჰგმობს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას და იქ რუსეთის სამხედრო ბაზების მშენებლობას. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2010) ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლანა იყო ამერიკის კონგრესის მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება. აშშ-ს კონგრესი მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, რომ გაიყვანოს საჯარისო შენაერთები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. რეზოლუციის თანახმად ამერიკელი კონგრესმენები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებენ ქვეყნებს შესწყვიტონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. იმ ქვეყნებისაგან, რომლებმაც უკვე აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, კონგრესი მოითხოვს აღიარების უკან წაღებას. ამერიკის კონგრესი ასევე მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, რომ შექმნას ღირსეული და უსაფრთხო პირობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილების დასაბრუნებლად. (დრონი.ჯი, 2012)

2008 წლის შემდგომ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შეკავება. რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო არაღიარების პოლიტიკის გატარება, რომელიც მხარდაჭერილი იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. დასავლეთმა და საერთაშორისო საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაგმო რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და რუსეთი ოკუპანტ სახელმწიფოდ გამოაცხადა. რუსეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს სტატუსი, დაფიქსირდა სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში და რეზოლუციებში. ქართული დიპლომატიისა და არაღიარების პოლიტიკის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რუსეთის აღიარების პოლიტიკამ მარცხი განიცადა და რუსეთის ფედერაციას მხარი საერთაშორისო თანამეგობრობამ არ დაუჭირა; სახელმწიფოების დიდმა უმრავლესობამ არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. გაერომ და ევროკავშირმა გააკრიტიკეს რუსეთის მზაკვრული ქმედება და გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. მიუხედავად რუსი დიპლომატების დიდი მცდელობისა, რომლებიც ძალას არ იშურებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მეტი საერთაშორისო აღიარების მისაღწევად, მხოლოდ ხუთმა სახელმწიფომ ცნო ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნაროკეანურმა სახელმწიფოებმა ნაურუმ, ვანუატუმ და ტუვალუმ.

თუმცა ევროკავშირი და დასავლეთის ცივილიზებული სახელმწიფოები მხარს უჭერენ არაღიარების პოლიტიკას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ხელისუფლებას მაინც არ შეუძლია ყურადღების მოდუნება და მუდმივად უწევს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, რომ არ მოხდეს სხვა სახელმწიფოების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. არაღიარების პოლიტიკის წარმატებით განხორციელება რამოდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული. ეს ფაქტორებია: 1. დიპლომატიური კავშირების გაფართოება 2. დასავლეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართვა არაღიარების პოლიტიკის გან-

ხორციელებაში 3. არაღიარების პოლიტიკის პარალელურად აღიარების უკან წაღების პოლიტიკის გატარება.

1. **დიპლომატიური კავშირების გაფართოება**

საჭიროა დიპლომატიური კავშირების გაფართოებაზე და გაღრმავებაზე მუდმივი ზრუნვა, რომ არ მოხდეს დასავლეთის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება. იმ ქვეყნებს, რომლებიც დასავლეთთან იდეალური ურთიერთობებით არ გამოირჩევიან, შეუძლიათ ცივილიზებული სამყაროს ჯიბრზე გადადგან ნაბიჯები და ცნონ რუსეთის მიერ ოკურიპებული რეგიონების დამოუკიდებლობა. ამიტომაც საჭიროა დიპლომატიური კავშირების დამყარება იმ ქვეყნებთან, რომლებზეც დასავლეთის გავლენა არ მოქმედებს. 2010 წლიდან საქართველო დაჩქარებული ტემპით იწყებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რაც აშკარად ამცირებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ალბათობას. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით ქვეყნები ერთმანეთის საზღვრების ურღვევობასაც ადასტურებენ, ამიტომაც არაღიარების პოლიტიკის ეფექტური განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული დიპლომატიური კავშირების გაფართოებაზე. საქართველოს დიპლომატიური კორპუსი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა სახელმწიფოში - განურჩევლად ქვეყნის სისუსტისა და გავლენიანობის ხარისხისა. (მაგდა ლეკიაშვილი, 2011) მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია საქართველოს შეზღუდული ძალა და რესურსები. საქართველო პატარა სახელმწიფოა, რომელიც საერთაშორისო სისტემაში დიდი გავლენით არ გამოირჩევა. მას არა აქვს საკმარისი ძალა და რესურსები, იმისათვის რომ წარმატებით განახორციელოს არაღიარების პოლიტიკა. ამრიგად, არსებობს უამრავი ლიმიტაციები, რაც ხელს უშლის საქართველოს იმაში, რომ გაატაროს აქტიური არაღიარების პოლიტიკა. საქართველომ კიდევაც რომ შესძლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, მას აუცილებლად დასჭირდება დასავლეთის გავლენიანი ქვეყნების მხარდაჭერა არაღიარების პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისათვის.

2. **დასავლეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართვა არაღიარების პოლიტიკის განხორციელებაში.**

საქართველოს სჭირდება მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერა, რათა მათი გავლენის არეალში მყოფმა სახელმწიფოებმა არ აღიარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ევროკავშირი. ევროკავშირს აქვს საკმარისი გავლენა და ძალა იმისათვის, რომ შეაჩეროს ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხი. ევროკავშირის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბელარუსის ხელისუფლება. ბელარუსი მუდმივ ზეწოლას განიცდის რუსეთის მხრიდან და რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ამ ქვეყნის საკუთარ მხარეზე გადმობირებას. რუსეთს გააჩნია არაერთი ბერკეტი იმისათვის, რომ ზეწოლა მოახდინოს ბელარუსზე, რომლის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის და რუსეთიდან მომავალი ენერგორესურსების გარეშე არსებობა არ შეუძლია. გარდა ამისა ბელარუსს „გაზპრომის“ ვალი აქვს და გაზის დავალიანების საფასურს ვერ იხდის. „გაზპრომის“ განცხადებით, ბელარუსის დავალიანება კომპანიის მიმართ დაახლოებით 200 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. დავალიანების გადაუხდელობის გამო რუსეთმა ბელარუსს გაზის მიწოდება 15%-ით შეუმცირა და ეს შემცირება თანდათანობით 85%-მდე მიაღწევს. (ამერიკის ხმა, 2013) რუსეთი გაზის თემაზე ხშირად „ევაჭრება“ ბელარუსს, რათა ქვეყანამ გადახედოს საკუთარ პოზიციას აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების საკითხთან დაკავშირებით. ბელარუსში მოქმედი ავტორიტარული რეჟიმი არ გამოირჩევა საერთაშორისო სამართლის სტაბილური პატივისცემით. შესაბამისად, თუ რუსეთი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს და აქტიურ ზეწოლას განახორციელებს ბელარუსის ხელისუფლებაზე, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს უკანასკნელი რუსეთის მხარეს გადავიდეს. ბელარუსი უპირველეს ყოვლისა საკუთარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე ფიქრობს და თუ ქვეყანა ევროკავშირის მხრიდან იზოლირებული აღმოჩნდება, მაშინ იძულებული

გახდება რუსეთთან გარიგებაზე წავიდეს. სოციო-ეკონომიკური კრიზისის გამწვავების შემთხვევაში, ბელარუსის ხელისუფლება ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების საკითხს გამოიყენებს. როგორც ლუკაშენკომ განაცხადა, ბელარუსს ჯერ-ჯერობით არ უღიარებია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, იმიტომ რომ რუსეთი მას ეკონომიკურ მხარდაჭერას არ ჰპირდება. ამასთანავე მან უკმაყოფილება გამოთქვა ევროკავშირის მიმართ, რომელიც არ ეხმარება ბელარუსს იმის სანაცვლოდ, რომ ქვეყანამ არ აღიარა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა(პრასა.ჯი, 2012) სიტუაცია ბელარუსში რადიკალურად შეიცვლება თუ ევროკავშირი ლუკაშენკოს რეჟიმს მხარდაჭერას აღუთქვამს და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება. ევროკავშირი ლუკაშენკოს ავტორირატული რეჟიმის მიმართ დიდი პატივისცემით არ არის გამსჭვალული და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ბელარუსს ხშირად სანქციებს უწესებს. აუცილებელია რომ ბელარუსს მოეხსნას სანქციები და ევროკავშირმა დაამყაროს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ამ ქვეყანასთან. ევროკავშირს ასევე შეუძლია დაეხმაროს ბელარუსს რეფორმების გატარებაში, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ გახდეს დასავლური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. ევროკავშირის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული მოხდება თუ არა ბელარუსის ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

ქართველი დიპლომატების უპირველესი მიზანი უნდა იყოს მუდმივი მოლაპარაკებების წარმოება საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ყველა ქვეყანასთან ორმხრივ ურთიერთობებში მაქსიმალურად პოპულარული გავხადოთ არაღიარების პოლიტიკა. დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობამ შეიძლება უფრო ეფექტური გახადოს არაღიარების პოლიტიკა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ესპანეთის სამეფოსთან თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობები. ამ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებამ გამოიწვია ის, რომ ესპანეთის სამეფო ძალიან აქტიურია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკაში. ის, ასევე, მხარში უდგას საქართველოს პარტნიორებთან ურთიერთობაში, რათა არ მოხდეს მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება. (თეონა მანაგაძე, 2012) ესპანეთის ხელისუფლება მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაციას და მომხრეა საქართველოს ინტეგრაციისა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სხვა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმაც არ მიბაძონ ვენესუელას და ნიკარაგუას და არ მოხდეს მათ მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება. ამ მხრივ ესპანეთს შეუძლია დიდი დახმარება აღმოჩინოს საქართველოს, ვინაიდან ესპანეთს კვლას აქვს თავისი გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებში და გარკვეული ბერკეტები გააჩნია, რომ ზეწოლა მოახდინოს ამ ქვეყნებზე. (ვალერი მოდებაძე, 2012)

3. არაღიარების პოლიტიკის პარალელურად აღიარების უკან წაღების პოლიტიკის გატარება.

საქართველოს ხელისუფლებამ, არაღიარების პოლიტიკის პარალელურად, უნდა დაიწყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღების პოლიტიკის გატარება. ამ საქმეში საქართველოს დასჭირდება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე მეგობარი სახელმწიფოების მხარდაჭერა. საჭიროა რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ მუდმივი ზეწოლა განხორციელოს როგორც რუსეთის ხელისუფლებაზე, ასევე ყველა იმ სახელმწიფოზე, რომელმაც აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. დასავლეთმა ამ ქვეყნებს საერთაშორისო რეზოლუციებითა და სამართლებრივი აქტებით მუდმივად უნდა შეახსენოს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მათი ოკუპაცია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევაა. ძალზედ მნიშვნელოვანია რომ დასავლეთმა თავისი რიტორიკა არ შეცვალოს რუსეთთან მიმართებაში და მუდმივად შეახსენოს რუსეთის ხელისუფლებას, რომ მას მართებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამხედრო ბაზების გაყვანა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების უარყოფა. ამასთანავე ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში

მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები. ქართველი დიპლომატები უნდა შეეცადონ, რომ ხელისუფლების ცვლილება თავიანთი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გამოიყენონ და ახალ პოლიტიკურ რეჟიმებთან დაიწყონ მოლაპარაკება აღიარების უკან წაღების თაობაზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვენესუელა. უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა მისი 14 წლიანი დიქტატურა და შეიქმნა ხელსაყრელი მომენტი ვენესუელაში ახალი რეჟიმის დამყარებისათვის, რომელთანაც ვაშინგტონი შეეცდება ურთიერთობების დალაგებას. აშშ-ს ყოფილი ელჩი ვენესუელაში პატრიკ დადი ვარაუდობს, რომ ორ ქვეყნას შორის ურთიერთობები დათბება. აშშ შეეცდება ეკონომიკური და კომერციული კავშირების გაზრდას ვენესულელასთან. საბოლოო ჯამში კომერციულმა ურთიერთობებმა შესაძლოა ქვეყნებს შორის ურთიერთობები უკეთესობისაკენ შეცვალოს (დიმიტრი ავალიანი, 2013) თუ ვაშინგტონი შეძლებს კარაკასთან ურთიერთობების დათბობას, მაშინ საქართველოს ხელისუფლებასაც გაუჩნდება შესაძლებლობა, რომ დაიწყოს მოლაპარაკებები ვენესუელასთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების უკან წაღების თაობაზე.

ყველასათვის ცხადია, რომ სანამ რუსეთში პუტინ-მედვედევის ტანდემი არსებობს უკან არავინ დაიხევს. ამასთანავე გასათავალისწინებელია ის ფაქტი, რომ პუტინის დიქტატურა მუდმივად ვერ იარსებებს. რუს ხალხს უკვე „ყელში ამოუვიდა“ პუტინის დიქტატორული რეჟიმი და თუ ის პროცესები, რაც არაბულ ქვეყნებში ხდება რუსეთშიც განმეორდა, გარდაუვალი იქნება მისი რეჟიმის დამხობა. თუ რუსეთში დაიწყება დემოკრატიზაციის პროცესი და დემოკრატიული რეფორმების გატარება, მაშინ რუსეთის აგრესიული პოლიტიკაც მისი მეზობლების მიმართ შეიცვლება. რუსი პოლიტოლოგების ერთი ნაწილი უკვე თვლის, რომ რუსეთმა საერთოდ უარი უნდა თქვას დაპყრობილ ტერიტორიებზე და საკუთარ პრობლემებს მიხედოს (ვალერი მოდებაძე, 2011) დემოკრატიზაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში რუსეთი დაიწყებს იმპერიალისტური ამბიციების მოთოკვას და ჩვენ დიპლომატებსაც უფრო გაუადვილდება რუს პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებების წარმოება აღიარების უკან წაღების თაობაზე.

მსოფლიო მუდმივად იცვლება. მთავრობები მიდიან და მოდიან. მთავარია რომ ეს ცვლილებები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ და ვაიძულოთ ჩვენი მტრები უკან წაიღონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სპენსერ ქიმბელი(2010) დიდი სახელმწიფოები კოსოვოსა და საქართველოს პოლიტიკას ეთამაშებიან, http://foreignpress.ge/?p=14730
2. ჯი-ეიჩ-ენი (2012) აფხაზური მხარე: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე დაშვებული არ იქნება, http://www.ghn.ge/news-70668.html
3. მაგდა ლეკიაშვილი (2011)არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება, http://24saati.ge/index.php/category/news/2011-01-11/12988
4. ამერიკის ხმა (2013) რუსული გაზი და ბელარუსული ღვეზელი, http://www.amerikiskhma.com/content/article------96812989/530042.html
5. პრასა.ჯი (2012) ლუკაშენკო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს?!, http://www.presa.ge/new/?m=society&AID=19636
6. დიმიტრი ავალიანი (2013) ვენესუელას პრეზიდენტის, ბოლიარული რევოლუციის ლიდერის, "კომანდანტე" უგო ჩავესის 14 წლიანი მმართველობა მისი გარდაცვალებით დასრულდა, http://24saati.ge/index.php/category/news/politics/2013-03-17/36509
7. ვალერი მოდებაძე (2011) ერთიანი კავკასია: განუხორციელებელი იდეა თუ ხვალინდელი რეალობა?, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“ №16, http://www.inteleqtuali.ge/jurnali16.pdf
8. ვალერი მოდებაძე (2012)ესპანეთის საგარეო პოლიტიკა (1939-2011), გამომცემლობა „გრიფონი“, თბილისი.

9. დრონი.ჯი (2012) აშშ-ს კონგრესმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო, http://www.droni.ge/?m=1&AID=8290

10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (2010) ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ“, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=598&info_id=13070

11. თეონა მანაგაძე (2012) ესპანელი კონგრესმენის აზრით, საქართველო რეგიონში ლიდერი სახელმწიფოა, http://presa.ge/new/?m=politics&AID=15682

როგორ უნდა გავხადოთ არაღიარების პოლიტიკა უფრო ეფექტური

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თუ როგორ უნდა გავხადოთ არაღიარების პოლიტიკა უფრო ეფექტური. არაღიარების პოლიტიკის წარმატებით განხორციელება რამოდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული. ეს ფაქტორებია: 1. დიპლომატიური კავშირების გაფართოება 2. დასავ-ლეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართვა არაღიარების პოლიტიკის განხორციელებაში 3. არაღიარების პოლიტიკის პა-რალელურად აღიარების უკან წაღების პოლიტიკის გატარება.

How to make the policy of non - recognition more effective

Valeri Modebadze
Associate Professor of International Black Sea University
Associate Professor of American University for Humanities

SUMMARY

This article explains how to make the policy of non - recognition of Abkhazia's and South Ossetia's independence more effective. Effective implementation of the non-recognition policy depends on various factors: 1. Expansion of diplomatic ties. 2. Active cooperation with western countries and international organizations and their involvement in the implementation of the policy of non-recognition. 3. Along with the non-recognition policy the implementation of the policy of take-back recognition.

Comment faire de la politique de non - reconnaissance plus efficace

Valeri Modebadze
Professeur agrégé de l'Université Internationale mer Noire
Professeur agrégé de l'Université américaine de sciences humaines

Résumé

Cet article explique comment faire plus efficace la politique de non - reconnaissance de l'Abkhazie et de l'indépendance d'Ossétie du Sud. Mise en œuvre effective de la politique de non-reconnaissance dépend de plusieurs facteurs: 1. L'expansion de leurs relations diplomatiques. 2. Une coopération active avec les pays occidentaux et les organisations internationales et leur implication dans la mise en œuvre de la politique de non-reconnaissance. 3. La mise en œuvre de la politique de reprise de reconnaissance avec la politique de non-reconnaissance.

შრომითი რესურსების დაგეგმვა ტურიზმის სფეროში

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ტურიზმის დარგის განვითარებისა და მისი ეფექტური მართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის სფეროს მუშაკების პროფესიულ მომზადებას. ადამიანური რესურსის დაგეგმვა წარმოადგენს სისტემურ პროცესს სათანადო კადრების დასასაქმებლად შესაბამის ადგილებზე – ხარისხიანი ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროში კვალიფიციური კადრების დასაქმებას. ადამიანური რესურსის დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ტურიზმში გამოსაყენებელი შრომითი რესურსის გამოკვლევას და შეფასებას. ყველა არსებული ყველა პრობლემისა და მოთხოვნის გამოვლენას;
- პროგნოზირებას შრომითი რესურსის მოთხოვნაზე. კერძოდ, პროგნოზირდება მუშაკების რაოდენობა, რომლებზეც მოთხოვნაა დასაქმების თვითოეულ კატეგორიაში. შემდეგ განისაზღვრება თითოეული სპეციალობისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია;
- მომავლისათვის, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სფეროებისათვის შრომითი რესურსის შეფასების წარმოებას;
- კადრების მომზადების სფეროში მოთხოვნიოლების განსაზღვრას, განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების მომზადებას რომლებიც აუცილებელია კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის.

შრომითი რესურსის დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ტურიზმის სფეროს ყველა სპეციალობების სახესხვაობა. მას მიეკუთვნება როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული პერსონალი.

ტურიზმის სფეროში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროგრამების, აგრეთვე სწავლების ფორმების სახესხვაობა _ საუნივერსიტეტო სწავლება, მომსახურე პერსონალის ცალკეულ პროფესიათა სწავლება პროფესიათა სკოლების ბაზაზე, კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსები და სხვა. ტურინდუსტრიის მუშაკთა განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის ფართოდ გავრცელებულია ტურიზმის სფეროს სპეციალისტების მოსამზადებელი სკოლები, რომლებშიც მსმენელების სხვადასხვა სპეციალობებისა და დონეებისათვის სპეციალურ დისციპლინათა ფართო სპექტრი ისწავლება. ზოგიერთი ტურისტული საწარმო კადრების პროფესიულ მომზადებას სამუშაო ადგილებზევე აწარმოებს. ტურიზმში პროფესიული კადრების საკმაოდ დიდი ოდენობა დაბალკვალიფიციური, ან დროებითი მუშაკებია. ამ მიზეზით შრომის ნაყოფიერება ტურიზმის სექტორში, საკმაოდ დაბალია. ევროპული ქვეყნების (ინგლიისი, ესპანეთი, იტალია, ჰოლანდია) ცნობილ სასწავლებელთაგან, რომლებიც ტურიზმის დარგის სპეციალისტებს ამზადებენ, უმეტესი წილი ორიენტირებულია საშუალო პროფესიულ სკოლებზე, ლიცეუმებსა და რესტორნების მეურნეობის კოლეჯებზე.

სპეციალურ მომზადებასთან ერთად ტურიზმის სფეროს მუშაკები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ტურისტებთან პირდაპირი კონტაქტი აქვთ, ვალდებულნი არიან ერკვეოდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, გასცენ კომპეტენტური პასუხები ტურისტთა კითხვებზე, კარგად ფლობდნენ ინფორმაციას ქვეყანასა და რეგიონზე. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ენების ცოდნას, მომსახურე პერსონალს უნდა ჰქონდეს პროფესიული მიდგომები ტურისტებთან, ტურზმთან და თავის სამუშაოსთან.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა ათეული წლების განმავლობაში ამზადებდა კადრებს, სახელმწიფო ორგანოთა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, შექმნილი იყო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები, თუმცა ამ მხრივ ტურიზმში ძალზე ცუდი მდგომარეობა იყო. საქართველოში არ არსებობდა კადრების მომზადების არც ერთი დაწესებულება.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ ფაკულტეტზე დღეს უკვე შესაძლებელია ცოდნის დაუფლება ტურიზმის შემდეგი სპეციალობებით: „საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკა“, „ტურიზმის მენეჯმენტი და სასტუმრო მეურნეობა“ და სხვ.

პროფესიული განვითარება დადებით გავლენას ახდენს თანამშრომლებზე. კვალიფიკაციის ამაღლებით სპეციალისტი იძენს ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, რითაც იგი ხდება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. პროფესიული მომზადების პროცესში მიღებული ახალი ცოდნა იძლევა ადამიანის საერთო ინტელექტუალური განვითარების შესაძლებლობებს, აფართოებს მის ერუდიციასა და ურთიერთობათა წრეს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაკავშირებულია არა მარტო და არა იმდენად ეკონომიკური მექანიზმის ცვლილების საბაზრო ურთიერთობის პირობებთან ადაპტაციაზე, რამდენადაც კადრების მომზადებაზე. ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბებით იცვლება თვით ადამიანიც. ამიტომ შრომითი პროცესების ინტენსიფიკაციასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ერთობლივი შრომის პროცესში პიროვნების საქმიანობისა და ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლას.

პერსონალის პროფესიული განვითარება შეუძლებელია პროფესიული მომზადების გარეშე. პროფესიული მომზადება თავისთავად წარმოადგენს მიზნობრივ, სწავლების კონკრეტულ მიმართულებას, რომლის საბოლოო მიზანია საწარმოს უზრუნველყოფა საკმარისი მუშაკების რაოდენობით, რომელთა პროფესიული ხარისხი სრულიად შეესაბამება ორგანიზაციის (ფირმის) საწარმოო-კომერციულ მიზნებს. სწავლების პროგრამა შედგენილი უნდა იყოს პერსონალის სტრუქტურის კონკრეტული თავისებურებებისა და ყოველი საწარმოს (ან მისი ქვედანაყოფების და ფილიალების) განვითარების აქტუალური ამოცანების გათვალისწინებით.

ტურისტული ფირმის პერსონალის მომზადება ემსახურება ფირმის წინაშე მდგომი ამოცანის წარმატებით გადაჭრას. აქედან გამომდინარეობს მისი დიდი მნიშვნელობაც. ამავე დროს ამ პროცედურის შედეგს მუშაკისათვის წარმოადგენს კარიერა. ამიტომ, როგორც ფირმისათვის, ისე თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს გადამზადების მიზნები.

გადამზადების მიზნები _ ეს არის მუშაკების მოთხოვნილების, ინტერესებისა და პრობლემების არა მარტო სარკისებური ასახვა, არამედ გარემომცველი გარემოს ბრძოლის, მოთხოვნილების და პირობების ასახვაც. რადგანაც, ცვლილებები გარემომცველ გარემოში, ეკონომიკაში, ფილოსოფიაში, ავტომატურად იწვევს გადამზადების მიზნების შესახებ ცვლილებებს წარმოდგენებში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გადამზადების ძირითადი და დამატებითი მიზნები.

გადამზადების პროცესში მიზნების ფორმულირებისას აუცილებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა მეთოდები. მიზნის განსაზღვრა და დაგეგმვა განხილული უნდა იქნას, როგორც სტრატეგიულ-მიზნობირივი სისტემა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების ტენდენცია.

პროფესიული განვითარება, როგორც წესი, ადამიანთა სწავლებაა. ამიტომ, მეთოდები და ხერხები, გამოყენებული საბაზო მომზადების სისტემაში, მოდერნიზებული უნდა იქნეს, რამდენადაც მოზრდილთა ქცევა სწავლების პროცესში დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორებზე. პროფესიული სწავლება წარმოადგენს კომპლექსურ უწყვეტ პროცესს.

პერსონალის მიზანმიმართული პროფესიული განვითარება დამოკიდებულია არსებული და მათ მიერ მიღებული ინფორმაციის სისრულეზე, სიზუსტესა და აქტუალობაზე. იგი ხორციელდება საწარმოს განვითარების მოთხოვნილების მეშვეობით, თანამშრომელთა პოტენციური განვითარების პირობებში.

კვალიფიკაციის ამაღლებას საფუძვლად უდევს პროფესიული კომპეტენტურობა, რომელსაც ემატება სოციალური და პიროვნული კომპეტენცია. მენეჯერის კომპეტენტურობის სახესხვაობები შემდეგნაირად ხასიათდება:

- პროფესიული _ ცოდნა, პრაქტიკული გამოყენება, მოხერხებულობა, ქცევები;

- მეთოდური _ წარმოშობილი პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი;
- სოციალური _ კონსტრუქციული კომუნიკაბელობის უნარი;
- პიროვნული _ კეთილსინდისიერი, სწავლასა და შრომაში რეალური თვითშეფასება.

ორგანიზაციაში მისული ახალი ადამიანი ფლობს შეძენილ გამოცდილებას, ცოდნას, საკუთარ თვალსაზრისს, რომელიც შეიძლება თავსდებოდეს ან არ თავსდებოდეს ფუნქციონირებადი ორგანიზაციის ნორმებში. ამიტომ მუშაკის მოლოდინი ყოველთვის არ ემთხვევა სინამდვილეს. მას სჭირდება გარკვეული პერიოდი ადაპტაციისათვის. ამის შემდეგ ადამიანი უკეთესად გაიგებს რას ელოდება მისგან.

ახლად მიღებული მუშაკის ადაპტაციის პროცესი ნაკლებად მტკივნეული რომ იყოს, საჭიროა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა მეთოდები და ხერხები. ამასთანავე, აუცილებელია ინფორმაცია საწარმოს შესახებ (მისი სამუშაოთი დაკმაყოფილების შესახებ, სამუშაოზე მასთან კოლეგების და ადმინისტრაციის დამოკიდებულების შესახებ დასხვ.).

ძალიან ხშირად ადამიანი პროფესიული და სოციალური ადაპტაციის პროცესში აცნობიერებს, რომ მას არ ყოფნის ცოდნა მასზე დაკისრებული ფუნქციის ხარისხიანად შესრულებისათვის და ეს სრულიად ნორმალური და კანონზომიერია. აუცილებელია მან შეიცვალოს არა მარტო აზროვნება, არამედ მიდგომა სწავლებისადმი.

ნებისმიერი სწავლების მიზანია _ ასწავლოს გარემომცველ მოვლენებთან ინტეგრირება ისე, რომ საუკეთესოდ მოახდინოს ორიენტირება და თავიანთი ქცევის ადაპტირება ამ გარემოში. ლაპარაკია იმაზე, რომ თავისი ცოდნის საფუძველზე სწრაფად შეაფასოს სიტუაცია და ამოირჩიოს მოქმედების ოპტიმალური ვარიანტი.

სწავლება უწყვეტი პროცესია. იგი ხორციელდება მაშინ, როცა ადამიანი შედის ორგანიზაციაში და მაშინაც, როცა მას დანიშნავენ ახალ თანამდებობაზე, აგრეთვე, როცა დაადგენენ რომ მუშაკს არა აქვს აუცილებელი ცოდნა.

სწავლების ფორმები ძალიან ბევრია. ისინი საჭიროა შეირჩეს მხოლოდ პიროვნების, დაკავებული თანამდებობისა და ორგანიზაციის თავისებურებებისა და მოთხოვნების შესაბამისად:

- **მოტივაცია** _ სწავლებისათვის საჭიროა სწავლის მოტივი (პასუხი კითხვაზე: „რას მივიღებ მომავალში სწავლის შედეგად?“);
- **სწავლების პირობები** _ საჭიროა შეიქმნას ხელსაყრელი კლიმატი სწავლისათვის (სწავლა კარგად აღჭურვილ, ფართო, ნათელ აუდიტორიებში, სპეციალურ ცენტრებში და ა. შ.);
- **სწავლების სტადიურობა** _ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა აუცილებელია დაიყოს თანმიმდევრულ ეტაპებად (მარტივიდან რთულისაკენ);
- **უკუკავშირის არსებობა** _ სწავლის პროცესში და მის შემდეგაც მსმენელები უნდა გრძნობდნენ უკუკავშირს სწავლის შედეგებთან დამოკიდებულებით (უნარი გადაწყვიტონ კონკრეტული ამოცანები, იგრძნონ თეორიული მომზადების გაუმჯობესება და ა. შ.).

განზოგადებული სახით სწავლების ტექნოლოგიას აქვს შემდეგი სახე: იხ. სქემა

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ცოდნის განახლების განუწყვეტელი პროცესია. ცვლილებები საზოგადოებაში, ეკონომიკაში, ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში იწვევს განუწყვეტლივ ცვლილებებს ცალკეულ ადამიანში. საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა ორგანიზაციის ახალი ფორმების შექმნა, რაც წინა პლანზე აყენებს პერსონალის მომზადების დონისადმი მნიშვნელოვნად უფრო მაღალ მოთხოვნილებებს.

მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა შეცვალა ყველა მუშაკის საწარმოო საქმიანობის პროფილი. მაგალითად, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა მოითხოვს იზოლირებული შრომითი საქმიანობის გაერთიანებას მთლიან (კომპლექსურ) სისტემაში. ძველი (ერთგანზომილებიანი) სისტემის შეცვლა კადრების გადამზადების მრავალგანზომილებიანი, დარგთაშორისი განათლების სისტემით. იხ.სქემა.



საბაზრო ურთიერთობის პირობებში მენეჯერებს სჭირდებათ გაფართოებული დარგთა-შორისი ორგანიზაციულ-პროფესიული გადამზადება. გადამზადების მოტივაციის პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელი სწავლის დროს მიიღებს ახალ ცოდნას, რომელიც რეალიზებული იქნება მომავალში. თუმცა, ჯერ კიდევ ახლო წარსულში გავრცელებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ კარგი მენეჯერი ყალიბდება შრომის პროცესში თანდათან, აუცილებელი გამოცდილებისა და ინტუიციის გამდიდრებით. ამიტომ მათთვის განსაკუთრებული სწავლება საჭირო არ იყო. ეს მცდარი მოსაზრებაა, რაც დაადასტურა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობამ.

ტურიზმის სფეროში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებული არის უშუალოდ სასტუმრო მეურნეობაში. დასაქმებულთა რაოდენობა დამოკიდებულია სასტუმროს კლასზე, მოცულობაზე, პრესტიჟულობაზე და სხვა პარამეტრებზე.

წყარო: geostat.ge

მნიშვნელოვანი აგრეთვე ის რომ სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონებშია დასაქმებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ტურიზმი რეგიონბშიც ვითარდება.

სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

წელი	საქართველო - სულ	მათ შორის:										
		თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
	კაცი											
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1999	8801	3213	1569	121	1014	242	414	49	559	733	531	356
2000	11399	5756	1519	160	1076	271	476	38	570	336	681	516
2001	7590	3277	980	139	1029	231	507	55	401	184	452	335
2002	6856	3464	888	121	624	189	497	71	265	160	355	222
2003	6701	3334	717	110	686	199	591	69	306	198	181	310
2004	7920	4067	954	148	651	192	695	68	311	139	343	352
2005	11437	5672	1626	147	906	262	850	55	392	481	601	445
2006	11993	5725	2209	245	847	210	829	85	447	509	513	374
2007	11554	5884	1978	120	796	151	488	42	664	631	448	352
2008	11184	4915	1700	110	877	132	710	45	868	743	634	450
2009	13540	7792	1816	211	803	120	424	36	972	517	490	361
2010	16106	10668	2278	159	599	363	539	36	318	537	425	183
2011	24003	16132	2379	439	1072	320	687	29	641	697	785	821

წყარო: geostat.ge

ტურიზმი დივერსიფიცირებული დარგთაშორისი კომპლექსია, რაც ეკონომიკაში მის ორმაგ დანიშნულებას განსაზღვრავს. იგი ერთდროულად საწარმოო და არასაწარმოო ფუნქციების მატარებელია.

ტურიზმს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს, რომელიც არც ერთ სხვა დარგს არ გააჩნია _ მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება. ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს ქვეყანაში უამრავი სხვა დარგის განვითარებისათვის. ის კავშირშია მრავალ მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებასთან.

საქართველოს მნიშვნელოვანი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი გააჩნია. დღეისათვის ქართული კულტურული, ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურები საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე საკმაოდ კონკურენტუნარიან ტურისტული პროდუქტად განიხილება. უპირველესი ამოცანა, რომელიც დღეს დგას ქართული ტურიზმის წინაშე არის საქართველოს იმიჯის შექმნა და პოპულარიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო ტურისტულ ბირჟებსა და გამოფენებზე აქტიური მონაწილეობის მიღება და ქართული ტურისტული პროდუქტის „პრომოუშენი", რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ქვეყნისადმი ინტერესის ზრდა, ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა ნაკადების მატება და მოთხოვნის სტიმულირება.

თუ კი, ტურიზმი დაიგეგმება სათანადოთ, განვითარდება და მოხდება მისი მართვა სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე, მაშინ შეუძლია მოიტანოს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული სარგებელი, ესენია:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. მოსახლეობის დასაქმება როგორც ტურიზმის, ისე ეკონომიკის სხვა სექტორებში;
- არქეოლოგიური და ისტორიულ-მატერიალური ობიექტების, როგორც ტურისტული ღირშესანიშნაობების შენახვის დასაბუთება და ფინანსური დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ობიექტებიდან მრავალი შესაძლოა დაინგრეს ან სულაც გაქრეს;
- ქვეყნის რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, სადაც, მნიშვნელოვან ტურისტულ ღისშესანიშნაობებს წარმოადგენს კულტურული მოდელები და საშუალებას იძლევა მოდელების ისეთი სახეების, როგორიცაა: ფოლკლორი, რეწვა და სხვა. შენახვის დასაბუთებას და გადაშენების პირას მისული ზოგიერთი მოდელის აღორძინებას;
- ხელს უწყობს მუზეუმების, თეატრებისა და სხვა კულტურული ობიექტების შექმნას. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ობიექტები ნაწილობრივ სუბსიდირდება ტურიზმიდან;

▪ ხელს უწყობს ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კულტურათაშორის გაცვლებს. ასეთი პროცესი უზრუნველყოფს ტურიზმის სხვადასხვა ფორმების და სახეობ-ების ჩამოყალიბებას, მაგალითად, შემეცნებითი, სოფლის ტურიზმი და ა.შ.

სოციალურ-კულტურულმა პრობლემებმა რომ არ მიიღოს მასიური ხასიათი საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

▪ რეგიონული დაგეგმვის პროცესში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ადგილობრივი მოსახლეობა;

▪ ტურისტული პროდუქტის ფორმირება უნდა მოხდეს მხოლოდ არსებული რესურსების გათვალისწინებით;

▪ შენარჩუნებულ უნდა იქნას ადგილობრივი ეთნოკულტურული ელემენტები და ამ მიზნით უნდა განხორციელდეს სპეციალური პროგრამები;

▪ ტურისტული ობიექტების მშენებლობისას, საჭიროა გარკვეულწილად აისახოს ეროვნუ-ლი, ტრადიციული ელემენტები;

▪ რეგულირებულ უნდა იქნას ტურისტთა ნაკადები რათა არ მოხდეს ტურისტული ღირშესანიშნაობების გადატვირთვა;

▪ უნდა მომზადდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ჩამოსულ ტურისტებს გაათვით-ცნობიერებს ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების, რელიგიის შესახებდა სხვა;

▪ ადგილობრივი კადრების ფონდის შექმნის მიზნით, აუცილებელია სხვადასხვა მიმარ-თულების სპეციალური კურსების შექმნა (სასტუმრო მეურნეობის, გიდის და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული კობა ტურიზმის საფუძვლები : (სასწ.-მეთოდ. სახელმძღვ. ტურიზმის მიმართულების ნებისმიერი სპეც. სტუდ.) / [ავტ. კობა არაბული ; რედ. ევგენი ბარათაშვილი] ; ტურიზმის მენეჯმენტის, რეგ. განვითარებისა და ინფორმ. ტექნოლოგიების ევრ. სასწ. უნ-ტი, ტურიზმის უმაღლესი სკოლა. - თბ. : უნივერსალი, 2011. - 126გვ
2. ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა'' თბ.2010.
3. ბარათაშვილი ე,. გრძელიშვილი ნ,. გალახვარიძე ნ,. ნადარეიშვილი ნ „რეგიონული ეკონომიკა'' თბ.2010
4. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. „ფოტონი''.
5. თბილისი, 2004.
6. ბერიშვილი ხათუნა საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი = International tourism business : [სახელმძღვ.] / ხათუნა ბერიშვილი ; [რედ. გურამ ჯოლია]. - თბ. : უნივერსალი, 2012.
7. დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ „ტურიზმი საქართველოში - არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები'' თბ. 2012.
8. დოლიკაშვილი ლარისა ტურიზმისა და სასტუმროების ეკონომიკა : [სახელმძღვ. უმაღლ. სასწავლებლების სტუდენტებისათვის] / ლარისა დოლიკაშვილი, მალხაზ ღვინჯილია, ნინო ჯაშიაშვილი ; რედ. კ. არაბული. მეტრეველი მარინა ტურიზმი : (დამხმ. სახელმძღვ. ტურიზმის ფაკ. სტუდ.) / [რედ.: თეიმურაზ კანდელაკი] ; თბილ. კულტურისა და ხელოვნების სახ. უნ-ტი. - თბ. : უნივერსალი, 2003. - 186გვ.

შრომითი რესურსების დაგეგმვა ტურიზმის სფეროში

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ტურიზმის დარგის განვითარებისა და მისი ეფექტური მართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის სფეროს მუშაკების პროფესიულ მომზადებას. ადამიანური რესურსის დაგეგმვა წარმოადგენს სისტემურ პროცესს სათანადო კადრების დასასაქმებლად შესაბამის ადგილებზე – ხარისხიანი ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროში კვალიფიციური კადრების დასაქმებას. ნათქვამია, რომ შრომითი რესურსის დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ტურიზმის სფეროს ყველა სპეციალობების სახესხვაობა. განხილულია ადამიანური რესურსის დაგეგმვის ეტაპები. ნათქვამია, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება შეუძლებელია პროფესიული მომზადების გარეშე. პროფესიული განვითარება დადებით გავლენას ახდენს თანამშრომლებზე. კვალიფიკაციის ამაღლებით სპეციალისტი იძენს ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, რითაც იგი ხდება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. აღნიშნულია, რომ თუკი ტურიზმი დაიგეგმება სათანადოთ, განვითარდება და მოხდება მისი მართვა სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე, მაშინ მას შეუძლია მოიტანოს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული სარგებელი.

Human Resource Planning for Tourism

Nodar Grdzelishvili – Doctor of economics

Summary

This work notes that for the Development of the tourism sector and its effective management it is extremely important to train tourism sector employees. Human resource planning is a systematic process for the employment of personnel in the appropriate areas. Of particular importance for the development of quality tourism is the employment of qualified personnel in service sector. During human resource planning it is necessary to consider all the specialty varieties of tourism. This article analyses stages in human resources planning. It is stated that Professional development of personnel is not possible without professional training. Professional development has a positive effect on the employees. A specialist acquires new knowledge and skills through professional training which makes him more competitive in the labor market. It is stated that, if tourism will be planned, developed and will be managed on the principles of social responsibility, then it can bring different socio-cultural benefits. It is mentioned that if tourism will be properly planned in the future and tourism management will be based on the principles of social responsibility, then it can bring different socio - cultural benefits.

Planification des ressources humaines pour le tourisme

Nodar Grdzelishvili -Docteur en économie

Résumé

Ce travail note que pour le développement du secteur du tourisme et sa gestion efficace, il est extrêmement important de former les employés du secteur du tourisme. Planification des ressources humaines est un processus systématique pour l'emploi de personnel dans les domaines appropriés. Une importance particulière pour le développement du tourisme de qualité est l'emploi de personnel qualifié dans le secteur des services. Lors de la planification des ressources humaines, il est nécessaire de considérer toutes les variétés spécialisées de tourisme. Cet article analyse les étapes de planification des ressources humaines. Il est précisé que le perfectionnement professionnel du personnel n'est pas possible sans formation professionnelle. Le développement professionnel a un effet positif sur les employés. Un spécialiste acquiert de nouvelles connaissances et compétences par la formation professionnelle qui le rend plus compétitifs sur le marché du travail. Il est précisé que, si le tourisme sera planifié, développé et sera géré sur les principes de responsabilité sociale, alors il peut apporter différents avantages socio-culturelles. Il est mentionné que si le tourisme sera bien planifié à l'avenir et la gestion du tourisme sera basé sur les principes de responsabilité sociale, alors il peut apporter différents avantages socio - culturelles.

ინვესტიციები - ტურიზმის აღორძინების საფუძველი საქართველოში

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნებისმიერ სახელმწიფოში საზოგადოების კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობისა და სტრუქტურის დადგენა. როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ საბაზრო ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებით შესწავლილი იქნა ინვესტიციური სტრატეგიის პროპორციები, ინვესტიციის პროგზონირება, საინვესტიციო გადაწყვეტილების ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ბუნება, საინვესტიციო ვალდებულებები და რისკის სახეები, რომელიც თან ახლავს ინვესტიციას.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად წარმართვა ნიშნავს ქვეყანაში ახლის განვითარებას, მეწარმეობას, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ტურიზმის განვითარებას. ინვესტიციები თავისი არსიდან გამომდინარე ხელს უწყობენ ქვეყნის და იმ დარგის აღმავლობას, რომელშიც ხდება მისი დაბანდება, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას. ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მთავარი პირობა საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურებაა. ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურება დიდად არის დამოკიდებული მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ქმნიან განსაზღვრულ ინვესტიციურ კლიმატს, რომელიც ასტიმულირებს ან ზღუდავს ინვესტიციურ საქმიანობას. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი ეს არის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სისტემა, რომელიც მართვის მიკრო და მაკრო დონეზე ყალიბდება და ხელს უწყობს ინვესტიციური მოტივაციის წარმოშობას.

საქართველოს მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისათვის დღემდე უმეტესწილად მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და იაფი მუშახელი განსაზღვრავდა. პოტენციურად კი გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ერთი მხრივ რეკრეაციულმა და ინსტიტუციონალურმა (პორტები, გზები, ტელეკომუნიკაციები) უპირატესობებმა, ხოლო მეორე მხრივ აგლომერაციულმა (სამხრეთ კავკასიის რეგიონის, დსთ–ს ბაზრებთან სიახლოვე „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტის სტატუსი) ფაქტორებმა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პერსპექტიულია მომსახურების ბაზრებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

იმისათვის, რათა მოვახდინოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედების შეფასება, საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად იზრდება ინვესტიციების მოცულობა, რომლის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები. კერძოდ 2005 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 450 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს 1190 მლნ., 2007 წელს 2015 მლნ. 2008 წელს 1564 მლნ. და 2009 წელს 658 მლნ.



წყარო: საქ.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2009 წელს მთლიანი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რომელიც 658,4 მლნ აშშ. დოლარს წარმოადგენადა იყვნენ: არაბეთის გაერთიანებული ემირატები 162, 8 მლნ დოლარი (24,7%); თურქეთი 97,9 მლნ. დოლარი (14,9%); პანამა 74,7 მლნ დოლარი (11,4%), გაერთიანებული სამეფო 72,3 მლნ დოლარი (11,0%) და დანარჩენი ქვეყნები 250,6 მლნ. დოლარი (38,1%).



წყარო: საქ.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი მიმართულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ქვეყნის სტაბილური და ეკონომიკური განვითარება, საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის ფუნქციონირების ნორმალური გარემოს ჩამოყალიბება, გრანდიოზული პროექტები, რომლებიც მუშავდება სახელმწიფოს მიერ მოითხოვს უახლოეს მომავალში საინვესტიციო პოლიტიკის მდგომარეობის გაუმჯობესებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი პირობების შექმნას, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ტურიზმის სფეროში.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის და ტურიზმის სფეროს დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც საკმაოდ ნაცადი გზაა. ამ მიმართებით მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უცხოელი ინვესტორები სასიკეთო ძვრებს ახდენენ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ პროცესებში.



წყარო: საქ.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ტურიზმის დარგის კრიზისიდან გამოყვანის და გაჯანსაღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა უცხოეთიდან ინვესტორების ფართოდ მოზიდვა და გონივრულად გამოყენება.

უცხოურმა ინვესტიციების განხორციელებამ დადებითი შედეგი რომ გამოიღოს, უნდა შემუშავდეს და რეალიზდეს ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების წყარო.

საქართველოში ინვესტიციების გააქტიურებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ინფრასტრუქტურა, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა; მოუწესრიგებელი საგადასახადო სისტემა და ფრიად მაღალი გადასახადები, მოსახლეობის უაღრესად დაბალი შემოსავლიანობა, მენეჯმენტის არასაკმარისი პროფესიონალიზმი, რაც ხელისშემშლელ ბარიერად იქცევა უცხოელი ინვესტორების მოზიდვის გზაზე. საქართველოში უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის მიზანშეწონილია სამთავრობო კომპლექსური ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის დამყარება, უცხოელი ინვესტორების წახალისების მიზნით ცივილიზებული სამართლებრივი ნორმატიურლი ბაზის, სპეციალური საგადასახადო და საბაჟო შეღავათების სისტემის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.

ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში და კერძოდ, ტურიზმში უცხოელი ინვესტორის მოზიდვისას აუცილებელია შერჩევითი მიდგომის გამოყენება. მოზიდული უნდა იქნას არა ყო-

ველგვარი უცხოური ინვესტიცია, არამედ ისეთები, რომლებიც ქვეყნის და დარგის სასარგებლოდ ერწყმიან ქვეყნის განვითარების სტრატეგიას.

ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან ინვესტიციების მოზიდვამ აუცილებელი გახადა სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გატარება. უცხოური ინვესტიციების შემოტანის ძირითადი მიზანია დარგის აღორძინება-განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას.

საქართველოში უცხოელი ინვესტორები შემოდიან მრავალი ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან: ავსტრიიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, თურქეთიდან, იაპონიიდან და ა. შ. მნიშვნელოვანი თანხები იქნა შემოტანილი მსოფლიო ბანკიდან და ევროკავშირიდან.

პოტენციური ინვესტიციისათვის მასპინძელი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასებისას მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ე.წ. მმართველობითი ინფრასტრუქტურა. ზოგადად იგი გულისხმობს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ადეკვატურობას, მოქმედების თავისუფლების, საკუთრების უფლებათა დაცულობისა და მმართველობითი საქმიანობის გამჭირვალობის ხარისხს. ქვეყნებს, რომლებიც ამ მოთხოვნების მინიმალურ დონეს არ აკმაყოფილებენ ნაკლებად აქვთ პუი–ის მიღების ალბათობა. ამავე დროს სუსტი მმართველობითი ინფრასტრუქტურა პუი–ს კორუფციის წყაროდ გადაქცევის საფუძველია.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადების შემოდინებამ თუ არ იქნა შემუშავებული მათი ეფექტური გამოყენების ქმედითი მექანიზმი და სათანადო მმართველობითი ინფრასტრუქტურა, შესაძლოა არასასურველი შედეგები მოიტანოს.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. საქართველოში საინვესტიციო საკანონმდებლო ბაზის უზრუნველსაყოფად პირველად 1991 წლის 25 ივლისს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი „ უცხოური ინვესტიციების“ შესახებ, ხოლო 1995 წლის 30 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა უცხოელი ინვესტორებისათვის გარკვეული შეღავათების მინიჭებას. 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომლითაც როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორი უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებეით. 2002 წელს კი მიღებულ იქნა კანონი „ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ შესახებ.

გარდა ამისა, არსებობს კანონები პრივატიზების, მიწის შესყიდვის კონცერიების, ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ, რომლებიც აგრეთვე ეხება ინვესტორებს.

ინვესტორთა უფლებები განსაზღვრულია აგრეთვე საქართველოს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში.

2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის“ შესახებ ცდილობს ინვესტიციების ხელშემწყობი პროცედურების დახვეწას. ამ კანონის მიხედვით საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგანტო ინვესტირების წარმომადგენელი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოებისაგან ნებართვის მიღების პროცესში.

ამჟამად მსოფლიოში ინვესტიციების მხარდაჭერის 180–ზე მეტი ეროვნული და 300-ე მეტი ქვეეროვნული სააგაენტო არსებობს. ის სააგენტო, რომელიც თავიანთი რესურსების მობილი-

ზებას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის პროპაგანდაზე უფრო შედეგიანია, ვინაიდან ეს საქმიანობა ყველა ინვესტიციას როგორც ადგილობრივს, ისე უცხოურს ეხება.

საინვესტიციო პოლიტიკა აერთიანებს ყველა სახელმწიფო პროცედურასა და კანონს, რომელიც არეგულირებს კერძო ინვესტიციებს და უზრუნველყოფს გამჭირვალობას, ქონების დაცვასა და დისკრიმინაციის თავიდან აცილებას.

საინვესტიციო კლიმატის რეფორმა დამატებითი ინსტრუმენტია და მოიცავს უფრო ფართო არეალს, კერძოდ გაუმჯობესებულ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს და პრაქტიკის ისეთ სფეროში როგორიცაა დაბეგვრა, ვაჭრობა, კონკურენცია, ადამიანური რესურსების განვითარება ანტიკორუფციული ღონისძიებები.

საინვესტიციო სააგენტოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა, როგორც ინვესტორებისათვის ხელსაყრელ ადგილზე. ამ მიმართულებით საქმიანობა მოიცავს რეკლამირებას, საზოგადოებასთან ურთიერთობასა, საინტერესო ინფორმაციის გავრცელებას.

ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დადებით ზეგავლენას ახდენს ტურიზმის აღორძინებაზე, ამიტომ უნდა ხელი შეეწყოთ უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ერთობლივი საწარმოების მშენებლობის გაფართოებაში, მომსახურების სრულყოფაში, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების დაინტერესებას და მოწვევას საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული კობა ტურიზმის საფუძვლები : (სასწ.-მეთოდ. სახელმძღვ. ტურიზმის მიმართულების ნებისმიერი სპეც. სტუდ.) / [ავტ. კობა არაბული ; რედ. ევგენი ბარათაშვილი] ; ტურიზმის მენეჯმენტის, რეგ. განვითარებისა და ინფორმ. ტექნოლოგიების ევრ. სასწ. უნ-ტი, ტურიზმის უმაღლესი სკოლა. - თბ. : უნივერსალი, 2011. - 126გვ
2. ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ., ,,ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა'' თბ.2010.
3. ბარათაშვილი ე,. გრძელიშვილი ნ,. გალახვარიძე ნ,. ნადარეიშვილი ნ ,,რეგიონული ეკონომიკა'' თბ.2010
4. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. ,,ფოტონი''. თბილისი, 2004.
5. ბერიშვილი ხათუნა საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი = International tourism business : [სახელმძღვ.] / ხათუნა ბერიშვილი ; [რედ. გურამ ჯოლია]. - თბ. : უნივერსალი, 2012.
6. დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ ,,ტურიზმი საქართველოში - არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები'' თბ. 2012.

ინვესტიციები - ტურიზმის აღორძინების საფუძველი საქართველოში

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია,რომ ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურება დიდად არის დამოკიდებული მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ქმნიან განსაზღვრულ ინვესტიციურ კლიმატს, რომელიც ასტიმულირებს ან ზღუდავს ინვესტიციურ საქმიანობას. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი ეს არის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სისტემა, რომელიც მართვის მიკრო და მაკრო დონეზე ყალიბდება და ხელს უწყობს ინვესტიციური მოტივაციის წარმოშობას. საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის და ტურიზმის სფეროს დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც საკმაოდ ნაცადი გზაა.

ნაშრომში ნათქვამია, რომ ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში და კერძოდ, ტურიზმში უცხოელი ინვესტორის მოზიდვისას აუცილებელია შერჩევითი მიდგომის გამოყენება. მოზიდული უნდა იქნას არა ყოველგვარი უცხოური ინვესტიცია, არამედ ისეთები, რომლებიც ქვეყნის და დარგის სასარგებლოდ ერწყმიან ქვეყნის განვითარების სტრატეგიას. საჭიროა აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების დაინტერესებას და მოწვევა საქართველოში.

Investments - the basis for turism revival in Georgia

Nodar Grdzelishvili – Doctor of economics

Summary

This work notes that the intensification of investment activities is highly dependent on a wide range of factors, which create certain investment climate and which stimulate or hinder investment activities. Favourable investment climate is a broad system of socio-economic and political-legal relationships which contributes to the emergence of investment incentives. Attraction of foreign investments is one of the main factors that can alleviate economic crisis in Georgia and accelerate the development of tourism.

This work states that the use of selective approach is necessary when attracting foreign investors in national economy and tourism. Any investment should not be attracted, but only those which positively contribute to the economic development of the country. It is also necessary to invite and involve in this process Georgian businessmen living abroad.

Investissements - la base pour la renaissance du Tourisme en Géorgie

Nodar Grdzelishvili -Docteur en économie

Résumé

Ce travail note que l'intensification des activités d'investissement est fortement dépendante d'un large éventail de facteurs qui créent certain climat d'investissement et qui stimulent ou entravent les activités d'investissement. Climat d'investissement favorable est un vaste système de relations socio-économiques et politico-juridique qui contribue à l'émergence d'incitations à l'investissement. Attraction des investissements étrangers est l'un des principaux facteurs qui peuvent atténuer la crise économique en Géorgie et d'accélérer le développement du tourisme.

Ce travail stipule que l'utilisation de l'approche sélective est nécessaire lorsque attirer les investisseurs étrangers dans l'économie nationale et le tourisme. Tout investissement doit pas être attiré, mais seulement celles qui contribuent positivement au développement économique du pays. Il est également nécessaire d'inviter et d'impliquer dans ce processus les hommes d'affaires géorgiens vivant à l'étranger.

მეჩაიეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრიორიტეტული დარგების არჩევას და მათ განვითარებას. უნდა ვიფიქროთ იმაზე თუ რა აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა აქვს საქართველოს და პრიორიტეტი რომელი დარგის განვითარებას მიენიჭოს. ამ ეტაპზე დარგი რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში არის მეჩაიეობა. ამ დარგს შეუძლია გადაჭრას მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მნიშვნელობანი წვლილი შეიტანოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის გაზრდაში და მოსახლეობის ფართო მასების დასაქმებაში. 1970-იან და 1980-იან წლებში ჩაის წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვი 200.000 კაცს აღემატებოდა. (ალუ გამახარია, 2013)

მეჩაიეობის განვითარებისათვის არსობობს მთელი რიგი ხელშემწყობი ფაქტორები:

- **საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური პირობები**

საქართველოს გააჩნია უნიკალური კლიმატური პირობები იმისათვის, რომ განავითაროს ჩაის წარმოება. დასავლეთ საქართველოში არსებული ჰავა საშუალებას გვაძლევს, რომ ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ჩაი. საქართველოში მოყვანილ ჩაის ფოთოლს აქვს ტანინის დაბალი შემცველობა, რაც იშვიათობას წარმოადგენს. ეს საუკეთესო წინაპირობას ქმნის მაღალხარისხოვანი მწვანე ჩაის მისაღებად. ქართული ჩაისაგან განსხვავებით, ინდური და ჩინური ჩაი ხასიათდება ჩაის ძირითადი კომპონენტის, ტანინის მაღალი შემცველობით და აქედან გამომდინარე მიღებული პროდუქტი უფრო მწკლარტე და ექსტრაქტულია. ინდურ და ჩინურ ჩაის ერთგვარი სიმწარის გემო დაჰყვება. სწორედ ამიტომ ინდურ და ჩინურ ჩაის ჯიშებს ნაკლებად იყენებენ მწვანე ჩაის წარმოებისათვის და უპირატესობას ანიჭებენ ქართულ ჩაის ჯიშს, ვინაიდან მისგან მიღებული ჩაი ხასიათდება რბილი და ნაზი გემოთი. (ძაძამია სალომე, 2011)

საქართველოს ჩაის რაიონები მდებარეობს ჩაის ბუჩქის შესაძლებელი გავრცელების ჩრდილო საზღვარზე, რის გამოც ტანინის დაგროვება მცენარეებში უფრო ნაკლებია, ვიდრე სამხრეთით მდებარე ქვეყნებში. ეს ყველაფერი ქმნის საუკეთესო პირობებს მაღალხარისხიანი ჩაის წარმოებისათვის. ტანინის შემცველობაზე ასევე გავლენას ახდენს პლანტაციის განლაგების სიმაღლე ზღვის დონიდან. რაც უფრო მეტ სიმაღლეზეა ჩაის პლანტაცია განლაგებული ზღვის დონიდან, მით უფრო იზრდება ტანინის შემცველობა მისგან მიღებულ ნედლეულში. საქართველოში ჩაის პლანტაციების უმეტესი ნაწილი განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე, რომელიც თითქმის ზღვის დონეზეა.

აქედან გამომდინარე კლიმატური და გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობს მაღალხარისხიანი ჩაის ჯიშის წარმოქმნას, რაც საშუალებას გვაძლევს რომ ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის მწვანე ჩაი.

- **მსოფლიო ბაზარზე ჩაიზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდა**

მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება ჩაიზე მოთხოვნილება. ამასთან ერთად ჩაის შიდა მოხმარება იზრდება მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში, რის გამოც ეს ქვეყნები იძულებული არიან რომ შეამცირონ ჩაის ექსპორტი. (ძაძამია სალომე, 2011) თუმცა ინდოეთი ყველაზე დიდი რაოდენობით ჩაის აწარმოებს მსოფლიოში, ის შიდა მოხმარების ზრდის გამო იძულებულია მკვეთრად შეამციროს ჩაის ექსპორტი.

ჩაიზე არსებული მოთხოვნა ბევრად აღემატება მიწოდებას, რის გამოც აუცილებლად გაიზრდება მოთხოვნილება ქართულ ჩაიზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო არის გარშემორტყმული ისეთი ქვეყნებით, რომლებიც დიდი

რაოდენობით მოიხმარებენ ჩაის და ამ ქვეყნებში ჩაის მოხმარება მუდმივად იზრდება. ასევე იზრდება მოთხოვნილება მწვანე ჩაიზე. იმ ქვეყნებს, რომლებიც ტრადიციულად არიან მწვანე ჩაის მომხმარებლები, როგორიც არის მაგალითად იაპონია, ჩინეთი, შუა აზიის რესპუბლიკები, ემატებიან განვითარებული დასავლეთის ქვეყნები, სადაც მწვანე ჩაი სულ უფრო პოპულარული ხდება ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებების გამო. საქართველოსათვის მწვანე ჩაის ტრადიციული ბაზარი იყო შუა აზიის რესპუბლიკები, კერძოდ, თურქმენეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი. 80-იან წლებში საქართველოდან გადიოდა საშუალოდ 10-12 ათასი ტონა მწვანე ჩაი. შუა აზიის ქვეყნებში მწვანე ჩაის მოხმარებას კულტურული და ტრადიციული ფესვები აქვს და ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში საშუალოდ 1.4 – 1.7 კგ-ს შეადგენს.

1984 წელს შუა აზიის მოსახლეობა შეადგენდა

თურქმენეთი – 3.118.000

ტაჯიკეთი – 4.365.000

უზბეკეთი – 17.498.000

სტატისტიკური მონაცემებით, აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა ყოველ ათწლეულში 30-33%-ით იზრდება, რის გამოც მკვეთრად იზრდება ჩაიზე მოთხოვნაც. განსაკუთრებით ქართულ ჩაიზე რომელსაც ტანინის დაბალი შემცველობა აქვს.

მსოფლიოში ჩაიზე არსებული მოთხოვნა 30%-ით აღემატება მოწოდებას და ეს ტენდენცია შესაძლებელია შენარჩუნდეს 50 წლის მანძილზე.

ამ მონაცემების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მეჩაიეობის აღორძინებას რომელსაც რეალურად შეუძლია გადაჭრას მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მეჩაიეობა ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში ღრმა კრიზისში იმყოფება, ამ დარგს დასავლეთ საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია. ჩაის პლანტაციების ამოძირკვა უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მისი მოვლა და განახლება. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თუ რომელი კულტურით შეიძლება მისი შეცვლა და რამდენად ეფექტიანი იქნება იგი ჩაის კულტურასთან შედარებით. არ არსებობს ალტერნატიული კულტურა. ამჟამად მინიმუმ 50.000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია არსებობს (რომლის ამოძირკვას 3-ჯერ მეტი თანხა უნდა ვიდრე მოვლას) კიდეც რომ მოიძებნოს ამოსაძირკვი თანხა, ეს პლანტაციები არის გაშენებული წითელმიწა ნიადაგზე და ფერდობებზე და ამ ტერიტორიაზე ვერც ერთი ალტერნატიული კულტურა ვერ ხარობს, თუ არ მოხდა ნიადაგზე აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება (გაკულტურება), რაც დიდ ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული. (ნინო არველაძე, 2013) ამიტომაც უფრო რენტაბელურია ჩაის პლანტაციების მოვლა და განახლება. გარდა ამისა, ჩაის პლანტაციებს აქვს ეკოლოგიური ფუნქციაც, ვინაიდან ის იცავს ნიადაგს ეროზიისაგან და მეწყერისაგან.

მეჩაიეობის აღორძინებას და რეაბილიტაციას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ დარგს შეუძლია მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, რომელიც დღეისათვის არსებობს საქართველოში. ამ დარგში 70-80-იან წლებში დასაქმებული იყო 180 – 200.000 ადამიანი, რომლებიც ამჟამად უმუშევრად არიან დარჩენილნი. მეჩაიეობის განვითარებას რეალურად შეუძლია უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და აქ არსებული სოციალური დაძაბულობის მოხსნა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე მეჩაიეობამ უმძიმესი დეგრადაცია განიცადა. საგრძნობლად შემცირდა ჩაის ფოთლის კრეფვა და ჩაის წარმოება. მეჩაიეობის დარგის შესაძლებლობები მხოლოდ 10-15 პროცენტითაა გამოყენებული. მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის საკრეფად ვარგისი ფართობი და ამჟამად მხოლოდ 18-20 ათასს ჰექტარს შეადგენს. თუ ქვეყანა 1970-1980-იან წლებში ექსპორტისათვის აწარმოებდა 100-120 ათას ტონა

ჩაის, 2011 წლისათვის ექსპორტზე გავიდა მხოლოდ 1.937 ტონა ჩაი. შელახული რეპუტაციის გამო ქართული ჩაი გამოძევებული აღმოჩნდა ქვეყნის შიდა ბაზრიდანაც. ადგილობრივი ბაზარი შეივსო უხარისხო იმპორტირებული პროდუქციით. თუმცა ბოლო წლებში ქართული ჩაის ხარისხი შესამჩნევად გაუმჯობესდა, შელახურლი რეპუტაციის აღდგენას მაინც დიდი დრო დასჭირდება. (ნინო ნარჩემაშვილი, 2012)

მეჩაიეობის დარგში კრიზისი მთელი რიგი სპეციფიკური მიზეზებითაა განპირობებული, როგორიცაა სამეურნეო კავშირების რღვევის შედეგად პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა, აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობის გამო ჩაის ბუჩქების ბიოლოგიური დასუსტება და გატყევება, ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიური დანადგარების მოძველება, დარგის ინდუსტრიული საწარმოების განადგურება. (სუზანა დობორჯგინიძე, 2008) ყველაზე მთავარი მიზეზი რამაც გამოიწვია მეჩაიეობის დარგის დეგრადირება არის საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული არარაციონალური პოლიტიკა, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება იყო გადატანილი ჩაის რაოდენობაზე და არა ხარისხზე. საქართველო აწარმოებდა ძალიან დიდი რაოდენობის, მაგრამ უხარისხო ჩაის. ვინაიდან საქართველო ერთადერთი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა იყო და მას არ ჰყავდა კონკურენტები საბჭოთა ბაზარზე, ამიტომაც ჩაის ხარისხს არავინ აქცევდა ყურადღებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას უწევს ისეთი ძლიერი ჩაის მწარმოებელი ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, შრი-ლანკა და ა.შ. მხოლოდ ხარისხის გაუმჯობესებით და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებით შევძლებთ ჩვენ, რომ გავხდეთ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. ამისათვის საჭირო იქნება კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება მეჩაიეობის კრიზისიდან გამოსაყვანად. მეჩაიეობაში კრიზისის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა ითვალისწინებდეს: საგადასახადო შეღავათებს, ფინანსურ მხარდაჭერას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, დარგის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას, დარგში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, დახმარებას ინოვაციურ სფეროში და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში.

პირველ რიგში, <u>სახელწიფომ უნდა იზრუნოს მეჩაიეობის დარგში საინვესტნიციო გარემოს გაუმჯობესებაზე.</u>

დარგში უაღრესად არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოა: წარმოების განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოშლილია, ფაბრიკა - ქარხნები მოძველებულია, არ არის მოწესრიგებული ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკების ელექტროენერგიითა და ენერგორესურსებით მომარაგება. ყველაფერი ამის გამო ეს დარგი არ არის მიმზიდველი ინვესტორებისათვის. საქართველო განიცდის მეწარმე-ინვესტორების ნაკლებობას, რომლებიც მზად არიან გასწიონ და განახორციელონ დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებები ამ დარგში. დღემდე დარგში პირდაპირი ინვესტიციების სურვილი არც ერთ უცხოურ ფირმას, გარდა "შპს მარტინ ბაუერის" არ გამოუთქვამს, რომელმაც მეჩაიეობაში სხვადასხვა ფორმით 30 მილიონ გერმანულ მარკაზე მეტი დააბანდა. დარგში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა მოხდეს:

- **ჩაის ფაბრიკა-ქარხნების მოდერნიზაცია**

იმისათვის რომ მოხდეს მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და შევძლოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, აუცილებელია რომ დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებში.

ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები გაჩანაგებულია და უმეტესწილად იყენებენ მოძველებულ და უვარგის მანქანა – დანადგარებს, რის გამოც ვერ ხერხდება მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ამასთანავე ისინი ძალიან დიდი რაოდენობით ენერგიასა და საწვავს საჭიროებენ ფუნქციონირებისათვის. ამის გამო იზრდება წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება. (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება □266) იმისათვის რომ შემცირდეს წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება და

უფრო რენტაბელური გახდეს წარმოება, უნდა მოხდეს თანამედროვე, ენერგიადამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა საწარმოებში. თანამედროვე ტექნოლოგიების საწარმოებში დანერგვა საშუალებას მოგვცემს, რომ მაქსიმალურად შევამციროთ პროდუქციის წარმოების ხარჯები, გავაუმჯობესოთ წარმოებული პროდუქციის ხარისხი და გავზარდოთ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

- **ჩაის პლანტაციების აღდგენა და რეაბილიტაცია**

უნდა აიკრძალოს ჩაის პლანტაციების ამოძირკვა, რამაც ამ ბოლო წლების განმავლობაში მასიური ხასიათი მიიღო და რის გამოც ჩაის პლანტაციების ფართობი 64.5 ათასი ჰექტარიდან შემცირებულია 47.3 ათას ჰექტარამდე. სახელმწიფოსათვის უფრო რენტაბელურია არსებული პლანტაციების აღდგენა და მათი ბიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ვიდრე მათი ამოძირკვა, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. აუცილებელია რომ გატარდეს ღონისძიებები ჩაის პლანტაციების ბიოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რათა შენარჩუნებულ იქნას ჩაის პლანტაციების პროდუქტიულობა.

ბოლო წლებში ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების განუხორციელებლობის გამო, ჩაის ბუჩქები ბიოლოგიურად დასუსტებულია და გატყევებულია. მათ არ შეუძლიათ ხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოქმნა. 47.3 ათასი ჰექტარი პლანტაციიდან (აფხაზეთის ჩათვლით) ჩაის ფოთლისთვის საკრეფ მდგომარეობაშია 18-20 ათასი ჰექტარი. დანარჩენ ფართობებზე ჩასატარებელია ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლის სამოშაოები, ასევე საჭიროა ნიადაგის განოყიერება სასუქებით.

კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი ჩაის პროდუქციის წარმოების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალპროდუქტიული ჩაის ჯიშებისა და კლონების წარმოებაში დანერგვას. პერსპექტიული ჯიშების შერჩევა-გამოვლენას, მათ გამრავლებას და სამრეწველო პლანტაციების გაშენებას. უნდა მოხდეს ისეთი ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვა, რომლებიც კარგი თვისებებით ხასიათდებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ჯიში კოლხიდა, რომელიც კარგი ზრდა - განვითარებით ხასიათდება, იძლევა მაღალხარისხოვან ნედლეულს, გამოირჩევა ყინვაგამძლეობით, უხმოსავლიანობით, მაღალი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური პოტენციალით. (ნინო არველაძე, 2013)

- **დარგის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება**

საქართველოში ძალზედ ცუდ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა უცხოური და ადგილობრივი კაპიტალდაბანდებების განხორციელებისათვის. ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაშია საავტომობილო გზები, ხიდები, რკინიგზა. არ არის მოწესრიგებული ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკების ელექტროენერგიით და ენერგორესურსებით მომარაგება, შემდგომ რეკონსტრუქციას მოითხოვს სამეურნეო დანიშნულების ობიექტები.

ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. მას შეუძლია დაასაქმოს ჭარბი სასოფლო – სამეურნეო ძალა, რომელიც გამოყენებულ იქნება გზების, ხიდების, სარწყავი სისტემების, სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. ეს თავის მხრივ გადაჭრის მრავალ სოციალურ პრობლემას და ხელს შეუწყობს უმუშევრობის დაძლევას.

- **მეწარმე ინვესტორებისათვის შეღავათიანი პირობების შექმნა**

- <u>გადასახადების რაოდენობის და საგადასახადო განაკვეთთა შემცირება</u>

გადასახადების შემცირება სტიმულს მიცემს ჩასი წარმოების განვითარებას, გაიზრდება დასაბეგრი ობიექტების რიცხვი და ეს გამოიწვევს ბიუჯეტში თანხების ზრდას. მაშასადამე, საგადასახადო წნეხის შემცირება გამოიწვევს ჩაის წარმოების მოცულობის გადიდებას და შესაბამისად საგადასახადო ბაზის გაფართოებას.

- <u>საგადასახადო შეღავათების დაწესება</u>

იმისათვის რომ მეწარმეს მივცეთ სტიმული, რომ გაზარდოს ჩაის წარმოების მოცულობა, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ დაბეგვრის რეგრესული მეთოდი, რომლის დროსაც

მეწარმეზე დაკისრებული საგადასახადო ტვირთი მცირდება იმ ზომით, რა ზომითაც ზრდის იგი ჩაის წარმოების მოცულობას. ეს მეთოდი განსაკუთრებით გვჭირდება დღეს რათა ხელი შევუწყოთ ჩაის წარმოების გაზრდას.

ჩაის მწარმოებლებს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები რომ წარმოება მინიმალურად მაინც გახდეს რენტაბელური. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების შემცირებას ენერგორესურსებზე, მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა დაცვის საშუალებებზე.

მეწარმეობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნა

მოსაწესრიგებელი და არასტაბილურია ორგანიზაციულ – სამართლებრივი გარემო. ხელისუფლებამ დროულად უნდა შექმნას მეწარმეობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა. არსებული საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია და დახვეწას საჭიროებს. მიუხედავად იმისა რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მიღებულ იქნა კანონები და ნორმატიული აქტები მეწარმეობის შესახებ, ისინი ხშირ შემთხვევაში არ სრულდებოდა და ირღვეოდა. არ ხორციელდებოდა მეწარმისადმი არასამართლებრივი მიდგომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მაკონტროლებელი ორგანოები ხშირად ახორციელებდნენ საწარმოების დაუსაბუთებელ და უკანონო შემოწმებებს და ხშირად ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ გარიგებებს მეწარმესა და მაკონტროლებლებს შორის, რაც წესით კანონით უნდა ყოფილიყო აღკვეთილი. აუცილებელია კანონით იქნას შეზღუდული მაკონტროლებელ ორგანოთა თვითნებობა. საკანონმდებლო წესით აღკვეთილი არ არის ხელისუფლების, მათ შორის საგადასახადო ორგანოების და თანამდებობრივ მოხელეთა უკანონო ჩარევის შესაძლებლობა მეწარმის საქმიანობაში.

მეწარმე ხშირად დაუცველია მოქმედი კანონმდებლობის არასრულფასოვნების გამო. მისაღებია ისეთი კანონები, რომლებიც რეალურად დაიცავს მეწარმის ინტერესებს. ამისათვის საჭიროა არსებული საკანონმდებლო ბაზის რევიზია, ხარვეზების შესწავლა და არსებული კანონების სრულყოფა.

ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა

ინოვაციურ საქმიანობაზე სახელმწიფო მხარდაჭერა აუცილებელია. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ინოვაციური საქმიანობის რეგულირება და სტიმულირება მიმდინარეობს ეროვნული კვლევითი პროგრამებისა და სახელმწიფოს მონაწილეობის საფუძველზე. პროგრამათა დამუშავებაში ერთობლივად მონაწილეობენ სახელმწიფო, კორპორაციები და ფირმები.

დღეისათვის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ძალიან დასუსტებულია, ვინაიდან უსახსრობის გამო არ ხორციელდება ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა. უმოქმედოდაა დარჩენილი სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ქსელი, შეწყდა მრავალი ჰერმენტალური ცდა, ფაქტიურად დაიხურა ლაბორატორიები, განადგურდა საკვლევი ცენტრები.

თუ სახელმწიფომ არ იზრუნა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობაზე, მეჩაიეობის დარგში არანაირი პროგრესი არ იქნება.

ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე

ეროვნული მეურნეობის ვერც ერთი დარგს ვერ ავაღორძინებთ პროფესიული კადრების გარეშე, შესაბამისად ვერ ავითვისებთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს და ვერ შევძლებთ მათ გამოყენებას.

დეფიციტურ სპეციალობებში კადრების მიზნობრივი მომზადებისათვის უნდა მოხდეს ახალგაზრდების გაგზავნა სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებლებში, სადაც ისინი დაეუფლებიან ჩაის დამზადების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გაგრძელდეს მეჩაიეობის დაფინანსების პროგრამა.

მეჩაიეობის აღდგენისა და რეაბილიტაციისათვის აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფო დახმარებების განხორციელება, როგორც ეს მოხდა 1997 -1999 წლებში, როდესაც მეჩაიეობის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით დარგს გამოეყო საერთო ანგარიშით 6 მილიონამდე ლარის სუბსიდია და შეღავათიანი კრედიტები. ამ ღონისძიების გატარებამ გამოიწვია

გარკვეული პროგრესი მეჩაიეობაში, რის შედეგადაც ქვეყანამ შეძლო ჩაის ექსპორტის გაზრდა და მიიღო არანაკლებ 25 მილიონი დოლარის სავალუტო შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ეს თანხა მცირე იყო იმისათვის რომ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეეტანა ჩაის წარმოებაში.

მარტო სახელმწიფო დახმარებით შეუძლებელი იქნება მეჩაიეობის აღორძინება იმდენად, რომ დარგმა შეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება. მეჩაიეობის სრული რეაბილიტაციისათვის უფრო დიდი ფინანსური დახმარებები იქნება საჭირო, რომლის დაფინანსება მარტო საქართველოს ფინანსური რესურსებით ვერ მოხერხდება.

უნდა შეიქმნას მეჩაიეობის რეაბილიტაციის ფონდი, რომლის შევსების წყარო იქნება:

- მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები და გრანტები.
- ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები
- ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები

უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან მეჩაიეობის ტექნიკური დახმარების, გრანტების, მცირე საპროცენტო განაკვეთის კრედიტების გამოყოფაზე.

სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნება მეჩაიეობის სრული რეაბილიტაცია. არ არსებობს არც ერთი ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყანა, რომელსაც ხელისუფლება არ უწევდეს დახმარებას. მეჩაიეობაში არსებული უდიდესი კრიზისის დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ზემოთ ხსენებული ღონისძიებების გატარებით, რომლებიც სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია რომ განხორციელდეს. თუ სახელმწიფოს მხრიდან ზემოაღნიშნული დახმარებები (როგორც საკანონმდებლო ისე ფინანსური) რამოდენიმე წლის განმავლობაში (მაქსიმუმ 3-5 წელი) გაგრძელდება და იქნება მიზანმიმართული, ამის შემდეგ საქართველოს მეჩაიეობა დამოუკიდებლად შესძლებს ფუნქციონირებას და ერთ –ერთი წარმატებული დარგთაგანი გახდება ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით. (ინტერვიუ თენგიზ სვანიძესთან)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალუ გამახარია (2013) რა გზით შეიძლება საქართველოში მეჩაიეობის გადარჩენა და განვითარება, სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა,http://geoeconomics.ge/ge/?p=3103
2. ძაძამია სალომე (2011) ქართული ჩაი – რეალობა და პერსპექტივები, 24 საათი, http://24saati.ge/index.php/category/business/2011-12-10/22999
3. სუზანა დობორჯგინიძე (2008) ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში, http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000355/Doborchginidze%20S.pdf
4. ნინო ნარჩემაშვილი (2012) ქართული ჩაი - 90 პროცენტით საექსპორტო პროდუქტი,http://24saati.ge/index.php/category/business/2012-10-12/32665
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №266 (1998) მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ, https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=111628
6. ნინო არველაძე (2013) ქართული ჩაის ბიზნესის შექმნის საიდუმლო, http://geoeconomics.ge/ge/?p=2661
7. ინტერვიუ თენგიზ სვანიძესთან, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტთან.

მეჩაიეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

ვალერი მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მეჩაიეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. მეჩაიეობის დარგში კრიზისი მთელი რიგი სპეციფიკური მიზეზებითაა განპირობებული, რომელთა გაანალიზებასა და განხილვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. მეჩაიეობა არის ის დარგი, რომელსაც შეუძლია გადაჭრას უამრავი სოციალური პრობლემები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში.

Problems and perspectives of the development of tea production

Valeri Modebadze
Associate Professor of International Black Sea University
Associate Professor of American University for Humanities

summary

This article analyses problems and perspectives of the development of tea production in Georgia. The crisis in the field of tea industry is caused by a great number of specific factors, the analysis of which is vital for our country. Tea production is the field that can solve a great number of social problems and play a decisive role in reducing economic crisis.

Problèmes et perspectives de développement de la production de thé

Valeri Modebadze
Professeur agrégé de l'Université Internationale mer Noire
Professeur agrégé de l'Université américaine de sciences humaines

Résumé

Cet article analyse les problèmes et les perspectives de développement de la production de thé en Géorgie. La crise dans le domaine de l'industrie du thé est causée par un grand nombre de facteurs spécifiques, l'analyse de ce qui est vital pour notre pays. La production de thé est une discipline qui permet de résoudre un grand nombre de problèmes sociaux et de jouer un rôle décisif dans la réduction de la crise économique.

რელიგიური ტურიზმი - ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი ფაქტორი

ნოდარ გრძელიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საქართველოს თვითგამორკვევა რეგიონულ ურთიერთობათა სისტემაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე.

დღეს, მსოფლიოს ინტეგრაციული განვითარებას საფუძვლად, ყველა ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთქმედება უძევს. სამწუხაროდ, საქართველოს თავისი კულტურული პოტენციალი, საუკეთესო ბუნებრივი პირობები, ძალზედ უმნიშვნელოდ აქვს გამოყენებული ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად და ამის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით ქვეყნის შიდა კონფლიქტები და რეგიონული პოლიტიკური დაძაბულობა გახლდათ, რამაც კვანძის ტრაგიკულად გაჭრამდე მიგვიყვანა.

მიუხედავად და სწორედ შექმნილი მდგომარეობის გამო, დღეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია ასაყვანი, რეგიონული ტურისტული ურთიერთობების განვითარება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობას რელიგიურ ტურიზმს უნდა მიენიჭოს. მართლაც, თუ გადავხედავთ ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს და დღემდე დაპირისპირებულ ქვეყანას - რუსეთს, ადვილი დასანახი, თუმცა მძიმე აღსაქმელია, რომ დაპირისპირებები სწორედ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ ერებს შორის მოხდა, რისი უმნიშვნელოვანესი მიზეზი რელიგიური ფაქტორის, მისი გამაერთიანებელი როლის არ გამოყენება იყო სახელმწიფოს მიერ. ინტეგრაციულ პროცესებში კი რელიგიური ტურიზმის წინ წამოწევას, შეეძლო და დღემდე შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს. შედეგად კი მივიღებთ, განახლებულ ურთიერთობებს და გამოცოცხლებულ ეკონომიკას.

დღესდღეობით რელიგიური ტურიზმი, ტურისტულ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურად განვითარებადი მიმართულებაა. სწორედ, რელიგიური ტურიზმის მიმართ მძლავრი ინტერესი, ხდის მას სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად.

მსოფლიო მოსახლეობის გადაადგილებაში მნიშვნელოვანი ადგილი „წმინდა ადგილებში“ სალოცავად წასვლას ანუ რელიგიურ ტურიზმს უჭირავს. რელიგიური ტურიზმი, ტურიზმის ყველაზედ ძველ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მაშინ ჩაისახა როდესაც მსოფლიოში შეიქმნა რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობანი. მომლოცველობითი ტურები რელიგიურ-შემეცნებით და კულტურულ-ისტორიულებისაგან განსხვავებით ითვალისწინებს არა მხოლოდ შემეცნებით მიზნებს, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული სალოცავი რიტუალების ჩატარებას (სარწმუნოების მიხედვით), რომელიც სრულიად განსხვავდება გასართობი, გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და ტურიზმის სხვა სახეობებიდან. მომლოცველობის საერთო საფუძველს რწმენა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლოცვა ან ამა თუ იმ რიტუალის ჩატარება ყოველთვის დაკავშირებულია რომელიმე ღვთაებასთან დაკავშირებულ ადგილთან, ბუნებრივ ან ადამიანის მიერ შექმნილ საკულტო ნაგებობებთან (ეკლესიები, ტაძრები, მეჩეთები, სინაგოგები, სამლოცველო სახლები, ხატები, „წმინდანთა“ ნაწილები), რომელთა მიზანს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რელიგიური ცნობიერების გამოცოცხლება[1].

---

[1] მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. „ფოტონი”. თბილისი, 2004. გვ.2-10.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, ტურიზმის შედარებით ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებებს შორის პირველი ადგილი სწორედ რელიგიურ (მომლოცველობით) ტურიზმს უჭირავს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს აფასებენ როგორც XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას. ასეთი ტენდენცია დაკავშირებულია თანამედროვე ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებთან უფრო ღრმად გაეცნონ მსოფლიო რელიგიებს, გაიღრმავონ ცოდნა ცალკეული ქვეყნების და რეგიონების რელიგიური ცხოვრების შესახებ, აგრეთვე სურვილით მიიღონ სულიერი სიმდიდრე ასეთი მოგზაურობიდან. დღეს რელიგიური მისწრაფებებით მოგზაურობის გეოგრაფია ფართოვდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე ტურიზმის სხვა მიმართულებები.

რელიგიურ ტურიზმს გააჩნია, ორი ძირითადი სახესხვაობა. ესაა მომლოცველობითი ტურიზმი და ექსკურსიული ტურიზმი რელიგიური თემატიკით. მომლოცველობა, რომელიც ქვეყნის გარეთ ძირითადად საპატრიარქოს ტურიზმის დეპარტამენტის მიერ, ხოლო ქვეყნის შიგნით ადგილობრივ ეკლესიათა ძალისხმევით და მრევლის მონაწილეობით ხორციელდება, გარკვეულწილად ტურისტული ინდუსტრიის საგნად ვერ განიხილება, რადგან კომერციული ინტერესი აქ პირდაპირ არაა წარმოდგენილი, თუმცა კი მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს კონფლიქტების ჩაცხრომაში, რასაც უკვე ვწერდით წიგნში აფხაზეთი-ქრისტიანობა და ეკონომიკა.

ზოგადად, ტურისტული პოტენციალი შეიცავს ორ ძირითად მიმართულებას - პირობებს და რესურსებს. რელიგიური ტურიზმის მიმართ ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ პირობები - ეს შესაძლებლობები და წანამძღვრებია ამ სახეობის ტურიზმის კეთილსასურველად გასავითარებლად. შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი პირობები - ბუნება, ისტორია, მოსახლეობა, კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკა. როდესაც, ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებზე ვსაუბრებთ, აქ რა თქმა უნდა უმთავრეს ხელისშემშლელ პირობად, სწორედ დაძაბული პოლიტიკური ფონის არსებობა გახლავთ. ამ ფონის შენელება-განეიტრალება (პირველი ნაბიჯების გადადგმა) ჩვენ სწორედ საპატრიარქოს ეგიდით განხორციელებულ მომლოცველთა ორგანიზებული ტურებით გვესახება.

რელიგიური თემატიკის ექსკურსიული ტურიზმით კი ჩვენი აზრით უპირველესად უნდა იყოს დაკავებული სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ახალგაზრდული ტურიზმი კონფლიქტურ რეგიონებში კი შეიძლება გახდეს შემდეგი ნაბიჯი ურთიერთობების დათბობაში. საპილოტე პროგრამა შეიძლება განხორციელდეს გალისა და ოჩამჩირის შერეულ ქართულ-აფხაზურ სოფლებში, სადაც ამასთან ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ისტორიული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი არსებობს. აქცენტი პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს ახალგაზრდულ ტურიზმზე, რადგან მათ ომის ქარცეცხლი უშუალოდ არ შეხებიათ. აქაც, საქართველოს საპატრიარქოს უშუალო ჩართულობით განსახორციელებელი ეს პროექტიც ორმხრივი ნდობის პირობებში, იმედია დაიწყება და წარმატებულიც აღმოჩნდება.[2]

ტურიზმი დღევანდელ ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ პროტექციონისტულ პოლიტიკას მოითხოვს, ეს შეიძლება გამოიხატოს იგივე სპორტისა და ახალგაზრდული სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობაში რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების სახით. როდესაც, საუბარია რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენის აუცილებლობაზე, რაც ქართული ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსასვლელად უმნიშვნელოვანესი პირობაა, გათვლა გრძელვადიანი ურთიერთობების აღდგენისაკენ და არა მიმდინარე ეტაპზე „ახლა ასე ვცადოთ“ პრინციპზე უნდა იყოს მიმართული. დსთ-ს სივრცეზე დავიწყებული საქართველოს წარმოჩენა, ახალგაზრდულ ტურიზმში პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად უნდა გავხადოთ შესაძლებელი, ამან შეიძლება მიმდინარე ეტაპზე ფინანსური რესურსების ხარჯი გამოიწვიოს, თუმცა არცთუ გრძელვადიან პერსპექტივაში, ყოველივე ათმაგ ეფექტს, უპირველესად კი სწორედ ტუ-

[2] ნოდარ გრძელიშვილი „აფხაზეთი-ქრისტიანობდა და ეკონომიკა” თბ. 2011 გვ.115-116

რისტთა რიცხვის განუწყვეტელ ზრდას მოიტანს, მიმდინარე კეთილსასურველი ეფექტებით.

რელიგიური ტურიზმი, იკავებს რა საკუთარ ნიშას ტურისტული წინადადებების სპექტრში, მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული, ტურიზმის სხვა სახეობებთან. საქართველოში ეკლესია-მონასტრები ყველა რეგიონშია განთავსებული, რელიგიური ტურიზმის განვითარება კი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს, აგროტურიზმს კი ერთ–ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ სახეობად გადააქცევს. მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურიზმის წარმატებით განვითარება პარტნიორულ ურთიერთობაზეა დამყარებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მდგრადი განვითარებისათვის.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სოფლიდან მიგრაციის შეჩერება და ხალხის ადგილზე დასაქმება უნდა იყოს, მსგავსი პროექტების განხორციელებას თავადაც უნდა უწყობდეს ხელს. საჭიროა ამა თუ იმ სოფლის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და გარკვეული ინვესტიციების განხორციელება კომუნიკაციების მოსაწესრიგებლად. ასევე მიზანშეწონილი იქნება, საკუთრივ სოფლის მცხოვრებთათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, საკუთარი სახლისა და მეურნეობის სათანადო დონეზე მოსაწყობად, კერძო სასტუმროების ასაშენებლად. ამისათვის კი საჭიროა ინვესტიციები[3]. ინვესტიციების მოზიდვის რეალური გასაღები – ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკური კლიმატის თავისებურებებშია, კერძოდ, ჯანსაღ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, საკუთრების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ უფლებებში და ეფექტიანად ფუნქციონირებად ფინანსურ და საბანკო სექტორებში. რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოცულობის ზრდას, თუ იგი არსებითად ამაღლებს პოლიტიკისადმი ნდობას და აფართოებს ბაზრებს, მაგრამ ეს პროცესი შეთანწყობილ უნდა იქნეს ადეკვატურ ზოგადპოლიტიკურ კურსთან.[4]

კვლავ მსოფლიო სტატისტიკას თუ დავუბრუნდებით, მსოფლიო ტურიზმმა ბოლო 30 წლის განმავლობაში მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს - საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 4 ჯერ, ხოლო სავალუტო შემოსავლები კი თითქმის 25-ჯერ. რელიგიური ტურიზმის მსოფლიო ბაზარი შეადგენს დაახლოვებით 18 მლრდ. დოლარს წელიწადში (დაახლოებით 2%-ია ტურიზმის შემოსავლებიდან).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2011 წელს ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლლარს აღემატება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7 %-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%- იანი წლიური მატების ტემპით და უახლოეს წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით

[3] მაგ. ლიტვაში სოფლის ტურიზმის განსავითარებლად სახელმწიფოსა და ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მიერ 2007-2012 წლებისათვის გამოყოფილი იქნა 82 მლნ.ევრო.

[4] ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა"თბ.2010.გვ.216-218

10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. მთლიან საერთაშორისო მოგზაურთა შორის საქართველოს სტუმართა წილი 2007 წლიდან 2012 წლამდე 0.12%-დან 0.29-მდე გაიზარდა.[5]

ტურიზმი ხასიათდება მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით, რაც გულისხმობს იმას, რომ უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, მომიჯნავე დარგებში ქმნის სამ ახალ სამუშაო ადგილს, როგორიცაა: ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა. ტურიზმის შემოსავლების ერთი ერთეულით ზრდა, მომიჯნავე დარგებში შემოსავლების ორი ერთეულით ზრდას იწვევს.

ტურიზმს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს, რომელიც არც ერთ სხვა დარგს არ გააჩნია _ მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება. ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს ქვეყანაში უამრავი სხვა დარგის განვითარებისათვის. ის კავშირშია მრავალ მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებასთან.[6]

საქართველოში რელიგიურ ტურიზმს თავისებურ მომხიბვლელობას მატებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური კონფენსიების არაერთი სალოცავია.

დღევანდელ დღეს 90% ობიექტებისა მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს ინტერესს ტურისტებისათვის, ასე თუ ისე დაკავშირებულია რელიგიასთან, თუმცა მათმა გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა. საქართველოში ასეთი ობიექტების რიცხვი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, გათვალისწინებით ქრისტიანობის გავრცელების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ამიტომაც აუცილებელია რელიგიური ტურიზმის მაქსიმალური პოტენციალის გამოვლენა, ზომების მიღება მისი განვითარების ოპტიმიზაციისათვის და მომავლისთვის მისი როლის პროგნოზირება.

საქართველოში 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული მონუმენტია, რომელთაგან 4 შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში: 1. მცხეთა – საქართველოს უძველესი დედაქალაქი 2. ბაგრატის ტაძარი (XI ს.)-(დიდად სამწუხაროდ რესტავრაციის შემდეგ საკითხი დგას მისი ამოღებისა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან) 3. გელათის მონასტერი ქუთაისში (XI ს.) 4. სოფელი უშგული, სვანეთში, რომელიც ითვლება ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებად (2300 მ.)

საქართველოში მოგზაურობის მიზნები



წყარო: ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი. 2010 წლის პირველი კვარტალის მონაცემები.

საქართველოში მოგზაურობის მიზნები

[5] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს ტურიზზმის ინდუსტრიის მიმოხილვა. 2012წ. გვ 1-2.
[6] დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ „ტურიზმი საქართველოში–არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები" თბ.2012.გვ.149



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. 2010 წლის ცხრა თვის მონაცემები.

როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს რელიგიური ტურიზმი მზარდი ტენდენციით ხასიათდება და დარწმუნებულნი ვართ, რომ რელიგიური ტურიზმი სულ უფრო მეტ საერთაშორისო ტურისტს მოიზიდავს და კიდევ უფრო დიდ სეგმენტს დაიკავებს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში.

საქართველოსათვის ტურიზმის ინდუსტრიის არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საშინაო ტურიზმი, რომელიც შემდეგი მახასიათებლებით ხასიათდება:

- საშინაო ტურისტები ფულს ხარჯავენ არა უცხო, არამედ საკუთარი ქვეყანაში, რის გამოც არ ხდება ფულის გადინება, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;
- საშინაო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის იმ რეგიონების განვითარებაში, რომელთაც არ გააჩნიათ საწარმოო რესურსები და საშუალებები, რადგან იძლევა შემოსავლების გადანაწილების საშუალებას რეგიონებს შორის;
- საშინაო ტურიზმის განვითარება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რეგიონში არსებულ, ტურიზმის სფეროსთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული ფირმებისათვის;

საშინაო ტურისტებს ხშირად იმავე ტურისტულ პროდუქტზე აქვთ მოთხოვნა, რაზეც საერთაშორისო ტურისტებს და იმ ინფრასტრუქტურასა და ობიექტებს იყენებენ, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ამიტომ ამ ობიექტების საშინაო ტურისტებით დატვირთვა უნდა აკონტროლონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ, შიდა ტურიზმში ძირითადად ახალგაზრდები არიან ჩართულნი და ისინი საექსკურსიო-შემეცნებით და რეკრეაციულ ტურიზმთან ერთად ეკლესია-მონასტრების მონახულებით არიან დაინტერესებულნი, მაშინ დავინახავთ რომ ქვეყნის შიდა რელიგიური ტურიზმი არა მხოლოდ ტურიზმის ერთერთი სახეობაა, არამედ მას გაცილებით სიღრმისეული დატვირთვა აქვს, იგი ხელს უწობს ახალგაზრდების პატრიოტული და მართმადიდებლური სულით აღზრდას. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში.

რელიგიური ტურიზმის პოტენციალი აფხაზეთის მაგალითზე.

აფხაზეთი. დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დაახლოებით 80 ნაგებობაა აღრიცხული[7]. ისინი საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული ერთობის სიმბოლოებს წარმოადგენენ. გუდაუთის რაიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის, აქ არსებული მრავალრიცხოვანი ძეგლების არსებობის გათვალისწინებით, დიდი შესაძლებლობები არსებობს. ტურისტებისათვის უპირველესად დიდი ინტერესის გამომხატველი აუცილებლად იქნება (და ყოველთვის იყო), სოხუმიდან 22 კმ-

[7] ლია ახალაძე. თანამედროვე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. expertclub.ge

ში მდებარე უნიკალური კურორტი ახალი ათონი. ახალ ათონში კონცენტრირებულია დიდი რაოდენობის ღირსშესანიშნაობები ისტორიული და წმინდა ადგილები. **წმ. პანტელეიმონის ტაძარი.** ტაძარი 1875 წელს ივერიის მთაზე, საბერძნეთიდან ათონის წმინდა მთაზე მდებარე, ივერთა მონასტრიდან წამოსულმა რუსმა ბერებმა დაარსეს. სამონასტრო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1879 წლის 8 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ "ახალ-ათონის მონასტრის წესდების" დამტკიცების შემდეგ. სამონასტრო კომპლექსის ცენტრში აღმართული წმ. პანტელეიმონის ტაძარი, ახალბიზანტიურ სტილში აგებული ხუთგუმბათოვანი ტაძარია, ცენტრალური გუმბათის სიმაღლე 40 მეტრია. ტაძრის სიგრძე 53,3 მეტრია, სიგანე 33,7. ტაძარში ერთდროულად შეიძლება დაჰყოს 3000 ადამიანმა. სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, თუმცა რელიგიური ცხოვრების კუთხით ტაძრის გარშემო არცთუ სასიამოვნო ვითარებაა შექმნილი, მღვდელმსახურთა შორის ადგილი აქვს დაპირისპირებას.[8]

ახალი ათონის მონასტრებს შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს X საუკუნეში სიმონ კანანელის დაკრძალვის ადგილას აგებული დიდებული ტაძარი, ასევე სალოცავი-- მღვიმე მდინარე ფსირცხასთან მდებარე ქვაბულში, სადაც გადმოცემით სიმონ კანანელი დასახლდა და დაიწყო ქრისტეს სიტყვის ქადაგება. სოფელ ლიხნში მდებარეობს, X საუკუნეში ნაგები **ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.** იგი ჯვარ-გუმბათოვანი, სამაფსიდიანი ნაგებობაა. შენობა გამოირჩევა ფორმების სიმკაცრით და ამავდროს პროპორციების სისუფთავითა და ჰარმონიით, რაც ხუროთმოძღვართა დიდ ოსტატობაზე მეტყველებს. ლიხნის ტაძრის კედლებზე გამოსახულია წმინდანთა მრავალრიცხოვანი ფრესკული გამოსახულებები, რომელთა დიდ ნაწილს ახლავს გამოსახულების განმარტებითი წარწერები. დაახლოებით 17-მდე წარწერა შესრულებულია ასომთავრული ანბანით. გუდაუთის რაიონში მდებარე სხვა ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნენ ტურისტულ მარშრუტთა სიაში შეყვანილი, უნდა აღინიშნოს სოფელ ანუხვის XI საუკუნის ეკლესია, რომლის წარწერებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული ანბანით. ასევე, სოფელ პრომორსკოესთან ახლოს, მდინარე წკუარას ხეობაში მდებარე VIII-IX საუკუნის ტაძარი. ამ ტაძარში აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოში ყველაზე უძველესი ასომთავრული წარწერების ნიმუშები. დღეისათვის ამ უნიკალური ტაძარის ნაშთებიც კი მიუხედავია; ამავე ეპოქის ხუროთმოძღვრების ნიმუშია მიუსერას ტაძარი; ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფელ ბზიფში მდებარე IX-X საუკუნის კომპლექსი, რომელშიც შედის ციხე და ტაძარი, იგი გალავნითაა შემოზღუდული. მიუხედავად იმისა რომ ტაძარს გუმბათი აღარ შემორჩა მნახველებზე მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში მდებარეობს **ღვთისმშობლის ტაძარი**, რომლის ფორმები ბიზანტიური არქიტექტურული სტილითაა შექმნილი. ტაძარი 1737 წელს თურქებმა გადაწვეს. ღვთისმსახურება თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ _ 1871 წელს იქნა აღდგენილი.

სოხუმის რაიონის ტურისტული მარშრუტები გვერდს ვერ აუვლის აქ მდებარე ძველ რელიგიურ ცენტრებსა და ბრწყინვალე არქიტექტორული სტილით ნაგებ ქრისტიანული კულტურის ძეგლებს.

კომანის მონასტერი. კომანი აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი სოხუმიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. აქ აღმართულია XI-XII საუკუნეების ცნობილი მონასტერი. აქ აწამეს წმინდა მოწამე ვასილისკო. აქ მიაბარა სული უფალს გადასახლებაში მყოფმა კონსტანტინეპოლის დიდმა მღვდელმთავარმა წმინდა იოანე ოქროპირმა. ტაძარში

[8] მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის დიაკვან ანდრეი კურაევის თქმით, დღეს ათონის მონასტერში არც მორჩილნი არიან და არც ბერები. არის რაღაც გაურკვეველი უცოლო მამაკაცების საერთო საცხოვრებელი. რადგან არის ტურისტული კომპლექსი, არ არსებობს საერთო წესები, არც ყოველდღიური მსახურება. არ არის მორჩილებაც. იქ საერთოდ მონასტრის ნასახიც არ არის.

ინახება ქვის სარკოფაგი რომელშიც იგი პირველად იყო დამარხული, 30 წლის შემდეგ იგი გადასვენებულ იქნა კონსტანტინეპოლში. აქ მიუვალ მთებში მესამედ გადამალეს პატიოსანი თავი იოანე ნათლისმცემლისა. კომანი წმინდა ადგილია. ყოველთვის დიდი იყო მომლოცველთა ნაკადი.

ოჩამჩირის რაიონში გარდა დიდებული მოქვის ტაძრისა, აღსანიშნავია ილორის ეკლესია. ოჩამჩირიდან სამიოდე კილომეტრში მდებარეობს სოფელი ილორი, სადაც აღმართულია **ილორის წმინდა გიორგის ეკლესია,** რომელიც იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. მასში არასდროს წყდებოდა მომლოცველთა ნაკადები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. დღესდღეობით XI საუკუნეში აგებული ტაძარი "რეკონსტრუქტურირებულია" _ იგი თეთრადაა შეღებილი როგორც შიგნიდან ისე გარედან, დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ქართული ლაპიდარული წარწერები აღარ იკითხება.

ისტორიული წყაროების თანახმად ბედიის სამონასტრო კომპლექსი, დაარსებულია X საუკუნის ბოლოს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ. ბაგრატ III მისივე ანდერძით ბედიის მონასტერშია დაკრძალული. ტაძარზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ქართულ ასომთავრულზე შესრულებული წარწერები. დავით აღმაშენებელმა საქართველოს და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიის არქიეპისკოპოს სვიმეონს მიანიჭა ბედიელ-ალავერდელის წოდება. **იმედია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ბედიის მონასტერს კვლავ აქცევს ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის სიმბოლოდ.**

გალის რაიონი. ისტორიული სამურზაყანო, რომელიც ისტორიის მანძილზე ხშირად წარმოადგენდა ოდიში-სადადიანოს შემადგენელ ნაწილს, საკმაოდ მდიდარია ქრისტიანული კულტურის ძეგლებით, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნას ტურისტულ მარშრუტთა სიაში.

სოფელი გუდავა და გუდავის ეკლესია. სოფელი გუდავა უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. მკვლევართა ვარაუდით, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ციხესიმაგრე ზიგანისი დღევანდელი გუდავა უნდა იყოს. VI-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი სწორედ გუდავაში იყო. აფხაზთა და ქართველთა მეფემ ბაგრატ III (X-ს). გააუქმა გუდავის საეპისკოპოსო, როგორც ბერძნული საეკლესიო პოლიტიკის საყრდენი საქართველოში და ბედიის საეპისკოპოსო დაარსა.

დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული, რომლის მიდამოებშიც გამოვლენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV-V საუკუნეებით დათარიღდეს.

წარჩეს ეკლესია. გალიდან 17 კმ მანძილზე, მდინარეების ოქუმისა და წარჩეს ხეობებში მდებარეობს სოფელი წარჩე. იგი ჯერ კიდევ ფლავიუს არიანეს ყავს მოხსენიებული როგორც ქალაქი "ტარშენ". მხარეთმცოდნე ნ.შონიას გადმოცემით წარჩეში 23 ისტორიული ძეგლია, მათ შორის XIII-XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული კომპლექსი "მაფაშ ოხუამე" _ მეფის ეკლესია. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. წარჩეს ეკლესიები XVII საუკუნეში განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს.

რელიგიური ტურისტებისათვის ეგზოტიკური თვალსაზრისით შეიძლება მიმზიდველი იყოს აფხაზთა წარმართული სალოცავების დათვალიერება და "წმინდა ადგილებში" ტრადიციული რიტუალებისათვის თვალყურის მიდევნება.

აფხაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე აქ შეიძლება ფართო გავრცელება ჰპოვოს ეთნიკურმა ტურიზმმა. ეთნიკური ტურიზმი მიზნად ისახავს დაბადების ადგილის, ოჯახის ძველი ან წინაპართა საცხოვრებელი ადგილის მონახულებას. ტურიზმის ეს სახეობა ნოსტალგიურის სახელს ატარებს (nostalgie tour). ამ სახეობის ტურიზმს პრიორიტეტული

მნიშვნელობა აქვთ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სხვა ქვეყნებში დიდი დიასპორები ჰყავთ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა ტრაგედიის "მუჰაჯირობის" შემდეგ, აფხაზებს საკმაოდ დიდი დიასპორა გაუჩნდათ თურქეთსა და ზოგიერთ სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში. ასევე, საჭიროა და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ ცივილური იერის, გახსნილობის და გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობის წარმოსაჩენად, უპირველესად ქართველ ლტოლვილებს, მათ საბოლოო დაბრუნებამდე, საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობითა და უშუალო მონაწილეობით, საეკლესიო დღესასწაულებისას, წინაპართა საფლავების და დაბადების ადგილების მონახულების საშუალება ოფიციალურად უნდა მისცეს.

აფხაზეთში არ არის მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ცენტრები, შესაბამისად უშუალოდ მომლოცველთა ნაკადი მრავალრიცხოვანი ვერ იქნება, თუმცა, რელიგიურ ტურიზმს საექსკურსიო-შემეცნებითი კუთხით, ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ტაძრებისა და სალოცავების გათვალისწინებით, გარკვეულ პირობებში საკმაო პოტენციალი გააჩნია.

თუკი პოტენციალზე და პერსპექტივებზე ვისაუბრებთ, აფხაზეთში რელიგიურ ტურიზმს გასაქანი, შეიძლება მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან საზღვრების გახსნის შემდეგ მიეცეს, რადგან წარმოუდგენელიც კია, ოდესმე ამ მიმართულებით, ქართველთა ინტერესი საერთო ისტორიის ძეგლთა მიმართ, სხვა ქვეყნების მოსახლეობის ინტერესმა გადაწონოს.

როცა ტურიზმის განვითარების პირობებზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა პოლიტიკური სტაბილურობა გახლავთ. განდგომილი რეგიონების და რუსეთთან (ტურისტების მოზიდვის მხრივ ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანა) დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ურთულესია საქართველოს, ქვეყნის გარეთ სტაბილური ქვეყნის იმიჯი შეექმნას, ქვეყნის შიგნით კი ეკონომიკურ სტაბილურობას მივაღწიოთ. ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ რელიგიური ტურიზმი საქართველოსთვის ბევრად მეტი შინაარსის შემცველია, ვიდრე ამას, სპეციალური ლიტერატურიდან განმარტებები გვეუბნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა'' თბ. 2010.
2. ბარათაშვილი ე,. გრძელიშვილი ნ,. გალახვარიძე ნ,. ნადარეიშვილი ნ „რეგიონული ეკონომიკა'' თბ.2010
3. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. „ფოტონი''.

თბილისი, 2004.

4. ბუბულაშვილი ე. "საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები"გამ. "ახალი ივრონი" თბ. 2007.
5. გრძელიშვილი ნოდარ „აფხაზეთი-ქრისტიანობდა და ეკონომიკა'' თბ. 2011.
6. დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ „ტურიზმი საქართველოში - არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები'' თბ. 2012.
7. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი, 2008.
8. სოხაძე ა., ლომთაძე მ. "ტურიზმის ეკონომიკა", ქუთაისი 2007

10. www.ambioni.ge 12. http://www.madli.org 14. http://orthodoxy.wanex.net 11. http://www.orthodox.ge 13. http://www.kvirike.ge

რელიგიური ტურიზმი - ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი ფაქტორი

ნოდარ გრძელიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში, ტურიზმი გახდა მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების მძლავრი საშუალება, რომელიც ძირეულ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კავშირებზე.

ნათქვამია, რომ დღესდღეობით რელიგიური ტურიზმი, ტურისტულ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურად განვითარებადი მიმართულებაა. სწორედ, რელიგიური ტურიზმის მიმართ მძლავრი ინტერესი ხდის მას სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (ჭთ) მონაცემებით, ტურიზმის შედარებით ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებებს შორის პირველი ადგილი სწორედ რელიგიურ (მომლოცველობით) ტურიზმს უჭირავს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს აფასებენ როგორც XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას.

ნაშრომში განხილულია საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები. საუბარია რელიგიური ტურიზმის სხვადასხვა სახეობებზე, რომლებიც შეიძლება საქართველოსა და რუსეთს, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთანამშრომლობის საფუძველი გახდეს.

აღნიშნიულია, რომ ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ინვესტიციები, ინვესტიციების მოზიდვის რეალური გასაღები კი, ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკური კლიმატის თავისებურებებშია, კერძოდ, ჯანსაღ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, საკუთრების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ უფლებებში და ეფექტიანად ფუნქციონირებად ფინანსურ და საბანკო სექტორებში. რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოცულობის ზრდას, თუ იგი არსებითად ამაღლებს პოლიტიკისადმი ნდობას და აფართოებს ბაზრებს, მაგრამ ეს პროცესი შეთანწყობილ უნდა იქნეს ადეკვატურ ზოგადპოლიტიკურ კურსთან.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა რეგიონული სტაბილურობა გახლავთ და სწორედ ამიტომ რელიგიური ტურიზმი საქართველოსთვის ბევრად მეტი შინაარსის შემცველია, ვიდრე ამას, სპეციალური ლიტერატურიდან განმარტებები გვეუბნება.

Religious Tourism - major factor contributing to the integration processes

Nodar Grdzelishvili – Doctor of economics

Summary

This work notes that in modern conditions, tourism has become the world's most powerful tool of economic development, which has a major influence on the political, economic, social and cultural ties among countries.

It is said that nowadays religious tourism, in tourist activities, is one of the most actively developing directions. Strong interest towards religious tourism makes it an important factor contributing to social and political stability. According to the estimates of The World Tourism Organization (UNWTO) religious (General) tourism occupies the first place among the most promising directions of tourism. Experts assess religious tourism as the most promising direction for 21st century.

This work discusses the development of religious tourism in Georgia. It describes different types of religious tourism, which can become the basis of cooperation between

Georgia and Russia and between Georgian and Abkhazian people. Tourism development requires investment, key to the attraction of investment is the characteristics of region's political climate, in particular, a healthy macroeconomic policies, well-defined property rights and the efficient functioning of the financial and banking sectors. Regional integration can contribute to an increase in the volume of investments, if it substantially enhances credibility towards politics and expands markets, but this process should be congruent with the general policy.

This work notes that the development of tourism in Georgia is one of an essential factors for regional stability.

Tourisme religieux - facteur majeur contribuant à des processus d'intégration

Nodar Grdzelishvili -Docteur en économie

Résumé

Ce travail note que, dans les conditions modernes, le tourisme est devenu le plus puissant outil de développement économique du monde, qui a une influence majeure sur les liens politiques, économiques, sociales et culturelles entre les pays.

Il est dit que le tourisme religieux de nos jours, dans les activités touristiques, est l'une des directions les plus actives en développement. Fort intérêt pour le tourisme religieux, il est un facteur important contribuant à la stabilité sociale et politique. Selon les estimations de l'Organisation du tourisme (OMT) religieuse (Général) tourisme mondial occupe la première place parmi les directions les plus prometteuses du tourisme. Les experts évaluent le tourisme religieux comme la direction la plus prometteuse de le 21ème siècle.

Ce travail traite du développement du tourisme religieux en Géorgie. Il décrit les différents types de tourisme religieux, qui peuvent devenir la base de la coopération entre la Géorgie et la Russie et entre les Géorgiens et Abkhazes. Le développement du tourisme nécessite des investissements, clé de l'attraction de l'investissement sont les caractéristiques du climat politique de la région, en particulier, une politique macroéconomique saine et bien définis les droits de propriété et le fonctionnement efficace des secteurs financier et bancaire. L'intégration régionale peut contribuer à une augmentation du volume des investissements, si elle renforce considérablement la crédibilité envers la politique et les marchés se développe, mais ce processus doit être en harmonie avec la politique générale.

Ce travail souligne que le développement du tourisme en Géorgie est l'un des facteurs essentiels pour une stabilité régionale.

ავტორთა საყურადღებოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი მასალების სიზუსტეზე.
იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით.

Notice to the authors:

The authors and the redaction may have different points of view.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registred at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi
Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003

ტირაჟი 100